ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით | №32 (1733) | 24 – 30 აგვისტო. 1999 წ. | ● ფასი 50 თეთრი

## გერმანე ფაცაცია:



**მე ბევრი ინფორმაცია გამაჩნია, რომ ეს არის აშკარა პოლიტიკური შეთქმულება ქვეყნის წინააღმდეგ**

მეორე გვერდი

## ნესტან კირთაძე:



**ზოგიერთი თუ ეროვნული პოზიციიდან დღევანდელ მმართველ პარტიამდე მივიდა, მე პირიქით — მმართველი პარტიიდან ეროვნულ პოზიციამდე მოვედი**

მესამე გვერდი

## საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ

მეშვიდე გვერდი

## ჩვენი ვალები არ გვყოფნის

ჩვენს მთავრობას საკუთარი ვალები აღარ ეყო და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიერ რუსეთიდან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს — 42 მილიონ დოლარს რუსეთის მიმართ საკუთარ ვალად მიიჩნევს.

საქართველოს მთავრობამ, კარგი იქნება, გადახედოს, კიდევ რამე ვალები ხომ არ აქვთ ოს და აფხაზ სეპარატისტებს, არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი მილიონი იქნება. აგერ არ ვართ, ჩვენს თავზე ავიღებთ იმ ვალებსაც და გადავიხდით!

## 1924 წლის აგვისტოს აჯანყება

ლეო რუხაძის დღიურებიდან
(ქვეყნდება პირველად)

მეექვსე გვერდი




მურთაზ აბაშიძის კარიკატურა



## «მარსელიოზა» ხომ არ გვემღერა, ბატონო გივი... ერთად?!

მეთერთმეტე გვერდი

## საქართველოზე შეყვარებული მფრინავები

რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა კიდევ ერთხელ დაარღვიეს საქართველოს საზღვრები. ორი სუ-25 კვლავ ომალოს მახლობლად გამოჩნდა. ადგილობრივმა ძალებმა სიგნალი საჰაერო ძალებს მიაწოდეს, რომელთაც ვერ მოახერხეს დაედგინათ, ნამდვილად დაირღვა თუ არა საქართველოს საზღვრები. ამ მონაკვეთის 100%-იანი გაკონტროლება, მისი მდებარეობის გამო, შეუძლებელია. საქართველოს საჰაერო თავდაცვას სპეციალური ინსტრუქცია აქვს მიღებული და მიიჩნევს, საზღვრის დამრღვევი ვერც ერთი თვითმფრინავი საქართველოს ტერიტორიას დაუსჯელი ვერ დატოვებს. თუმცა, ღონისძიებებს, რომლებიც ასეთ შემთხვევაში აქვთ დაგეგმილი, არ აკონკრეტებენ.

საქართველოს მთებზე შეყვარებული რუსი მფრინავები კი, ეტყობა, მისი სილამაზით ტკბებიან და სხვა განზრახვა (ბოროტი) არა აქვთ. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა.

**ელექტრონული ვერსია http: // www.opentext.org.ge/sakartvelo**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### სხვისი გაკვირვებიათ...

ქართული მხარე დაინტერესებულია იმით, თუ როგორ ახერხებენ აფხაზეთისა და ე. წ. (მოგწონთ, ხომ „ე. წ.“) სამხრეთ ოსეთის ლიდერები მცირე ხელფასით კომფორტულად ცხოვრებას, მაგრამ ის კი ავიწყდებათ, რომ ჩვენს პარლამენტარებსაც ძალიან მცირე ხელფასი აქვთ (თუ არ ჩავთვლით საზაფხულოდ რაღაც 100-იოდე ლარის მომატებას). როგორ ახერხებენ ამ ფულით საზღვარგარეთ მოგზაურობებს, ახალ-ახალი მანქანების გამოცვლას (სხვა სიამოვნებაზე და ფუფუნებაზე აღარ ვლაპარაკობთ), საკითხავი, აი, ეს არის.

### საბაჟოთა პრობლემები გადაწყდება(?!)

კომპანია „აი-თი-ესი“ საქართველოს ყველა საბაჟო-გამშვებ პუნქტზე დაიწყებს მუშაობას. მათ შორის, სარფის საბაჟოზეც. აჭარის უშიშროების საბჭოს მდივანი ვალერი გელბახიანი აცხადებს, რომ აჭარის ხელისუფლება ხელს არ შეუშლის საბაჟო ხელშეკრულების ამოქმედებას. „აი-თი-ესის“ პროგნოზით, მას თურქეთთან ექნება პრობლემები. მისი განცხადებით, თურქეთის რესპუბლიკამ ამ ბრიტანულ კომპანიასთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა.

მუშაობის პირველი წლის განმავლობაში, ხელშეკრულების თანახმად, ბრიტანულმა კომპანიამ შემოსავლები 50%-ით უნდა გაზარდოს, მომდევნო ორი წლის განმავლობაში კი — 20%-ით.

ქართველებს ამის ტვინი არ აღმოგვაჩნდა · და ინგლისელები რას იზამენ, ვნახოთ!

### მოვა თუ არა შავიშვილი პოლიტიკაში?



საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე რევაზ შავიშვილი პარლამენტში კენჭს არ იყრის და თავის თანამდებობაზე დარჩება. გაზაფხულზე მან პოლიტიკაში შესაძლო დაბრუნებაზე განაცხადა. თუმცა, მისივე თქმით, ეს გადაწყვეტილება საბოლოო არ არის. ოფიციალურ განცხადებას რეზო შავიშვილი მოგვიანებით გააკეთებს, როდესაც გადატანილი სტენოკარდიული შეტევის შემდგომ მუშაობას შეუდგება.

### „საით მივყავართ გზას“...



ალიანსების, ბლოკების შექმნა, პარტიიდან პარტიაში, ბლოკიდან ბლოკში გადასვლა-გადმოსვლა, ჩარიცხვა-გარიცხვა ქართული პოლიტიკისათვის და ქართველი პოლიტიკოსებისათვის უცხო არ არის. ბევრი ღიმილითაც კი შეხვდა ამ ბოლო დროს პანტელეიმონ გიორგაძის მიერ ვალერი კვარაცხელიას, ავთანდილ მარგიანის და ვახტანგ გოგუაძის გარიცხვას სახალხო-პატრიოტული კავშირიდან.

როგორც ბატონმა ვალერი კვარაცხელიამ განაცხადა, მისი აღშფოთება გამოიწვია აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებისადმი პანტელეიმონ გიორგაძის მხარდაჭერამ, შემდგომ კი იგორ გიორგაძის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებამ. „ვფიქრობდით, ბ-ნ პანტელეიმონს და მის თანამოაზრეებს დავარწმუნებდით, რომ ეს უპერსპექტივოა, არასწორი განცხადებაა და ამ გზით სიარული არ შეიძლება“ — აღნიშნა ვალერი ' კვარაცხელიამ.

პანტელეიმონ გიორგაძის გზა არ მოსწონს, აკრიტიკებს, მაგრამ თავის გზას თვითონ თუ სწორად აღიქვამს ბ-ნი ვალერი?!

### ქურდები პარლამენტში



„ქურდს რა უნდა, ბნელი ღამე“-ო, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, პარლამენტში ქურდს სულ არ სჭირდება კუნაპეტი ღამე. დიახ, პარლამენტში. არ გაგიკვირდეთ.

„ქურდობის და ყაჩაღობის სერიალი“ პარლამენტში იმ დღიდან დაიწყო, როცა გაოცებულმა მიხეილ სააკაშვილმა თავისი კაბინეტიდან ფულის დაკარგვაზე განაცხადა. არ გასულა დიდი ხანი და კახა ჩიტაიას სამუშაო ოთახიდან ვიღაცამ საერთაშორისო ხაზით, რა თქმა უნდა, პარლამენტის ხარჯზე, კარგა ხანს ილაქლაქა (ეს ორიგინალური ქურდობაა!). ეს რა არის, ახლახანს ბატონმა გურამ შარაძემ თავისი სამუშაო კაბინეტის მესამედ გაძარცვაზე ქვეყანა ააწრიალა და იქვე დაასახელა ამის გამკეთებლები. ვინ არიან? (არ გადაიხარხაროთ!) — „ოპოზიციური პოლიტიკური ძალები, რომლებიც პარლამენტის თანამშრომლებს თავიანთი ბინძური მიზნების მისაღწევად იყენებენ“.

აბა, ქურდები და ყაჩაღები მარტო ციხეში კი არ არიან...

### წინასაარჩევნო პარადოქსები


Photo News

ქალბატონმა ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ ბევრი გააოცა, როცა მოქალაქეთა კავშირისა და „აღორძინების“ ალიანსზე მიუთითა და მათ ორივეს კორუმპირებული ძალები უწოდა. მისი თქმით, ხდება წინასაარჩევნო გარიგება ე. წ. პრინციპულად დაპირისპირებული ძალების, რომელთაც პრინციპულად ერთმანეთთან სადაო არაფერი არა აქვთ.

ქ-ნ ირინას აზრით, არსებობენ

გაგრძელება მესამე გვერდზე

## ინტერვიუ

### გერმანე ფაცაცია: „მე ბევრი ინფორმაცია გამაჩნია, რომ ეს არის აშკარა პოლიტიკური შეთქმულება ქვეყნის წინააღმდეგ“

— ბატონო გერმანე, კოდორის ხეობაში მომხდარ ინციდენტში თქვენ რუსეთის ხელს ხედავდით. ამას წინათ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებზე მიმავალი ქართული დელეგაცია, რომელსაც რუსული მხარეც თან ახლდა, ენგურის ხიდიდან აფხაზებმა უკან გამოაბრუნეს. აქაც რუსეთია დამნაშავე?

— პარადოქსულია, როცა ქართველები მიდიან რუსებთან ერთად ოკუპირებულ ტერიტორიაზე. როცა აფხაზური მხარე უარს ამბობს ქართული მხარის შეშვებაზე, ტრაგიკულიცაა, კომიკურიცაა. მოლაპარაკებაზე მიყვები პრაქტიკულ ოკუპანტს, რომელიც მოქმედებს მხოლოდ დიქტატით, როგორც ქართული მხარის, ასევე აფხაზთა მიმართაც. აფხაზთა მხარე არ არსებობს, ეს იგივე რუსეთის მხარეა.

რუსეთი ქმნის ილუზიას, სარგებლობს რა ჩვენი სიბრიყვით, უხერხემლობით, რომ აი, ჩვენ ყველანაირად გეხმარებით, მაგრამ აფხაზთა მხარე ვერა და ვერ დავიყოლიეთო. ყველაფერი მიმდინარეობს რუსული სცენარით, ჩვენ მივადგებით ენგურის ხიდს და ვფიქრობთ, როგორ გაჯიუტდა აფხაზთა მხარე, რომ არ გვიშვებს. არადა, ვინც არ გიშვებს — რუსეთი, ის გვერდით გიდგას. არანაირი აფხაზთა მხარე არ არსებობს და არანაირი შუამავალი, რუსეთის სახით, არ არსებობს. ეს არის ერთი, რუსული მხარე, რომელიც გვათამაშებს.

— აფხაზთა ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აჩბამ განაცხადა, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეები კონსენსუსს ვერასდროს მიაღწევენ, ვიდრე რუსეთის ინტერესებს არ დააკმაყოფილებენ. მას არ სჯერა რუსეთის შუამდგომლობის. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ აფხაზური მხარის დამოკიდებულება შეიცვალა როგორც რუსეთის, ასევე საქართველოსადმი?



— სეპარატისტული ხელისუფლება არ არის აფხაზეთი. ეს რომ ვინმეს განცხა-

გაგრძელება მეხუთე გვერდზე

## ღია წერილი

### გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს ქალბატონ ნინო ჩხობაძეს!

### ანუ

### ქართული ენის სიწმინდეზე ზრუნვა ყველას მოვალეობაა!

ქალბატონო ნინო! მისასალმებელია, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა, ერთის მხრივ, გარემოსდაცვითი კანონებისა და მეორეს მხრივ, სხვადასხვა გარემოსდაცვითი პროექტების შესამუშავებლად, მაგრამ ამ საქმიანობას თან ახლავს ერთი მეტად თვალშისაცემი ნაკლიც.

საქმე ეხება უცხოური ტერმინების უთარგმნელად გადმოღებას ან გაუგებარი ქართული შესატყვისების შექმნას, რაც ორივე შემთხვევაში, ქართული ენის სიწმინდეზე ახდენს უარყოფით გავლენას.

რასაკვირველია, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ უცხოური სიტყვები და ტერმინები არ შემოსულიყო ან არ შემოვა ჩვენს ენაში, მაგრამ ყველაფერს ხომ ზომა გააჩნია; მიუტევებელია, როცა მათი ნორმალურად გაქართულება ან შესატყვისის მოძებნა შეიძლება და ეს არ კეთდება, რაც, საბოლოო ჯამში, ენის დაბინძურებას იწვევს.

ასეც რომ არ იყოს, კანონებსა და პროექტებს ლექსიკონები არ უნდა სჭირდებოდეს, ისეთი ენით უნდა იწერებოდეს.

გვინდა თქვენი ყურადღება მივაპყროთ ერთ დოკუმენტს, რომელიც სავსეა გაუგებარი ტერმინებითა და გამოთქმებით.

საქმე ეხება გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის მიერ შედგენილ პროექტს „საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა“.

ამ დოკუმენტის ავ-კარგიანობა ცალკე მსჯელობის საგანია, წინასწარ კი იმის თქმა შეიძლება, რომ იგი უცხოურიდან უხეირო თარგმანის შთაბეჭდილებას სტოვებს, ტერმინოლოგიურად კი უამრავი შეცდომაა დაშვებული, რომელთა შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ:

1). მდგრადი განვითარება. ამ ათიოდე წლის წინათ გარემოს დამცველებმა ინგლისური ტერმინი „Sustainable development of forestry“ თარგმნეს, როგორც „ტყის მდგრადი განვითარება“, „სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარება“, ამის შემდეგ ტერმინი „მდგრადი განვითარება“ ფართო მასშტაბით გავრცელდა ისე, რომ სოციოლოგიასა, სამართლმცოდნეობასა და სხვა დარგებშიც კი შეაღწია;

ყურადღება არავინ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქართულში მდგრადი ნიშნავს მკვიდრს, მაგარს, ურყევს და ა.შ. (გავიხსენოთ გალაკტიონი, „მკვიდრად ააშენაო“), ხოლო მისი ინგლისური ორიგინალი გულისხმობს „უწყვეტს, მუდმივს, სტაბილურს“.

ასე რომ, „ურყევი განვითარება“ უბრალოდ უაზრობაა. სხვათა შორის, ტყით უწყვეტი სარგებლობის თეორია პირველად დაამუშავა გერმანელმა მეცნიერმა პროფ. ჰანს მიოლერმა 1920 წელს და ტყეთმცოდნეობაში ცნობილია „დაუერვალდის“ სახელით, მაგრამ ეს თეორია მაშინ მსოფლიომ არ მიიღო, რადგან ბუნებრივი რესურსები და, მათ შორის ტყეც, ამოუწურავი ეგონათ. (უფრო დაწვრილებით, იხ. ბ. თავაძე „სატერმინოლოგიო შენიშვნები“; „სალიტერატურო გაზეთი“ №15, 1998წ.).

დავაკვირდეთ წინამდებარე დოკუმენტში რა უხერხულად (მეტი რომ არა ვთქვათ) ულერს „მდგრადთან“ დაკავშირებული გამოთქმები: — მდგრადი გამოყენება, მდგრადი მართვა, მდგრადი სოფლის მეურნეობა, მდგრადი თანაარსებობა, მდგრადი ტყითსარგებლობა, მდგრადი გაძღოლა, მდგრადი სატყეო მეურნეობა და ა.შ. ყველაფერი ეს ხომ აზრობრივად უაზრობაა?

რომელი ქართველი იტყვის, ამას და ამას მდგრადად ვიყენებ, მდგრადად ვმართავო და ა.შ.

2) ინსტიტუციური ამ ბოლო დროს ასევე ფართოდ დამკვიდრდა და ამ დოკუმენტშიც ხშირად იხ-



მარება ამ სიტყვით ნაწარმოები ტერმინები, მაგ., „ინსტიტუციური ასპექტები“, „ინსტიტუციური მექანიზმები“, „ინსტიტუციური გაძლიერება“, „ინსტიტუციური სივრცე“, რომელნიც გაუგებარს ხდის პროექტს.

ჩვენ სხვაგან ვაჩვენეთ, რომ · ეს ტერმინი ინგლისურში ნიშნავს „ორგანიზაციულს“ და მისი ასეთი მასშტაბით ხმარება ენის შემღვრევაა (ური დაწვრილებით, იხ. ბ. თავაძე „სატერმინოლოგილ შენიშვნები“, „სალიტერატურო გაზეთი“, №1, 1999წ.).

3) ჰაბიტატი — ჰაბიტატები. სტრატეგიის ავტორებს სრულიად გაუმართლებლად შემოაქვთ კიდევ ერთი უცხო ტერმინი. ინგლისური „habitat“ ნიშნავს მცენარეთა და ცხოველთა ადგილ სამყოფელს, სამშობლოს. მას შეიძლება მივუსადაგოთ მშვენიერი ქართული სიტყვები — საცხოვრისი, საბინადრო, სავანე და ა.შ.

4) ვიზიტორი. ნახმარია ტყეში დამსვენებლის, მომსვლელის, მიმსვლელის მნიშვნელობით. სწორედ ამ სიტყვების ხმარება თავიდან აგვაცილებდა „ვიზიტორის“ ვიზიტს.

5) რეკოლციტრატული. ესეც ინგლისურიდანაა გადმოღებული, მაგრამ სრულიად გაუგებარია მისი მნიშვნელობა.

6) კონსერვაციული საქმიანობა. ინგლისური conservation ნიშნავს — შენახვას, დაცვას. ნუთუ არ შეიძლებოდა მისი ნორმალურად გაქართულება?

7) რესტოკინგი. ამ დოკუმენტის მიხედვით ვერავინ გაიგებს ამ ტერმინის მნიშვნელობას, თუ არ იცის, რომ ინგლისური ?? მარაგების აღდგენა-განახლებას ნიშნავს.

8) მინიმიზაცია. უნდა იყოს შემცირება.

9) სინანთროპული. ეს ტერმინი ეკოლოგიაშიც იხმარება და ანთროპოლოგიაშიც (აქ ჩინეთში ნაპოვნ უძველეს ნამარხ ადამიანს ნიშნავს), ამიტომ უფრო მეტი სიფრთხილე იყო საჭირო მისი გამოყენებისას.

10) ტრანსინსტიტუციური და ტრანსსექტორული კორპორაცია და განვითარება. ჩვეულებრივი მკითხველისათვის ეს გამოთქმა გაუგებარია და პროექტსაც აბუნდოვნებს.

11) საქართველოს წითელი ნუსხა. ამ გამოთქმა რომ მოქალაქეობა მოიპოვოს და ნორმალური შინაარსი შეიძინოს, აუცილებელია ჩაემატოს სიტყვები და ასე გაიმართოს „საქართველოს მცენარეების, ცხოველების და ა.შ. წითელი ნუსხა“.

ზემოთაღნიშნულის გარდა, ამ დოკუმენტში კიდევ ბევრი გაუგებარი ტერმინი და გამოთქმაა, რომელნიც ხელს უწყობენ ქართული ენის დანაგვიანებას ბარბარიზმებით თუ სხვა სახის გაუგებარი გამოთქმებით. არადა, ერთი დოკუმენტისათვის ყოველივე ეს არც ისე ცოტაა.

ახლა თუ მივიღებთ მხედველობაში, დღეს ჩვენში რამდენი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია ადგენს კანონებს და პროექტებს, უცხოური ანალოგების გამოყენებით, და მათი სათანადო ენობრივი შეფასება, როგორც ჩანს, არ ხდება, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, უცხო ტერმინების თუ უაზრო გამოთქმების რა უზარმაზარი მასით „მდიდრდება“ სისტემატურად ქართული ენა და თუ ასე გაგრძელდა, მალე გაზეთებსაც ველარ წავიკითხავთ ლექსიკონების გარეშე და ეროვნულობის დაკარგვას სრულიად შეუმჩნევლად ენის დაკარგვაც მიემატება.

ამიტომ ყველას მოვალეობაა იზრუნოს მშობლიური ენის სიწმინდის დასაცავად, მითუმეტეს, მათი, ვინც მეტ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა.

პატივისცემით

**ბიძინა თავაძე**

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის ტყის დაცვის ლაბორატორიის გამგე, საქართველოს ბუნებისა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „ფესვების“ პრეზიდენტი, არასამთავრობო ორგანიზაციების კონგრესის წევრი.**

**მინაწერი:** ასოციაცია „ფესვები“ მოუწოდებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ათეული საუკუნეების ისტორიის მქონე ქართული ენა, დარაჯად დავუდგეთ მის სიწმინდეს, გადავილოთ სულმნათი ილიას მაგალითი და ამ მეტად მძიმე გარდამავალ პერიოდში დავიცვათ იგი სხვა ენების მძლავრი შემოტევებისაგან.

ბ.თ.

## ინტერვიუ

# ნესტან კირთაძე:
# ზოგიერთი თუ ეროვნული პოზიციიდან დღევანდელ მმართველ პარტიამდე მივიდა, მე პირიქით — მმართველი პარტიიდან ეროვნულ პოზიციამდე მოვედი!



**— როგორც იტყვიან, ვაშლი ნასროლია!... რასაკვირველია, კიდევ გვეგულება პოლიტიკაში ჩართული რამდენიმე ქალბატონი, ვისთანაც გასაუბრებას დიდ პატივად ჩავთვლიდით. მათ არც გარეგნული მომხიბვლელობა აკლიათ, არც... თუმცა პოლიტიკური მომხიბვლელობის განსაზღვრის უფლებას, ამჯერად, თავად ვიტოვებთ. გარდა ამისა, ისიც ნათქვამია, ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგსაც...**

**ქალბატონო ნესტან, იმედია, ასეთ დასაწყისს არც იაფფასიან ქათინაურად ჩაგვითვლით, არც — გადამეტებულ ფამილარობად!... მაგრამ, მაინც: ვინ არის ნესტან კირთაძე? ჩვენი დოსიე, ამ მხრივ, მეტად მოკლედ გამოიყურება!..**

**ასე რომ: სად დაიბადეთ, ვის ოჯახში, როგორია თქვენი ოჯახური მდგომარეობა, რა გაქვთ დამთავრებული, როდის ჩაებით პოლიტიკურ მოღვაწეობაში, ვინ არის თქვენი იდეალი პოლიტიკაში და, ბოლოს, თქვენი ჰობი.**

— ულრმეს მადლობას გწირავთ თქვენი მაღალი ყურადღებისათვის და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ბიოგრაფიიდან თითქმის არაფერი დატოვეს უყურადღებოდ, მოდით, კიდევ ერთხელ გადავხედოთ ჩემს განვლილ გზასავალს, ვისთვის საინტერესოს და ვისთვის განსაქაქებელს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვფიქრობ, მხოლოდ ერთადერთის გათვალისწინებით, რომ განვლილი ცხოვრება და ის სოციალური გარემო, სადაც ამ პიროვნებას უხდებოდა არსებობა ან მოღვაწეობა, უფრო მეტს ილაპარაკებს, ვიდრე თავად რესპოდენტი საკუთარ თავზე.

დავიბადე ძალიან ლამაზ და განსაკუთრებულ ქალაქში — ქუთაისში და მართალი რომ გითხრათ, მანამ და ვიდრე, სიამაყით ამომათქმევინა უფალმა, რომ სწორედ ქუთაისში, სწორედ ჩემს ოჯახში დავიბადე, და სწორედ ეროვნულის, მაღალი სულიერების და მაღალ ესთეტიკურ გარემოში ჩამოვყალიბდი პიროვნებად, მარტვილობის დიდი და ხანგრძლივი გზა განვლო ჩემმა წინაპარმა მამის მხრიდან და მხოლოდ ესლა დამრჩა მემკვიდრეობით ანდერძად. და ის, რასაც ახლა გიამბობთ, ჩვენი ოჯახის საიდუმლოებად ითვლებოდა, რომელიღაც ბაბუამ, ლუკა კირთაძემ, შვილიშვილებს ლამის იმ ქვეყანას გზაშემდგარმა გაგვანდო: ბუბა ლუკას პაპა და დიდი წინაპარი შარვაშიძე ჯერ ბესლახუმაში დასახლდა და შემდეგ გორდში და აქ კომპაქტურად დასახლებული გვარის მატარებელი გახდა, თუმცა საბოლოოდ მარტვილი იყო მისი ცხოვრების, მოღვაწეობის ადგილი და ძვალთშესალაგიც.

მამას, მაღალი კვალიფიკაციის ექიმს, იურისტს, თბილისიდან ხშირად ამწესებდნენ სხვადასხვა ქალაქებში სამუშაოდ. ახლახან სწორედ ფოთელებმა დიდი სიყვარულით გაიხსენეს მათ ქალაქში მოღვაწე ლევან კირთაძე. ბედმა ეს ადამიანი ქუთაისშიც გადაისროლა და სწორედ იქ შეხვდა დედაჩემს, ქალბატონ ქეთევანს, ულამაზესს, უგანათლებულესს და სათნოებით გამორჩეულ ქალბატონს. ქალაქში დღესაც საუბრობენ: ყველამ ზეპირად იცოდა — ქეთევანი როდის ასრულებდა სამუშაოს და რომელი მარშრუტით მიემართებოდა შინისაკენ, რომ ჩუმად ედევნებინათ თვალი ამ დიდი სილამაზისთვისო.

ჩემი მშობლები 5 შვილს ზრდიდნენ. ყველაზე უფროსი ძმა 18 წლის ასაკში დაგვეღუპა. ახლა აღარც მშობლები არიან და 4 ობოლი დავრჩით ღვთის მფარველობით მხოლოდ.

თქვენ, ვფიქრობ, იცით, რომ მე კენჭს ვიყრი ქუთაისში მაჟორიტარ დეპუტატად და უკვე 7 თვეა კვირაში 4-5-ჯერ მიხდება შეხვედრები მრავალრიცხოვან აუდიტორიებში, რომელიც იწყება და სრულდება გამონათქვამებით: „მე მამათქვენის გაზრდილი ვარ"; „მე მამათქვენის დახმარებით დავადექი გზას; მივიღე ბინა; გადავრჩი; თქვენი მშობლები წესიერების და პატიოსნების განსახიერებანი იყვნენ" და უამრავი სხვა ასეთი. მგონია, ჩემი მშობლები მიცოცხლდებიან მაშინ, მგონია, ჩემს გვერდით დგანან და „ბაბუას ნაჭამი ტყემლის ნაცვლად", ამ გაუბედურებულ და უიმედოდ ხელჩაქნეულ ადამიანებთან საოცრად რთული შეხვედრების დროს, სწორედ მათი მოღვაწეობა და არსებობა სანთლად მენთება, მოსახლეობის ნდობას აასკეცეს და, უბრალოდ, ბედნიერად მხდის.

ახლა, მე რაც შემეხება. მეორე კლასში ვიყავი, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში რომ გამამწესეს და იმ დღიდან მთელი ქალაქის ყურადღების ცენტრში ვიყავი და ვარ, მთელი ქალაქია ჩემი ბიოგრაფი.

ვარ გათხოვილი ოცდაერთი წელია. მყავს მეუღლე, ზურაბ რეხვიაშვილი და ერთადერთი ქალიშვილი, ანნა, თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი, რომელმაც ამ რამდენიმე ხნის წინათ წარჩინებით დაასრულა კემბრიჯის საერთაშორისო ენების აკადემია და დღეს-დღეობით მსოფლიოს რამდენიმე უნივერსიტეტიდან მიიღო მოწვევა სწავლის გასაგრძელებლად. სურვილი დიდი გვაქვს, მაგრამ მის ბაბუას თუკი ამის მატერიალური საშუალება კიდევ-ღა გამოაჩნდება, ანა ბედნიერი იქნება.

დავამთავრე ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, ისტორიის სპეციალობით, შემდეგ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა. დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ-ევროპული ურთიერთობები" და სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორია".

ვმუშაობ თსუ საქართველოს ისტორიის კათედრაზე.

პოლიტიკური მოღვაწეობა დავიწყე იმ ავბედით 1992 წელს. რაც შეეხება იდეალს, იდეალი მყავს არა ერთი, რადგან იდეასთან, ეროვნულ იდეასთან დაკავშირებუ-

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

# ახალ-ახალი ამბები
## რეპლიკა-კომენტარებით

*მეორე გვერდიდან*

მოქალაქეთა კავშირის მომხრეები, რომელთაც ისე ეშინიათ „აღორძინების" ხელისუფლებაში მოსვლის, რომ მათი შიშით შეიძლება გაიქცნენ და მოქკავშირს მისცენ ხმა, მიუხედავად იმისა, რომ იციან, ეს ცუდი მმართველი პარტიაა. ასევე არსებობს ბათუმური ბლოკის შემადგენლობა, რომელმაც იცის, მოქკავშირის გამარჯვების შემთხვევაში ვის რომელ ხეზე ელოდება ეშაფოტი. აქედან გამომდინარე, ისინიც აგრესიულად არიან განწყობილნი. ეს ყველაფერი კი გათვლილია, რომ საზოგადოებრივ აზრს მომავალ არჩევნებში აზრი არ ჰქონდეს. გამართლდება თუ არა ქ-ნ ირინას ვარაუდი, შემოდგომის არჩევნები გვიჩვენებს. ისე კი, ღმერთმა ნუ ქნას, საზოგადოებრივ აზრს მნიშვნელობა არ ჰქონდეს.

### სტრასბურში პრეზიდენტსაც დაიცავენ



დღეს მინდია უგრეხელიძე სტრასბურში გაემგზავრება და თავის ახალ მოვალეობას — ევროსაბჭოს მოსამართლეობას — შეუდგება. მანამდე კი პრეზიდენტმა ის ღირსების ორდენით დააჯილდოვა, სახელმწიფოს აღმშენებლობასა და სასამართლო რეფორმაში შეტანილი დიდი წვლილისათვის.

პრეზიდენტმა უკვე იცის, თუ ვინმე მის უფლებებს დაარღვევს და უსამართლოდ მოექცევა, დამცველად მას ევროპაში მინდია უგრეხელიძე ეყოლება.

### „შენ ერთადერთი, ხარ ჩვენი ღმერთი"...



აფხაზეთის სახალხო პატრიოტულმა მოძრაობამ „აფსნი" ვლადისლავ არძინბა პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგინა. აფხაზეთის თვითმარქვია რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვიაჩესლავ ცუგბამ განაცხადა, რომ არძინბა პრეზიდენტობის ჯერჯერობით ერთადერთი კანდიდატია.

აფხაზეთში მცხოვრებ მოსახლეობას ისღა დარჩენია, ხმებში შეწყობილად უმღეროს არძინბას: „შენ ერთადერთი, ხარ ჩვენი ღმერთი"...

### „ქართველი ქალი, თვალებმაყვალა"...

ქართველ ქალებზე რომ შაჰ-აბასს ჭკუა „ეკეტებოდა" და მთელი აღმოსავლეთი ქება-დიდებას ასხამდა მათ, ეს ახალი ამბავი არაა. ახლა შუასაუკუნეების აღმოსავლეთისაგან ესტაფეტა ცივილურმა დასავლეთმა მიიღო. ეს რა ქალები გყოლიათ, აქამდე სად ვიყავითო, და ამ ბოლო დროს გერმანიის ყოფილმა ელჩმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა, ეუთოს მისიის ორმა და უკრაინის საელჩოს ყოფილმა თანამშრომლებმა ქართველ ქალებზე იქორწინეს. სულ ახლახანს კი საქართველოში ისრაელის ელჩის და ქართველი ქალის ქორწილიც შესდგა.

იკითხავთ კიდევ, „ვისია, ვისია, ქალი ლამაზი"-ო?!

### „რასაც გასცემ..."

ამჟამად გუდაუთაში დგას გემი, თურქული დროშით, რომელსაც აფხაზეთიდან გააქვს რკინა, სპილენძი, ქვიშა და სხვა. ამაში თურქებს დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივი მცხოვრებნი — აფხაზები და კაზაკები (ვის დარჩა ქვეყანა?!), რომლებიც დღე და ღამე ტრაქტორებით მუშაობენ და თურქებს საკუთარ სიმდიდრეს ჩალის ფასად აძლევენ.

ეტყობა, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" წაუკითხავთ და მისი აფორიზმით: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია" მოქმედებენ აფხაზები და კაზაკები, მაგრამ ეს აფორიზმი ყველა შემთხვევაში რომ არ ამართლებს?..

# რატომ ხმებიან ფიჭვები თბილისის შემოგარენში?

მიუხედავად იმისა, რომ ტყის სიკეთეზე უამრავი დაწერილა და კიდევ უფრო მეტი თქმულა, ტყეების ფართობები და მდგრადობა ინტენსიურად მცირდება პლანეტარული მასშტაბებით. ტყეების განადგურებამ გასული საუკუნის (XIX) განმავლობაში კატასტროფამდე მიიყვანა ბევრი ქვეყანა. შემდგომში ამ მდგომარეობის თუნდაც ნაწილობრივ გამოსწორებას კოლოსალური ენერგია და სახსრები შეეწირა. სადაც ტყის აღდგენა ვერ მოხერხდა, ის ადგილები გახრიოკებული დარჩა სამარადჟამოდ. თვალსაჩინოებისათვის შორს წასვლა საჭირო არ არის. ამის ნათელ მაგალითს კავკასია და კერძოდ, საქართველოც წარმოადგენს. თუმცა, სხვასთან შედარებით, ჩვენმა ტყეებმა რისვაი-ვაგლახით დღემდე შეინარჩუნეს გარკვეული თვითმყოფადობა. ვინაიდან განმეორება ცოდნის დედაა, საჭიროა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენში ფეხმოკიდებულმა კაპიტალიზმმა ტყეებს გამოუსწორებელი დაღი დაასვა. სხვადასხვა ქვეყნის კონცესიონერებმა უმოწყალოდ გაჩეხეს უნიკალური ფიჭვის, სოჭის და ნაძვის კორომები. ასევე ნადგურდებოდა კაკალი, ბზა, წაბლი და სხვა ძვირფასი ტყის სახეობები. უფრო ადრე კი ველური ურდოები უმოწყალოდ ანადგურებდნენ თბილისის გარშემო არსებულ ფიჭის უღრან ტყეებს.

მიმდინარე საუკუნის განმავლობაში ქართველმა ერმა უდიდესი შრომა დახარჯა იმისათვის, რომ თბილისის გახრიოკებული შემოგარენი და სხვა რეგიონებიც მწვანე სამოსელით დაეფარა. სიამაყის გრძნობით უნდა ითქვას, რომ ჩვენს ტყეებს თითქმის 100 ათასი ჰექტარი ხელოვნურად გაშენებული ტყის კორომები შეემატა.

ხელოვნურად შექმნილი ტყის კორომები დიდ მოვლა-პატრონობას საჭიროებენ. ამ ბოლო დროს შექმნილი ვითარება კი ამის საშუალებას არ იძლევა. იჩაგრება არა მარტო ხელოვნურად შექმნილი, არამედ ბუნებრივი ტყეებიც. ჩვენი მოწინავე საზოგადოების მიერ ტყეების მდგომარეობაზე გამოთქმული შეშფოთებები დროული და სამართლიანია. ქართული ტყე ისევ ისე ქართველებმა უნდა გადავარჩინოთ. დღეს მოღვაწე უფროსი თაობის მეტყევეები, რომლებიც სიტყვა ეთქმით ფართო მასშტაბით, ისეთი დიდი მეცნიერებისა და პატრიოტების აღზრდილები არიან, როგორებიც იყვნენ ვასილ გულისაშვილი და ნიკო კეცხოველი.



რა ხდება თბილისის შემოგარენში. ოდნავ დაკვირვებული ადამიანი ადვილად გაარჩევს, რომ თრიალეთის ქედის ჩრდილო ექსპოზიციის ფერდობები ნათლად არიან შეფერილები. ასეთივე მდგომარეობაა სამხრეთის მხარეზედაც. რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ხელოვნურად გაშენებული ტყის კორომების ერთი ნაწილი ხმება. თბილისის შემოგარენი, ძირითადად წიწვოვანი ტყით არის დაფარული. საერთოდ კი, ქართველი სპეციალისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თბილისი და მისი შემოგარენის გამწვანებაში უამრავი (დაახლოებით 550) ადგილობრივი და შემოტანილი სახეობა და სახესხვაობა მეტ-ნაკლებადაა გამოყენებული. რა ვიცით წიწვოვანი ტყის შემქმნელი სახეობების შესახებ? წიწვოვანი მცენარეების 55 გვარი 600 სახეობას აერთიანებს. ბუნებრივად ისინი იზრდებიან ორივე ნახევარსფეროზე სუბტროპიკული და ზომიერად ცივი კლიმატის პირობებში. აღნიშნული 55 გვარი გაერთიანებულია შვიდ ოჯახში. მაგ., ფიჭვისებრნი, უფხოვარისებრნი, კვიპაროსისებრნი და სხვა., ფიჭვისებრთა ოჯახი აერთიანებს 9 გვარს და 250 სახეობას. ამ ცხრა გვარიდან ერთი არის ფიჭვის გვარი. გვარი კი აერთიანებს ფიჭვის 100 სახეობას. ფიჭვების 99 სახეობა ბუნებრივად იზრდება და ვითარდება ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. მხოლოდ ერთი სახეობა შემოჭრილია სამხრეთში. ჩვენში ბუნებრივად ფიჭვის ოთხი სახეობა იზრდება, ესენია: კაუჭა ანუ კავკასიური, ბიჭვინთის, ელდარის და კოხის ფიჭვები. კიდევ ერთი სახეობა იმდენად ადრეა შემოტანილი, თუ ბუნებრივად მოხვედრილი ბათუმსა და ართვინს შორის, რომ მას სპეციალისტები ადგილობრივად მიიჩნევენ. ეს არის იტალიური ფიჭვი. შემოტანილი ფიჭვების უმეტესი რაოდენობა დასავლეთშია აკლიმატიზირებული. თბილისში და მის შემოგარენში დაახლოებით 13 სახეობა იზრდება. დედაქალაქის შემოგარენის გატყევებაში ადგილობრივ — კაუჭა და ელდარის ფიჭვების გვერდით გამოყენებულია შავი ფიჭვი. ამჯერად, ჩვენი ინტერესის საგანსაც სწორედ ეს სახეობა წარმოადგენს, ვინაიდან იგი ამ ბოლო დროს თბილისის ჰავას ველარ ეგუება და დიდი რაოდენობით ხმება. ვიდრე კონკრეტულად ამ სახეობას შევეხებოდეთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ცოტაოდენი ცნობები მივაწოდოთ ჩვენს მკითხველს ფიჭვის გვარზე საერთოდ. ფიჭვის გვარი, როგორც აღვნიშნეთ, 100-მდე სახეობას აერთიანებს. სიმაღლეში 1,5მ-დან 50მ-მდე და ზოგ შემთხვევაში კი — 75 მეტრამდეც იზრდება. დიამეტრი ასევე 0,6 მეტრიდან 7,5 მეტრამდე აღწევს. ბევრი სახეობა სწრაფმოზარდია, სინათლის მოყვარულნი, ნიადაგის მიმართ დიდ მოთხოვნას არ აყენებენ. ყინვისა და გვალვის ამტანები არიან. გამოირჩევიან განსაკუთრებული დეკორატიულობით. ჩვეულებრივად ცოცხლობენ 150-500 წელი. ზოგი სახეობა განსაცვიფრებელი მონაცემებით ხასიათდება. მაგ., ფიჭვი არისტატა ამერიკის სამხრეთ დასავლეთში 6000 წელს ითვლის და როგორც ჩანს, ყველაზე ხანდაზმული მცენარეა მთელს მსოფლიოში. ფიჭნარებს პლანეტაზე 325 მილიონი ჰექტარი უკავია. მათ შორის ევროპაში 75, აზიაში — 80, ამერიკაში — 170. კავკასიაში ფიჭნარებში 275 ათასი ჰექტარი უკავიათ. საქართველოში კი 98 ათასი ანუ ტყით დაფარული ფართობის 4,2%. ყოფილი საბჭოეთის ტერიტორიაზე ფიჭნარებს 108 მილიონი ჰექტარი უკავათ, რომლის საერთო მარაგი 15 მილიარდ კბ-მეტრს შეადგენდა. საქართველოში ფიჭნარები სამხრეთ რაიონებშია გაადგილებული: ბორჯომი, ახალციხე, ასპინძა, ადიგენი. ფრაგმენტალურად გვხვდება კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე — სვანეთში და მთათუშეთში და სხვ. მაღალი ხარისხის მერქანი აქვს. კურორტოლოგის თვალსაზრისით, უძვირფასესი სახეობაა. ფიჭვის ღირსება და თვისებები ფართოდაა ცნობილი. ფიჭნარებში ჰაერი თითქმის სტერილურია. ამ და სხვა ძვირფასი თვისებების გამო მან მოიპოვა ფართო აღიარება. ამიტომ ხელოვნური ტყეების გაშენებაში იგი თითქმის მონოკულტურად იქნა აღიარებული. ამ ცდუნებას წარსულში ვერც სხვა ქვეყნები აცდნენ. წარსულში ევროპაში გაშენებულმა ფიჭვის მონოკულტურებმა მასობრივი ხმობა იწყეს. გერმანელი და სხვა ევროპელი მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მონოკულტურები რაც არ უნდა კარგი ზრდით გამოირჩეოდნენ, პირველ პერიოდში, შემდეგ მაინც იჩაგრებიან და სხვადასხვა დაავადების და მავნებლების მსხვერპლნი ხდებიან. ამიტომაც იყო, რომ მათ ერთხმად აღიარეს შერეული კულტურების უპირატესობა მონოკულტურაზე. სამწუხაროდ, ჩვენ სხვის შეცდომაზე ბევრი ვერ ვისწავლეთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენში, ძირითადად ოთხი სახეობის ფიჭვი იზრდება. აქედან ხელოვნური ტყეების გაშენებაში

*გაგრძელება მე-5 გვერდზე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე გვერდიდან

# ნესტან კირთაძე: ზოგიერთი თუ ეროვნული პოზიციიდან დღევანდელ მმართველ პარტიამდე მივიდა, მე პირიქით — მმართველი პარტიიდან ეროვნულ პოზიციამდე მოვედი!

ლი ყველა მოღვაწე ჩემთვის იდეალები არიან.

ჰობი კი შეიძლება არა მაქვს, რადგან, ღვთის მადლით, ერთგული გრძნობებით ვუკავშირდები ყველაფერს და არა პერიოდული გატაცებებით.

— **თქვენმა კომენტარმა სატელევიზიო პროგრამა „ალიონში" (17 აგვ.), რომ პოლიტიკური ზიგზაგების გადალახვის მხრივ, ნამდვილად ჩამორჩებით პარლამენტის ახლანდელ თავმჯდომარეს და მხოლოდ მეორე ადგილს იყოფთ ბატონ მიხეილ სააკაშვილთან ერთად, ელექტორატში, ალბათ, მეტად შთამბეჭდავი რეზონანსი გამოიწვია. მართლა და მართლა, რადგან ჩვენს საუბარში ფიგურალური სიტყვა-თქმანი იშვიათად არ გაისმის, ისიც ხომ ბრძნულად უთქვამს წინაპარს: ისეთმა ფურმა მირქინოსო!...**

**თქვენი აზრით, რატომ იწვევს ზოგიერთ მაღალსავარძლოსან პოლიტიკოსში თქვენი ეს ნაბიჯი მწვავე რეაქციას?**

— ეს ნამდვილად ასე გახლავთ და ამის გადამოწმებას რა უნდა, მაგრამ მათი მთავარი მიზანია, ილაპარაკონ მხოლოდ ნესტან კირთაძეზე. რატომ?! იმიტომ, რომ ეს არასასურველი ნესტან კირთაძე, რომელსაც ვერ წამოაძახებენ არაპროფესიონალიზმს და დილეტანტიზმს, რომელსაც ვერ წამოაძახებენ ბიოგრაფიას და ოჯახისშვილობას, რომელსაც ვერ წამოაძახებენ მაქინაციების შედეგად გამდიდრების მცდელობას და რომელმაც ყველაფერი პოლიტიკას შესწირა და მისგან მხოლოდ ტალახი და ლაფი მიიღო, რომელმაც პარტიული ჯგუფების ერთგულების ნაცვლად, ხალხის ერთგულება ირჩია, სწორედ ამ ნიშნით უნდა მოიხსენიონ უარყოფით კონტექსტში. მაშინ, როდესაც პარლამენტის დარბაზშიც და მთავრობის შენობაშიც, ყოველი პირველი თუ არა, ყოველი მეორე, ნესტან კირთაძეს უსწრებს და გულწრფელად დამიჯერეთ, არა იდეებისათვის ბრძოლაში.

და მეორეც, თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა ვუთხრა ამ საკითხებით დაინტერესებულ ყველა პირს, ჟურნალისტი იქნება თუ პოლიტიკოსი, სექტემბრიდან მოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაესწრონ ჩემი და ჩემი კოლეგების ლექციებს, გაეცნონ ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიას და კარგად ნახავენ, რომ ასეთი მაგალითები ქართული პოლიტიკის მაგნატების ბიოგრაფიაშიც უამრავია და ეს იდეის ძიების, იდეური სრულყოფილების გამოა გამოწვეული პატიოსან შემთხვევაში. მაგრამ ეს ხომ არავის აინტერესებს! განმქიქებელთ კი, საბოლოოდ, ერთს ვეტყვი: რომელ ედპ-ს შეახსენებთ ნესტან კირთაძეს მას შემდეგ, ერთი პარტიისაგან ორი სხვადასხვა სახელწოდების პარტია რომ არსებობს? რომელ მოქალაქეთა კავშირს შეახსენებთ ნესტან კირთაძეს, რომლის ერთი ნაწილი მემარჯვენე ლიბერალ-დემოკრატია, ხოლო მეორე ნაწილი სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესებზე დადის? პროფესიონალი პოლიტიკოსისათვის ეს შოკია, ობივატელისათვის — გაუგებარი, კონიუნქტურისტისათვის ყველაფერი სულ ერთია, ოღონდ კი ამ პოლიტიკამ პირადად მისი კეთილდღეობისათვის იზრუნოს. ამ პოლიტიკური კასტის კალმოსანი ჟურნალისტისათვის კი ეს ფაქტი ხომ საერთოდ არ უნდა გაშუქდეს და, ბოლოს, იმ ლეიბორისტებს შეახსენებთ ნესტან კირთაძეს, რომელთა მესვეურებმაც ეს სახელწოდება მხოლოდ მას შემდეგ შემოიტანეს, როდესაც კირთაძემ და მისმა უნივერსიტეტელმა მეგობრებმა სახალხო-დემოკრატიული კავშირი შექმნეს და უწყინარი სახელწოდების ფრაქციას, რომელსაც „ამომრჩეველი" ერქვა, „ლეიბორისტი" დაარქვეს და მას შემდეგ, რაც ფრაქციის ყველა წევრის და მოწვეული სტუმრების თანდასწრებით ნესტან კირთაძემ ხმამაღლა განაცხადა: ჩვენი ორგანიზაცია თქვენთან ერთად არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებსო, სულმოკლე შალიკო ნათელაშვილმა მეორე დღეს ჩემი გარიცხვის განცხადებით უპასუხა. ბოლოს, ერთი რამ მინდა გაგანდოთ: პარტია ბევრია, როგორც ამბობენ — ასზე მეტი, მაგრამ ეროვნული ინტერესი ერთადერთია. სწორედ ეს არ უნდა გაიცვალოს და გაიყიდოს და „რას ვარგებ მე ჩემს ქვეყანას" უნდა დარჩეს მთავარ მამოძრავებელ ლაიტმოტივად, თითოეული პოლიტიკოსის აზროვნებისა და ცხოვრების წესად და, არა ის ლოზუნგი, რომელიც დღეს დომინირებს ქართულ პოლიტიკაში, ანუ „დღეს რას მარგებს მე ჩემი ქვეყანა", რომლითაც აზროვნებს ზოგიერთი ჩემი კოლეგა, საუბედუროდ.



— **რამდენადაც ვიცით, ქართულ მწერლობასთან, ზოგიერთი პარლამენტარისა და კიდევ უფრო ზოგიერთი ყოფილი დისიდენტისაგან განსხვავებით, თქვენ თბილი დამოკიდებულება გაკავშირებთ. ესეცაა — მწერალი პოლიტიკოსს რატომ უნდა ეჯავრებოდეს?! აქ, უნებლიეთ, გვაგონდება ყოვლად უაზრო საპლაკატო ფრაზა საბჭოური ხანიდან — „ლენინს ბავშვები უყვარდა!" გნებავთ, ხატზეც დავიფიცებთ, რომ მაშინაც გვიკვირდა — რატომ უნდა ჰყვარებოდა იმ კვდარძალლს ბავშვები?!**

— მწერლებთან სულიერი სიახლოვის ერთ-ერთ ნიშნად თუნდაც ბატონ ოტიასთან თქვენს დამოკიდებულებას აღვნიშნავთ, ხოლო თქვენი განსწავლულობის საბუთად — ენის ჩინებულ ცოდნას. იშვიათად გვსმენია თქვენგან (ზოგიერთი პარლამენტარისა და ა. შ. განსხვავებით!) ისეთი ენობრივი ლაფსუსები, როგორიცაა: „ვსვავ" („ვსამ"-ის მაგივრად), „წინ" („წინათ"-ის წილ!), „მცნება" („ცნების" ნაცვლად!), „ცივილური" („ცივილიზებულის" ადგილას!), და ასე გაუთავებლად!

ყოველივე ქართული, გასაგებია, რომ ქართული ენით იწყება, მათ შორის, ქართული პოლიტიკაც, მაგრამ, მაინც — საიდან იღებს სათავეს თქვენი დახვეწილი ქართული? განსაკუთრებული პედაგოგები გყავდათ, ოჯახური გარემოდან, ან, იქნებ, სწორედ მწერლობიდან?

— მადლობას გწირავთ ამ შეფასებისათვის და თუკი რამ მსიამოვნებს — აღნიშნული ფაქტის თქვენგან ხაზგასმა, პირველ რიგში, რადგან ეს ყველაზე მეტად დედაჩემს ესიამოვნებოდა, რომელმაც ბავშვობიდანვე დაგვანათესავა ქართულ მწერლობას, ქართული ენის ჯადოსნურ სილამაზეს და სილაღეს, და თუკი ეს თავს იჩენს ჩემს ტრაფარეტულ, გაცვეთილ, პოლიტიკურ ლექსიკაშიც, მადლობის მეტი რა მეთქმის! რაც შეეხება ქართველ მწერლებთან, მხატვრებთან, რეჟისორებთან, მსახიობებთან ჩემს განსაკუთრებულ ურთიერთობებს, ეს სტილი და, უბრალოდ, ადამიანური ურთიერთობები არ არის, ესეც ჩემი ბავშვობიდან იღებს სათავეს, როდესაც ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ეწყობოდა შეხვედრები ჩვენს მწერლებთან და ნესტან კირთაძე გატაცებით კითხულობდა მათ ნაწარმოებებს. ბატონი ოტიას „დაჩის ზღაპრები" პატარა მონაფემ წაივიკითხე მისი თანდასწრებით. მუხრან მაჭავარიანის ეპოქალური ლექსის — „საბას" — წაკითხვის დროს ხომ მთელი დარბაზი ცრემლად იღვრებოდა. ყველგან ნახავდით ნესტან კირთაძეს: კირთაძე მხატვრების სახელოსნოში, კირთაძე სხვადასხვა თეატრების რეპეტიციებზე და აქ ყალიბდებოდა მისი პიროვნება, რომელსაც სიმართლისა და სამშობლოს სახელით წინ ვერავინ დაუდგება.

— **ბედის ირონიით, უმეცრებით ან (იქნებ, განგებაც), ჩვენი პოლიტიკოსები (სავარაუდოა, მათი პარტიული წარმომავლობის მიხედვით!) საქართველოს პირველ პრეზიდენტად სამ პიროვნებას მიიჩნევს (და, არამც და არამც — მოიაზრებს!!!): ნოე ჟორდანია, ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე.**

**თქვენ რას იტყოდით, რომელია, მათ შორის საქართველოს პირველი პრეზიდენტი?**

— ვფიქრობ, ისტორიული წარსულის არცოდნით ასახელებდნენ ნოე ჟორდანიას საქართველოს პირველ პრეზიდენტად. 1918-21 წწ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიით ქართული სახელმწიფოებრიობა კი აღსდგა, მაგრამ დაიწყო ახალიც: პირველად, მონარქიული წყობა ხალხის, რესპუბლიკურმა



წყობამ შეცვალა, მაგრამ ამ წლების საქართველომ მხოლოდ საკანონმდებლო და წარმომადგენლობითი ორგანო — დამფუძნებელი კრება აირჩია საყოველთაო-სახალხო ფარული კენჭისყრით. საქართველოს პრეზიდენტი პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას არ აურჩევია.

და თუ სადმე ირონია არ ჩაატანა ბედმა ქართველთა ისტორიას, ეს სწორედ ჩვენს პირობებში მოხდა, როდესაც, საუკუნის ბოლოს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თავის პირველ პრეზიდენტად სწორედ დამოუკიდებლობის იდეისათვის მებრძოლი ზვიად გამსახურდია აირჩია. მოდით, ერთად დავფიქრდეთ ამაზეც, ისტორია აქ კანონზომიერი იყო. ნოე ჟორდანიამ 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი წაიკითხა, ანუ კითხულობდა იმას, რაც 25-ში არ სჯეროდა და, ალბათ, ისტორიის კანონზომიერებამაც სწორედ მას მიაკუთვნა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ტიტული, ვინც ამისთვის ყმაწვილობის წლებიდან იბრძოდა — ზვიად გამსახურდია! ეს არის ობიექტური რეალობა.

— **მოგეხსენებათ, მსოფლიოში შვიდი საოცრებაა ცნობილი. ხშირად, როდესაც ვინმეს ან რაიმეს ხოტბის შესხმა სურთ, აპრიორულად იტყვიან ხოლმე, მსოფლიოს მერვე საოცრებააო!**

**თქვენთვის რომ ეკითხათ, ვის ან რას დაასახელებდით, პირობითად, მსოფლიოს მერვე საოცრებად?**

— ვისაც უნდა საოცრებები ითვალოს და რაც უნდა ის დაასახელოს მერვედ, მეცხრედ და მეათედ, მაგრამ ჩემთვის, თქვენთვის და მთელი საქართველოსათვის და მთელი ქართული ემიგრაციისათვის ნამდვილ საოცრებად იქცა 1990 წლის ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნები. ჭეშმარიტი ქართველობა 1921 წლის 26 თებერვლიდან ელოდებოდა კომუნისტური რეჟიმის დამხობას საქართველოში; მას შემდგომ ბევრი სისხლის ქცევაც მოხდა საქართველოში დამპყრობელთა წინააღმდეგ და აგერ ახლა, რამდენიმე დღეში, 28 მარიამობას ქართველობამ უნდა აღნიშნოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გვირგვინის — 1924 წლის სრულიად ქართველთა აჯანყების 75-ე წლისთავი, მაგრამ მთელი სამოცდაათი წლის განმავლობაში ძალამ აღმართი ხნა და სისხლის კალო ლეწა. დარჩა იდეალი და დარჩა შიშველი იდეებით ბრძოლა და აგერ ჩვენს დღეებში ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" მიმართ გამოხატული ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობის ნდობით დასრულდა ყველაზე პირსისხლიანი რეჟიმის არსებობა საქართველოში და 1991 წლის 31 მარტის, საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმით, ქართველმა ხალხმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას და მეოცე ასწლეულის ისტორიის ყველაზე დიდი იმპერიის პირობებშივე პატარა საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დამიჯერეთ, ეს ჩემთვის, თქვენთვის, ყველა თაობის ქართველისათვის საოცრება იყო. მაგრამ ეს საოცრება მხოლოდ გამთლიანებულმა ქართულმა პოლიტიკურმა გონმა და ერთიანმა ნებამ შეძლო.

— **ვთქვათ, თქვენმა ალიანსმა მომავალ პარლამენტში უმრავლესობა შეადგინა, ხოლო თქვენ თავმჯდომარეობამ მოგიწიათ! რას დატოვებდით და რის შეცვლას ეცდებოდით დღევანდელ საქართველოში? გამოიწვევდა თუ არა ეს ხელისუფლების შეცვლას ან დღევანდელი თქვენი პოზიციის შეცვლასაც? ასეთი რამ ხომ საკმაოდ ნაცნობი ხილია ქართველი პოლიტიკოსებისათვის!**

**ერთი სიტყვით, ესაუბრეთ გაზეთის მკითხველებს იმ პროგრამა-მაქსიმუმზე, რომლის განხორციელებასაც ეპირებით გამარჯვების შემთხვევაში.**

— ვერცერთმა გაზეთმა და ვერცერთმა ჟურნალისტმა ვერასდროს შეძლო მოესმინა და დაებეჭდა ჩემი ასეთი ვრცელი აღსარება, მაგრამ ღვთის მადლით, ჩემი სამეცნიერო-შემოქმედებითი მოღვაწეობით, რომელიც აგერ უკვე 13 წიგნსა და მონოგრაფიას მოითვლის, ჩემი პოლიტიკურ-პრაქტიკული მოღვაწეობით არასოდეს შემიცვლია და არც არასოდეს გამიცვლია ჩემი ეროვნული მსოფლმხედველობა და ეროვნული ინტერესი. რაც შეეხება თქვენს სურვილს, რომ ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო", ანუ ის ბლოკი, რომლის სახელიც უახლოეს ისტორიაში ჩაიწერება — საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და გამოცხადების გვერდით, როგორც ყველაზე ღირსეული პოლიტიკური ბიოგრაფიის ძალა, რომელიც დღეს ეროვნულ-პოლიტიკურ ძალთა ახალი ერთობით წარსდგა ამომრჩევლების წინაშე, ანუ ძველი იდეებით და განახლებული შემადგენლობით, მაშინ მოვა რაოდენობრივად ბევრი, თუკი ამას კარგად გაიცნობიერებს არა ერთი და ორი ქართველი, არამედ მთელი საქართველო და დღევანდელ უმძიმეს ვითარებას: შეკრეჭილ და შეკვეცილ საქართველოს, გახლეჩილს და გაორებულს, ასეულობით ათას, საარსებო მინიმუმისათვის უცხოეთის ქვეყნებში მოსამსახურეებად გზაშემდგარს, ქუჩაში გაყრილ ჩვენს ახალგაზრდობას, პენსიების მომლოდინე სასიკვდილოდ განწირულ ჩვენი მამებისა და დედების თაობას, თამამად თვალებგასწორებული ზოგიერთი ჩემი კოლეგა ყოველდღე ჩვენს ხალხს რჩევას აძლევს, რომ ქართველმა ხალხმა არჩევანი გააკეთოს ცუდსა და კარგს შორის, უფრო მეტიც, ცენტრების თეორიით, ახალი პოლარიზმისა და ახალი კონფრონტაციული იდეოლოგიით შემოდის და მოსალოდნელი ორხელისუფლებიანობით აშინებს ქართველ ხალხს. ჩვენი წარსულისა და შვილების სახელით ვეუბნებით, რომ საუკუნის ბოლოა ახლა. რამდენიმე თვეში ქართველი საზოგადოება ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წელს აღნიშნავს, რამდენიმე თვეში ქრისტეს დაბადების ორი ათას წლისთავს და მესამე ათასწლეულში საქართველო ისტებად და იზმებად დაყოფილი არ უნდა შევიდეს! საქართველო კვლავაც გაორებული და გახლეჩილი არ უნდა შეხვდეს XXI საუკუნეს, კაცობრიობის ისტორიის ახალ მიჯნას, რადგან მხოლოდ სულიერად და პოლიტიკურად გაერთიანებულ ხალხს აძლევს ისტორია შანსს, ააშენოს და განამტკიცოს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო. ამიტომაც ჩვენ ვეუბნებით ქართველობას, რომ არჩევანი გააკეთოს არა ცუდსა და უარესს შორის და არა ახალი კონფრონტაციებით, არამედ ბარიკადების მოხსნის შესაძლებლობის დასაწყისზე, რადგან ამ ბარიკადებს შუა მთელი თაობა წამოიმართა, რომელიც ვერსად ვერ განაპირდება და ვერსად ვერ შეაფარებს თავს. იგი ჩვენი შვილების თაობაა, რომელიც შუაში დგას მომავალი ორიენტირის გარეშე და შეიძლება ისე გაიჭყლიტოს, რომ საქართველოს მომავალი თეორიულადაც კი დავუკარგოთ. და, რადგან, ღვთის მადლით, ზვიად გამსახურდიას იდეოლოგიურმა და პოლიტიკურმა მემკვიდრემ, ბლოკმა — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო", ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე მიიღო გადაწყვეტილება იყოს ამომრჩეველიცა და არჩეულიც — ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ პოლიტიკაში მოდის ზნეობრივად სუფთა, იდეებითა და იდეალებით სავსე, არაკორუმპირებული და პატიოსანი, ინტელექტუალური და პროფესიონალიზმის მაღალი ნიშნით აღბეჭდილი პოლიტიკური ნაკადი, რომელსაც ერთადერთი — ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობის ერთიანი ნებით მხარდაჭერა სჭირდება! პროგრამას ბლოკი ოფიციალურ დონეზე წარუდგენს ჩვენს საზოგადოებას. ამჯერად კი, მისი საპროგრამო მინიმუმიც და მაქსიმუმიც არის საქართველო, არა როგორც ტრასა ანუ დერეფანი, არამედ საქართველო, როგორც ქართული ეროვნული სახელმწიფო, ევროდასავლური პოლიტიკური ორიენტაციით და ეროვნული ღირებულებათა და ფასეულობათა მთელი სისტემით.

რაც შეეხება იმის კიდევ ერთხელ აღნიშვნას, რომ, გამარჯვების შემთხვევაში, ჩემი და ჩემი ბლოკელების მხრივ, არანაირ პოზიციურ სახეცვლილებას არ უნდა ელოდეთ, კი ბატონო, ვადასტურებ: ზოგიერთი პოლიტიკოსი თუ ეროვნულ-რადიკალური პოზიციიდან დღევანდელ მმართველ პარტიამდე მივიდა, მე, პირიქით, ამ უკანასკნელიდან „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" პოზიციამდე მოვედი. ვფიქრობ, ეს გზა უფრო საპატიოა და ღირსეული!

ესაუბრა

**გიზო ზარნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე გვერდიდან

# გერმანე ფაცაცია: მე ბევრი ინფორმაცია გამაჩნია, რომ ეს არის აშკარა პოლიტიკური შეთქმულება ქვეყნის წინააღმდეგ...

დებინა, რომელიც არ არის აფხაზურ ადმინისტრაციაში წარმოდგენილი, ეს იქნებოდა ჭეშმარიტი აზრი, მაგრამ როცა ამას ამბობს სეპარატისტული ხელისუფლების გავლენიანი პირი, ის ამას არავითარ შემთხვევაში არ იტყვის, დამკვეთი რუსეთი რომ არ იყოს. ეს არის თამაში ყოველგვარი პოლიტიკური წესების გარეშე. ასე რომ, ასეთ განცხადებას აჩბა გააკეთებს, არძინბა თუ ლაკობა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

**— ჩეჩნეთ-დაღესტანში მიმდინარე მოვლენები ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაზე ხომ არ მოახდენს გავლენას?**

— ჩრდილო კავკასიის შესახებ მე ბევრი რამე გამეგება. არაერთგზის ვარ ნამყოფი, შევხვედრივარ ჩეჩნეთის, დაღესტნის, ინგუშეთის და რუსეთის ფედერაციის სხვა სუბიექტების წარმომადგენლებს. ამ ორი წლის წინ კრახით დაგვასრულებინეს „კავკასიური სახლის" იდეა, რომლის მთავარი პრინციპი უნდა ყოფილიყო ურუსეთო კავკასია. ამ იდეამ ვერ პოვა მხარდაჭერა ვერც ჩვენს პარლამენტში, ვერც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. მათ კავკასია რუსეთის გარეშე ვერ წარმოედგინათ. ვიდრე კავკასიაში იქნება რუსეთი, საქართველოს სრულფასოვანი დამოუკიდებლობა წარმოუდგენელია.

რაც უფრო გაღრმავდება დაპირისპირება კავკასიასა და რუსეთს შორის, და რაც უფრო მეტ კრახს მიიღებს სამხრეთ დაპირისპირებისაგან რუსეთის იმპერია, მით უკეთესია ჩვენთვისაც და კავკასიისთვისაც, რადგან, საბოლოო ჯამში, რუსეთს მოუწევს კავკასიის დატოვება. კავკასია უნდა გახდეს ურუსეთო.

ვისაც კავკასიური ცნობიერება აქვს და თავისი ერის დამოუკიდებლობა უნდა, რუსეთის მარცხი კავკასიაში უნდა ახარებდეს. ჩეჩნეთის ორსაუკუნოვანმა ბრძოლამ თავისუფლებისათვის იმპერიის წინააღმდეგ თავისი შედეგი გამოიღო — ის თავისუფალია. მან ძალიან დიდი ცოცხალი რესურსი და საერთოდ, სიმდიდრე დაკარგა, განადგურდა, გაპარტახდა, მაგრამ მიაღწია თავისუფლებას. ის ჭეშმარიტი ლიდერია კავკასიაში. ისინი გვეუბნებიან, საქართველო კი არის კავკასიაში ლიდერი, მაგრამ ვერ გავუგეთ თქვენს ხელისუფლებას, რომელიც მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რომ სომხეთივით არ არის სამხრეთ კავკასია ან ჩრდილოეთ ოსეთივით მეხუთე კოლონა არ არის ჩრდ. კავკასიაში, ეს მაშინ, როცა საქართველომ ლიდერის ფუნქცია უნდა იტვირთოს.

რაც შეეხება ჩეჩნების მონაწილეობას ე. წ. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, არ ვიცი, მსგავსი ფაქტები ექვემდებარება თუ არა მონანიებას, მაგრამ ეს ამბავი მონანიებულია. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ჩეჩნეთის მაშინდელი ხელისუფლების მიერ სახელმწიფოებრივ დონეზე არ გადაწყვეტილა ჩეჩნეთის მონაწილეობა ამ კონფლიქტში. რუსეთის აგენტურა ბრწყინვალედ მუშაობდა. მაშინ ფუნქციონირებდა „მთიელ ხალხთა კონფედერაცია". რომელიც იყო ემპირიულად განფენილი სტრუქტურა რუსეთის სპეცსამსახურებისა. ჩრდ. კავკასიაში არის ისეთი სუბიექტები, რომელთაც ვერ წარმოუდგენიათ რუსეთის გარეშე ცხოვრება, მაგ. ადიღე, ჩერქეზეთი, ყარაჩაეთი, ამის ფონზე ძალზე სიმპტომატურია ის, რომ დაღესტანი, რომელიც რამდენიმე ათეულ ეთნოსს ითვლის, აღსდგა რუსეთის იმპერიის ვაკხანალიის წინააღმდეგ. ეს რომ იქ თითქოს ვაჰაბიზმის ნიშნით კეთდება, მე ამას ასე არ ვიტყოდი. მე არც ერთ ვაჰაბიტს არ შევხვედრივარ, როცა რამდენჯერმე მოვიარე ჩრდ. კავკასია და დაღესტანი. ვიცი დაღესტნური ეთნოსების: დარგინების, ავარელების განწყობილება.

**— მაგრამ ფაქტია, რომ ვაჰაბიზმი მძლავრად იკიდებს ფეხს კავკასიაში, მათ დამოუკიდებელი მუსულმანური სახელმწიფოც კი გამოაცხადეს დაღესტანში.**

— კი, ეს ყველაფერი გასაგებია. მაგრამ ამ დროს ჭეშმარიტება სულ სხვაგან ძევს. დაღესტანი — უმდიდრესი სულიერი და მატერიალური პოტენციალის ქვეყანა, აბსოლუტურად დაბეჩავებულ მდგომარეობაშია. თან რუსეთი ამაღლის, რომ 80% ფედერალური ბიუჯეტიდან ხდება მათი დეფიციტის შევსება. ეს იმპერიული პოლიტიკის ჩვეულებრივი რეციდივია, რომ აი, ჩემს გარეშე შენ დაიღუპებიო. თვითონ რუსების მიმართ არის რუსეთის ბიუჯეტი გამწყრალი და როგორ ფიქრობენ ასე კავკასიის მიმართ?! ის საუკუნეების მანძილზე იბრძოდა კავკასიის დასაპყრობად და ვერ ეგუება იმ აზრს, რომ შეიძლება დატოვოს კავკასია, არადა, ეს მოუწევს მას.

კავკასიაში ყველა ერმა და ეთნოსმა უნდა მოიცეს იმის გონი, რომ მათი ხსნა სწორედ ურუსეთო კავკასიაშია. უნდა ვებრძოლოთ პოლიტიკურად. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო რუსეთმა წაგვართვა, მაგრამ ამას უწოდებენ ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტს. მშვიდობისმყოფელის პოზაში კი რუსეთი დგას.

**— რომელიც შეცდომით აგდებს ომალოში ბომბებს...**

— რანაირ შეცდომაზეა ლაპარაკი. თურმე, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სინანული და მწუხარება გამოუხატავს. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ოფიციალური დოკუმენტი ამის შესახებ არ არსებობს. ეს შეცდომა კი არა, შენთვის გამზადებულ კუნძზე თავის დადებაა, ჩვენი ხელისუფლების პოზიცია არის ასეთი, უპრეცენდენტო შემთხვევა მოხდა, რუსეთმა მოიბოდიშაო. რომელ მობოდიშებაზეა საუბარი. ჩვენ სტალინური პოზიციით ვუყურებთ ყველაფერს. ის, რომ ახალგაზრდა დაინვალიდდა, ქუსლის ამპუტაცია გაუკეთეს და თავი არ მოწყდა, ეს უკვე ბედნიერებაა? სტატისტიკით ვუდგებით ქართველთა სიცოცხლეს და უბადრუკი საქართველოს პოტენციას. მე არ მესმის, რანაირად ამართლებენ დღევანდელი დემოკრატები თუ ფსევდოდემოკრატები სტალინურ ფორმულას — ერთი ადამიანის სიკვდილია ტრაგედია, დანარჩენი სტატისტიკააო.

**— ფრაქცია „აფხაზეთის" დეპუტატებს გაუგრძელდათ სადეპუტატო უფლებამოსილება. მართალი გითხრათ, ხალხი ცოტა სკეპტიკურად უყურებს ამას, აქამდე არაფერი გაუკეთებიათ და აწი რაღას იზამენო...**

— ცხადია, ასეთი განწყობილება იქნება, მაგრამ მე მათ მარტივ ჭეშმარიტებას შევახსენებ: სად გინახავთ, 10-კაციან ფრაქციას ოკუპირებული ტერიტორია დაებრუნებინოს? პოლიტიკური გადაწყვეტილება, ეს არის უმრავლესობის ნება. ჩვენ ვიბრძოდით ამისათვის, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ვისაც უხარია უფლებამოსილების გაგრძელება, ის, უბრალოდ, ან ტუტუცია, ან სულელი. მიუხედავად იმისა, რა პოზიცია ეჭირა აფხაზეთიდან არჩეულ საქართველოს პარლამენტის დეპუტაციას, აუცილებელი იყო უფლებამოსილების გაგრძელება, სანამ აფხაზეთის ტერიტორია ოკუპირებულია, რადგან ეს არის ერთადერთი ლეგიტიმური წებო, რომელიც აწებებს აფხაზეთს დანარჩენ საქართველოსთან. რომ არ გაგრძელებოდა ფრაქციას უფლებამოსილება აფხაზეთის დაბრუნებამდე, ეს იქნებოდა, ფაქტიურად, უარის თქმა აფხაზეთზე. საარჩევნო კანონში აღნიშნულია, რომ, როგორც კი ჩვენი იურისდიქცია აღსდგება აფხაზეთში, და ღმერთმა ქნას, ეს ამ შემოდგომის რეჟიმში იყოს, მაშინვე ჩატარდება არჩევნები და ავტომატურად უწყდება უფლებამოსილება ამ დეპუტაციას. ღმერთმა ქნას, ჩვენ ეს უფლებამოსილება შეგვეწყვეტოდეს არჩევნებამდე და არჩევნებში ველარც მოვასწრებთ მონაწილეობის მიღებას. მართალი გითხრათ, არანაირი სურვილიც არ მაქვს ამისი.

**— არძინბა ამ შემოდგომაზე თვითონ ატარებს არჩევნებს...**

— არძინბას ამ არჩევნებში ხელისშემშლელიც არავინ ჰყავს. ის ყველა ნაბიჯს დგამს, რომ იურიდიულად გაიფორმოს ფაქტობრივად მოპოვებული დამოუკიდებლობა. ფრაქცია „აფხაზეთს" რომ არ გაგრძელებოდა უფლებამოსილება, ჩვენ უზარმაზარ ნიაღვარს მივუშვებდით არძინბას წისქვილზე, ეს იქნებოდა იურიდიულად აფხაზეთის აღიარებისაკენ ჩვენს მიერვე გადადგმული მძლავრი ნაბიჯი.

**— გალში გადასული მოსახლეობის ნაწილი კი, როგორც აცხადებს, მიიღებს აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. მათი აზრით, გალში მცხოვრებ ქართველებზე არც არძინბა ზრუნავს და არც შევარდნაძე, მაგრამ ამ ტერიტორიაზე არძინბას მომადლიერება უფრო საჭიროა.**

— არძინბას საპრეზიდენტო არჩევნებში (თუ იქამდე არ მოკლეს და თუ ვინმე მისი მკვლელი იქნება, ჩვენ ამის გამკეთებლები არა ვართ, ჩვენდა საუბედუროდ, მას მოჰკლავს, თუ დასჭირდა რუსეთის იმპერია) მინიმუმ 60000 აჩვენებენ არძინბას მხარდამჭერს. 60000 ათასი ამომრჩეველი გალის რაიონში არ ყოფილა კომუნისტობის პერიოდში. მე წინასწარ გეუბნებით პროგნოზს, რომელიც მერე შეგიძლიათ გადაამოწმოთ და თქვათ, გერმანე ფაცაცია ნათელმხილველი ხომ არ ყოფილაო. ამ ციფრს ქართველებს დაუდებენ და ეტყვიან, ხომ ხედავთ, 60000 ამომრჩეველმა არძინბას ხმა მისცაო. ამის შემდგომ ამ ხალხს მისცემენ საშუალებას, მიიღოს მონაწილეობა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში, საარჩევნო ყუთებსაც დაუდგამენ, ყველანაირ პირობას შეუქმნიან და იქაც ზუსტად იგივე რიცხვი — 60000 გამოჩნდება. ამას ჩვენი ბედოვლათი ხელისუფლება ყლაპავს. აქ რომელი ძალა, პარტია მოიპოვებს უმეტეს ხმას, მნიშვნელობა არა აქვს. იქ, სადაც 5000 ქართველი ამომრჩეველი არ არის, არძინბაც დააფიქსირებს 60000 და შენც იგივეს დაგაფიქსირებინებს. აქ ამით ვიღაცა გაიხარებს. სამაგიეროდ, ჩვენი ხელდასმით არძინბას ლეგიტიმაციის დასტური იქნება ეს. ამაშია მთელი პარადოქსი.

**— ხელს კი ვერანაირად ვერ შეუშლით...**

— არც არავინაა ხელისშემშლელი.

**— ლტოლვილთა პრობლემების გადაჭრას როგორ აპირებთ. მოგეხსენებათ, მათ ძალიან მძიმე პირობებში უხდებათ ცხოვრება. სენაკში გაფიცვებით იმუქრებიან, სხვა რაიონებში მაცხოვრებელი დევნილები უკმაყოფილებას გამოთქვამენ...**

— მათი მდგომარეობა ძალიან ტრაგიკულია, მაგრამ ვერ გამიგია ამ ხალხის. ამოდენა მონსტრები რომ არის შექმნილი აფხაზეთის ხელისუფლების სახით. — აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, მინისტრთა საბჭო, თავისი სტრუქტურით, ეს არის ამ ხალხის ხელისუფლება. ჩვენ, აფხაზეთიდან არჩეული დეპუტატები, სოციალური უზრუნველყოფის ორგანო ვართ? ჩვენ შეგვიძლია რამე? პარლამენტი არის პოლიტიკური, კანონშემოქმედებითი ორგანო, სადაც არცერთი საკითხი, რომელიც ჩვენ დაგვიყენებია, არასოდეს არ გასულა. უწინარესად პოლიტიკური საკითხები. თქვენ გახსოვთ, ალბათ, 21 დღე ვიშიმშილე და თავი სიკვდილამდე მივიყვანე, პროექტი წარვადგინეთ, თითქმის ყველა ჭკუათმყოფელისთვის პარლამენტში ეს მისაღები უნდა ყოფილიყო. მესამე წელია ის პროექტი იმტვერება, არავის განუხილავს, იმიტომ, რომ არ არის ეს ამ პარლამენტის ნება. ხალხის ნება კი არის, მაგრამ თვითონ პარლამენტი არ არის ხალხის ნების გამომხატველი.

**— აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ბრალიც ხომ არ არის?**

— იცით რა, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება, როგორც ზოგადად ხელისუფლება, არის ძალიან კარგად. მათ ხელისუფლების არცერთი ატრიბუტი არ აკლიათ. ვიდრე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა არსებობდა საქართველოს შემადგენლობაში, მაშინდელი უმაღლესი და მინისტრთა საბჭო რომ აიღოთ, 100-ჯერ მეტი მარტო სატრანსპორტო საშუალებები გააჩნია დღეს. ეს არის ხელისუფლება, რომელიც თავიდან ბოლომდე არის გადასული თვითმომსახურებაზე.

**— ესეც იწვევს ხალხში აღშფოთებას.**

— რომ იწვევს და რომ აპირებენ აქციებს, მივასწავლი ადრესატს, აფხაზეთის ხელისუფლებას, ლეგიტიმურ ხელისუფლებად წოდებულს.

რაც შეეხება ფრაქცია „აფხაზეთის" დეპუტაციას, პერსონიფიცირებულად განიხილონ თითოეულის საკითხი. მე, გერმანე ფაცაციას, წამომიყენონ ბრალი, რა შემეძლო და რა არ გავაკეთე. მათ პროტესტი უნდა გამოხატონ პარლამენტისა და პრეზიდენტის მიმართ, რომელიც, კონსტიტუციის მიხედვით, უნდა იყოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი. ეს გარანტიები უნდა უზრუნველყოს პარლამენტმა, რომელსაც თითი არ გაუნძრევია იმისთვის, რომ პოლიტიკური არეალი შექმნილიყო, პოლიტიკური გადაწყვეტილების სახით, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

**— ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და აფხაზეთის დაბრუნების გარანტად ბატონ ვახტანგ რჩეულიშვილს ასლან აბაშიძის პრეზიდენტად არჩევა მიაჩნია. ამას რა კომენტარს გაუკეთებთ.**

— მე რომ გითხრათ თქვენ, რომ ვღებულობ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას და ვპირდები ჩემს ერს ტერიტორიულ მთლიანობას, მაშინ უნდა მომთხოვოთ კომენტარი.

ჩვენი ერის ნება არის დამოუკიდებელი საქართველო. დამოუკიდებელი საქართველო შეზღუდულია თავის უმთავრეს ატრიბუტებში, როგორიცაა რუსეთის ბაზების ყოფნა საქართველოში. ვინც მოვა იმ პროგრამით, რომ რუსეთის სამხედრო ბაზები უნდა იქნას გაყვანილი საქართველოდან, იმ კანდიდატს დავუჯერებ, რადგან მისი მოსვლის შემთხვევაში საქართველო აღადგენს ტერიტორიულ მთლიანობას. მე ჯერ არ წამიკითხავს პოლიტიკურ ძალთა პლატფორმები, ვინ სვამს ამ საკითხს ყველაზე აქტუალურად.

**— ბატონო გერმანე, დაბოლოს, ერთი კითხვა, გენერალ ოთარ ჩხარტიშვილის დაკავების თაობაზე თქვენს მიერ გაკეთებული განცხადება მხოლოდ ნათესაური კავშირით იყო გაკეთებული, თუ...**

— ძალიან ბევრი ინფორმაცია გამაჩნია ოთარ ჩხარტიშვილისაგან, ვიდრე აიყვანდნენ და სხვათაგანაც, რომ ეს არის აშკარა პოლიტიკური შეთქმულება ქვეყნის წინააღმდეგ. ეს რომ ასეა, მალე დარწმუნდებით. ოთარ ჩხარტიშვილი არის აბსოლუტურად უდანაშაულო. ის შიშველი ხელებით, მხარდამჭერების გარეშე დაუპირისპირდა რუსეთის იმპერიას.

სწორედ ამ საბრალდებო საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს პირველად ეძლევა შანსი, მოახდინოს იმ რუსეთის აგენტურის ლუსტრირება, რომელიც მას შეთქმულებას უწყობდა. მაგრამ ამის არანაირი მცდელობა არ არსებობს. მე ამ პროცესს ძალიან მოკლე ხანში მოვიგებ, ამას გპირდებით. ნათესაური კავშირით არ იყო ჩემი განცხადება გაკეთებული. მე ბევრი ანალოგიური პროცესი მომიგია, სადაც ჩემი ნათესავები არ ყოფილან.

მე მიკვირს, სამხედრო პროკურატურამ რატომ არ განაცხადა ოფიციალური პროტესტი ჩემს ღია მინიშნებებსა და ბრალდებებზე. გამოჰყავთ ვიღაც გია ჯიქია, რომელიც საერთოდ თვალით არ მინახავს, და აცხადებს, რომ თურმე მე ვტალახებდი სამხედრო პროკურატურის ოფისს. ამ ჯიქიამ არ იცის, მე რა მასალები მაქვს მასზე. ის არის ერთ-ერთი შეთქმული, ერთ-ერთი უბინძურესი როლის შემსრულებელი პიროვნება ამ შეთქმულებაში, სხვა მრავალთან ერთად ეს ყველაფერი სასამართლო პროცესზე გამოჩნდება და დადასტურდება ფაქტობრივი მასალით.

ამრიტა ჯანაშია

# რატომ ხმებიან ფიჭვები თბილისის შემოგარენში?

მესამე გვერდიდან

ძირითადად კაუჭა ფიჭვი, ელდარის ფიჭვი და შემოტანილი შავი ფიჭვი გამოიყენება. დღეისათვის სწორედ ეს შავი ფიჭვია დედაქალაქის ფერდობებს რომ აწითლებს და სხვადასხვა არასასიამოვნო მოსაზრებებს უქმნის ადამიანს. რა ვიცით შავი ფიჭვის შესახებ? შავი ფიჭვი (იგივე ავსტრიულია, სიმაღლეში 12-35 მეტრს, ხოლო დიამეტრში 100 სმ-ს აღწევს. მდიდარ ნიადაგებზე 50 მეტრამდეც შეიძლება გაიზარდოს. ბუნებრივად იგი იზრდება შუა და სამხრეთ ევროპაში: ალპებში, კარპატებში, იუგოსლავიაში, ბულგარეთში და რუმინეთში. ახალგაზრდობაში (25 წელი) ნელა იზრდება, შემდეგ ზრდის ტემპი საგრძნობლად მატულობს. ნიადაგის მიმართ დიდ მოთხოვნას არ აყენებს. ნაკლებად სინათლისმოყვარულია, იტანს გვერდით დაჩრდილვას. ყინვა-გამძლეა. შეუძლია 40 გრადუსიანი მკაცრი ზამთრის გადატანაც. უძლებს გვალვასაც. ტრამალებში გამძლეა მშრალი ქარების მიმართაც. ცოცხლობს 300-400 წელი. ბუნებრივი გავრცელების ადგილებში მთაში 1500 მეტრამდე ადის ზ.დ. ყოფილი საბჭოეთის ტერიტორიაზე, ძირითადად ევროპულ ნაწილში, ფართოდ და წარმატებით იყო გამოყენებული გამწვანების მიზნით. ერთი სიტყვით, ამ სახეობას მწვანე შუქი აქვს ანთებული, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპაში და ამიტომაც არ იყო შემთხვევითი მისით გატაცება ჩვენში. ჩვენი დაკვირვებით დადგენილია, რომ 25-30 წლის ხნოვანებაში იგი კარგად იზრდება. შემდგომში კი ზრდას ზომიერად ანელებს.

ჰავა და ნიადაგი ძირითადად განაპირობებენ ტყის ნებისმიერი სახეობის ზრდა-განვითარებას. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა ნიადაგობრივ პირობებში უხდებათ ცხოვრება ემიგრანტ სახეობებს თბილისის შემოგარენში, კერძოდ კი, მამა-დავითის მთის კალთებზე. ეს საკითხი კარგად არის გაშუქებული პროფ. გ. ტარასაშვილის (1945) მიერ. ამ ნიადაგებს ცნობილი მკვლევარი 5 ჯგუფად ყოფს: I-III ჯგ — 0,5-0.1 მეტრის სიღრმის ნიადაგებია; IV-V ჯგ — კი პრიმიტიული და გაშიშვლებული კლდოვანი ფერდობებია, სადაც ნიადაგი სრულად არ არის, გადარეცხილია. აი, ასეთ პირობებში, ძირითადად ხდება ტყის გაშენება თბილისის შემოგარენში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპაში — ავსტრიასა და შვეიცარიაში წარმოშობილი შავი ფიჭვი, ჩვენ დუხჭირ პირობებს ბოლომდე რომ ვერ გაუძლებს, ამას ალბათ, დიდი მტკიცება არ უნდა სჭირდებოდეს. საერთოდ კი, ევროპაში კანონით იკრძალება მერქნოვანი მცენარეების მიგრაცია დასაშვები ფარგლების მიღმა. ეგზოტიკა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ძვირი გვიჯდება და რაც მთავარია, იგი ეფემერულია.

დღეისათვის, თბილისის შემოგარენი მნიშვნელოვან წილად მწვანედ გამოიყურება. წითელი ფერები კი სიმწვანეში ლაქობრივად არიან გაფანტულები. ეს იმის მიზეზია, რომ 1998-1999 წლების თაკარა სიცხეს ევროპიდან შემოტანილმა შავმა ფიჭვმა ვერ გაუძლო და დიდი რაოდენობით იწყო ხმობა. რაც შეეხება მათ გარშემო არსებულ მწვანე სამოსელს, ეს ადგილობრივი წარმოშობის ფიჭვებისაგან არის შექმნილი. ესენია: მსოფლიოში რეკორდსმენი, გვალვაგამძლეობაში — ელდარის ფიჭვი და კავკასიის ტყეების მშვენება — კაუჭა ფიჭვი.

ელდარის ფიჭვი ისტორიულად საქართველოს ენდემია, ოდესღაც არსებული სარმატის ფიჭვის მემკვიდრეა. აბორიგენია და გვალვასაც კარგად ეგუება.

რაც შეეხება კაუჭა ფიჭვს, ისიც, ძირითადად, კავკასიის ბინადარია. ორივე სახეობას უნარი შესწევს შეეგუოს ექსტრემალურ პირობებს და ათეული წლების განმავლობაში ემსახუროს თბილისის მოსახლეობას. მომავალში, როდესაც ტყეების გაშენება განახლდება, უპირატესობა აბორიგენებს უნდა დაეთმოს. წიწვოვანებთან ერთად უნდა გამოვიყენოთ: ქართული მუხა, ქართული ნეკერჩხალი, მინდვრის ნეკერჩხალი, მთის მუხა, მაღალი მთის ნეკერჩხალი. საერთოდ კი, როგორც ამას აკად. ვ. გულისაშვილი (1975) აღნიშნავდა, თბილისის შემოგარენი სუბტროპიკული, ნაყოფისმომცემი მცენარეებით უნდა დაიფაროს: ზეთისხილი, ბროწეული, ლეღვი და სხვა მრავალი. ეს საკითხი საბაზრო ეკონომიკის პრობლემებსაც ეხმიანება.

ყველა ჩვენთაგანი გრძნობს, რომ თბილისს ბოლო 2-3 წლის განმავლობაში არნახული გვალვები შემოჩვია. ცხელა ქალაქში, სახლშიც და გარეთ, რა თქმა უნდა, შემოგარენში უფრო ნაკლებად. ამიტომაც სიცხისაგან გათანგული მოქალაქენი ქალაქის შემოგარენს მიაშურებენ სულის მოსათქმელად. ბევრი დამსვენებელი ჰყავს კუს ტბის მიდამოებს. უყურადღებოდ გადაგდებულმა ნაპერწკალმა შეიძლება დიდი ხანძარი გამოიწვიოს. გამხმარი ფიჩხნარების სახით უამრავი ფეთქებადი მასალაა დაგროვილი შემოგარენში. ხანძარი ტყეში დიდი უბედურებაა. მას შეუძლია მოკლე დროში გაანადგუროს ის, რაც ადამიანმა შექმნა საუკუნის განმავლობაში. თუ ხანძარი გაჩნდა, იგი ნედლთან ერთად ხმელსაც მოედება. თბილისის შემოგარენი ცეცხლისა და კვამლის ღრუბლებით დაიფარება. არ არის გამორიცხული, რომ იქ გაჩენილი ხანძარი ქარმა და ჰაერის დინებამ ქალაქის თავზე არ გადმოისროლოს. ღმერთმა ინებოს და ყველაფერმა კარგად ჩაიაროს, ჩვენი სურვილიც ეს არის, მაგრამ... ამიტომ საჭიროა დროული ღონისძიებების ჩატარება.

თბილისის შემოგარენში ხმელი ხე-ტყის ლიკვიდაციისათვის საჭიროა შემდეგი ოპერატიული სამუშაოების ჩატარება:

1. სპეციალისტებმა რეკოგნოსცირებით უნდა გამოავლინონ ხმობის ახალი კერები. მისცენ მათ ფიტოსანიტარული შეფასება;
2. დააზუსტონ ხანძარსაშიში ადგილები, სადაც ოპერატიულად უნდა ჩატარდეს პროფილაქტიკურ-სანიტარული ღონისძიებები;
3. სანიტარული ღონისძიება ითვალისწინებს: ა) ამორჩევით სანიტარულ ჭრებს, ბ) პირწმინდა სანიტარულ ჭრებს. იჭრება ხმელი ხეები. პროფილაქტიკისათვის უნდა მოიჭრას ხმობადი ხეებიც. ასევე ტანწრეცილი, დასუსტებულიც;
4. ტყის მავნე მწერების გამრავლების შემთხვევაში, მზად უნდა გვქონდეს შესაბამისი ქიმიური პრეპარატებიც;
5. შესაბამისმა ორგანოებმა: სატყეო დეპარტამენტი, გარემოს დაცვის სამინისტრო და სხვა, ოპერატიული ორგანიზება გაუკეთონ მათ დაქვემდებარებაში არსებულ საშუალებებს. გაუწიონ მათ ხელმძღვანელობა და სპეციალური ინსტრუქტაჟი;
6. სატყეო დეპარტამენტთან შეიქმნას სადღეღამისო შტაბი ცნობების ოპერატიული რეაგირებისათვის;
7. ყველა სპეციალისტმა მათი სამსახურებრივი მდგომარეობის მიუხედავად, შეძლების ფარგლებში, ქმედითი მონაწილეობა უნდა მიიღონ დასახული ღონისძიებების განხორციელებაში.

ხანძარსაშიში პერიოდი (სეზონი) გვიახლოვდება. მოქალაქენო, იყავით ფხიზლად!

**ტოგო ბეროზაშვილი**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი**
**გივი მათიაშვილი**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.**

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №31

წარსულის ფურცლები

# 1924 წლის აგვისტოს აჯანყება

## ლეო რუხაძის დღიურებიდან



ლეო რუხაძე

**1 სექტემბერი, 1924 წელი**

პატიმარის ცხოვრება იმდენად არანორმალურია, რომ ვერც კი გრძნობს როგორ დაშორდა ცხოვრებას და ციხეში ის ზოგჯერ ისეთ მოვლენათა რკალშია, რომელსაც თავისუფალ პირობებში სულიერი სიმშვიდის დაკარგვას და ფსიქოლოგიურ აშლილობას დაარქმევდა. დღით ფიქრები, მწარე ფიქრები, წარსულში თვით მწარეთაც განვლილიც კი ეხლა ტკბილ მოგონებებად გადაქცეული, ხოლო ღამ-ღამობით დაუსრულებელი სიზმრები, სიზმრები და სიზმრები. ზოგჯერ ისიც კი მიფიქრია, ფატალისტი ხომ არ გავხდი-თქო. ჩემს თავში იჭვები შემაქვს. რას არ ვნახულობ, ვის არ ვნახულობ ამ სიზმრებში. წუხანდელმა სიზმარმა კი მეტად მომაწყინა, მომაგონა ახლო წარსული, სიტკბოც და მწუხარება, სიყვარულიც და მისი შემოდგომაც. თითქო გურიაში ვიყავი. რა ლამაზი იყო მერე გურია! სინამდვილეში გურია ასეთი ლამაზი არასოდეს არ მჩვენებია. მე ყოველთვის მწამდა გურიის სილამაზე, მაგრამ რაჭას ხომ ვერ შეედრება ის, ან სამცხეს — მის ქვაბლიანით?.. ჰოდა, გურიაში ვიყავი, სოფელში, სოფლის განაპირას, მინდორზე, გაზაფხულის ყვავილებში. ბევრი იყო ხალხი, სადღესასწაულოთ მორთული ხალხი... ისეთი სიმღერა მესმოდა, ისეთი სიმღერა, რომ ფრინველთა გალობას დაჩრდილავდა. ჩემთან იყო თ. ჩემი უკანასკნელი სიყვარული, ან შეიძლება სიყვარული არ იყო ეს, და იყო დატყვევებული ოცნების მართლა სიზმარი, მაგრამ მაშინ არ ვიყავი მე ციხის ტყვე, მაშინ მხოლოდ რუსის ტყვე ვიყავი საქართველოში, დატყვევებულ საქართველოში და მიყვარდა, ისე მიყვარდა, როგორც არასოდეს. მასში მყავდა მე განხორციელებული ქართველი ქალი, ქართველი ქალი წარსულში, აწმყოშიც და მომავალშიც. ის ქართველი დედის იდეა იყო ჩემთვის. მიყვარდა ყოველმხრივად, მიყვარდა ისე, როგორც ქართველი, როგორც დედა, როგორც ქალი, მიყვარდა, როგორც სახე მთელი ჩემი რასის — ეროვნების. და ალბათ, უფრო კიდევ იმისთვის მიყვარდა მე ის, რომ როცა ის მოვიდა ჩემთან, მე განვიცდიდი მწუხარებას საქართველოზე და მქონდა მოთხოვნილება, მქონდა ჩემი ეროვნული მოთხოვნილება პირისპირ დავრჩენილიყავ მარტოდ საქართველოსთან და განმეცადა მისი სიყვარული, მეგრძნო მისი თბილი მკერდი. ასეთი სიყვარული ხომ მუდამ საიდუმლოა და აბა, როგორ შემეძლო დავკმაყოფილებულიყავ მე იმ საქართველოთი, რომელსაც მტერი ადგა ხმლით თავზე და მილიონი უცხო ჩექმის ქუსლი უვლიდა გულმკერდზე. მე მინდოდა ჩემი საქართველო, ქართული საქართველო, დედის უბესავით ტკბილი საქართველო, ჩემი საიდუმლო საქართველო, რომელშიდაც ყველა ჩემი იქნებოდა, ქართული იქნებოდა, ერთგული იქნებოდა, მე მინდოდა მეტირა, ცრემლი აუცილებელი მოთხოვნილება იყო ჩემი სევდით ამომწვარი გულისათვის, მაგრამ სად უნდა მეტირა, ვისთან უნდა მეტირა, მე ჩემი მინდოდა, [illegible]

[illegible] ლის კერში, რადგან თვით საქართველოს ვერ ვხედავდი და არც მინდოდა დამენახა, რადგან მის ტანზე [illegible] ირეოდნენ უცხოეთიდან [illegible]. მე მაშინ საქართველოს მზის [illegible] ის იატაკს ქვეშ ვბოგინობდი, [illegible] და აქ კერში მინდოდა. ქართულად [illegible], ქართულად სულის [illegible]ება. ასეთი ქართული [illegible] და წარმოიდგინეთ ლა[illegible]ტი, ეროვნულ ფრონტს [illegible] უნდა დამეწყევლა?.. [illegible]ს შემდეგ. და როცა [illegible] საქართველოსთვის არის [illegible] იკივლა და ვაპატიე მე [illegible] უდიდესი ბედნიერება [illegible] მარტო იმასაც ვერ [illegible], დიახ, სახელი „თამარი" [illegible] და მერე ვისი სახელი, [illegible]ოს თამარის. ყოველ [illegible] წაერთვას ეს სახელი, [illegible]რც თვით ერია თავის [illegible] მოკლე იყო ჩემი სიზ[illegible]რია და გურიაში ჩემი [illegible] რა კარგია ასეთი ნახ[illegible] სიტკბო ჩამრჩა გულ[illegible]ტკბოში. ასეთი მოლო[illegible] უნდა მოვიდეს, წამა[illegible]ის სიხარული...

**2 სექტემბერი**

[illegible] გავედით, თითქოს მეხი [illegible] „პრავდაში" წაკითხ[illegible]ლის წერილების შესახ[illegible]ტრატეგმ. ვალიკოს დაუ[illegible] სადაც ალიარებს ბრძო[illegible]რების აუცილებლობას [illegible]ბის დამღუპველ შედე[illegible]შა. რაშია ნეტავ საქმე? [illegible] უფრო დიდი ამბავი. [illegible]რთველოს ომი განახ[illegible]წყებულობა საქართვე[illegible]ბჭოსაგან, სადაც ნათქ[illegible]ამით 4 საათზე, თავს [illegible] იგდეს ქალაქი. გა[illegible]ონებშიც. საოკუპაციო [illegible] წესიერება მალე იქნე[illegible]აშვილის ჩვენება, რომ [illegible] წარმოებდა ტერორის[illegible]რის, მანვე მოკლა ილ. [illegible] სხვაა ჩვენთვის. გაუგე[illegible], რაშია საქმე. იმდენად [illegible] რომ დღეს მთელი დღე [illegible]ანში და ვერ გარკვეულ[illegible] წარმოსადგენია, რა ხდება [illegible] არეული ცნობებია. ყვე[illegible] თავადაზნაურულს უწოდე[illegible]ვად. წარმოვიდგინოთ, რომ [illegible] ომზე წავიდნენ [illegible]რულად მიიტანეს ამოდენა [illegible]ლები? ეს ხომ სიგიჟე იქნე[illegible]რ არის იმის ნიშნები, რომ [illegible] შედეგები მოყვება ერი[illegible]ნლობას ვგრძნობთ. ასეთი [illegible]ლობა და ყოფნა-არყოფნის [illegible]ვის!.. თითებს ვიკბენ სიმ[illegible]ზიზღება ჩემი თავი, რომ [illegible] ბედნიერება გავინაწილო [illegible] ეს ხვედრი კიდევ უფრო [illegible]ეს, ვიდრე ამ ტყვეობაში [illegible]ლი დღეების ციხის სარკ[illegible]... ახ, როდის წავა ეს ორი [illegible]დეგი გაზეთები და იქნებ [illegible] რაშია საქმე, რა ხდება [illegible]

**4 სექტემბერი**

[illegible] ორი დღე!.. მოლოდინის [illegible], მოლოდინის, რომ მიგვე[illegible]ტ-ნაწყვეტი ცნობები მაინც [illegible]დელ გაზეთში სრულიად [illegible]. ნუთუ შეწყვიტეს ცნობე[illegible]რ დაბეჭდავენ ხვალ-ზეგ? [illegible]ულებრივ საშუალებას — [illegible] სიტყვაა საქართველოზე [illegible]. გენტში საერთაშორისო [illegible] დამსწრე რუს კომუნისტ [illegible]ურმე პროტესტი განაცხა[illegible] მოითხოვს და თქვენ რუსე[illegible]შნავთო. ამ სიტყვის დროს [illegible] ოსტროვსკაიასთვის ყრი[illegible]ველ დელეგატ ქალს და [illegible] დამპყრობი პოლიტიკა. [illegible], მაგრამ გამახარა და [illegible]თველი ქალი და საერ[illegible]ვანე — საქართველოს [illegible]დი საჩუქარი განა შეე[illegible]ანა? არა, საქართველო [illegible]აუკუნეში ველარ დაკ[illegible] იღვრება საქართველო[illegible] კვდებიან ვაჟკაცები, [illegible]ნენ ამ ბრძოლაში და [illegible]ის სოფლიდან სოფელ[illegible], მაინც არ მწამს, რომ [illegible]გორაც არ უნდა დაგ[illegible]თი აშკარაა, წარსულს [illegible]ნებს. გამოვედით ბრძო[illegible] და ამიდან ველარ და[illegible] კაციან-ქალიანად ჩაბ[illegible]რთველ ქალს, გაუმარ[illegible] გენტში, საქართველოს [illegible]რთაშორისო ასპარეზზე [illegible]ა ივ. როსტომაშვილის [illegible]რთალია, ეხლა საერთო [illegible]რამ ამ ამბავმა ძალზე [illegible]ს ციხეში ერთხელ არ [illegible]

მიფიქრია, რომ თუ მეღირსებოდა საქართველოში დაბრუნება, უნდა მენახა ეს მოხუცი, მასთან მაქვს ბევრი და თანაც ტკბილი მოგონებები. ის იყო 1918 წელს ახალქალაქის ქართული გიმნაზიის დირექტორი. ეს ის ხანა იყო, როცა საქართველო ბორგავდა და თავის საზღვრებს დაეძებდა, დაკარგულს იძიებდა. ამ ძიებაში, ამ ერის აღდგენისთვის ბრძოლაში ივ. როსტომაშვილმა ჯავახეთში გააკეთა დიდი ისტორიული საქმე. მან მოქიშპეთაგან თავდასაცავად საქართველოს სახის აღსადგენად შექმნა ქართული გიმნაზია. არასოდეს არ დამავიწყდება იანვრის დღეები ჯავახეთში, ჯავახელ ქართველთა ყრილობა, სასწავლებლის შენობაში ბავშვთა ყრიამული. ეს თითქმის ერთადერთი იმედი იყო მაშინ ჩვენთვის ჯავახეთში. ეს უდრიდა ათას დანგრეულ ისტორიული ძეგლების აღდგენას და ქართულად აღორძინებას. ივ. როსტომაშვილს აქვს მეტად საყურადღებო შრომა ჯავახეთზე „ჯავახეთი არქეოლოგიური მხრით". სამწუხაროდ, ის რუსულია. ყოველი ქართველისათვის კი ის აუცილებელი წასაკითხი წიგნია. ჩემი მადლობა და შენდობა კარგ მოხუცს და მოღვაწეს.

**6 სექტემბერი**

დღეს მოვიდა ტფილისის გაზეთები. მოთავსებულია ვალიკოს წერილები, ზაკჩეკაში დაწერილი. ბევრი მხრით არის ეს წერილები საყურადღებო. ის ჩვეულებრივად ვალიკოსებური, გულწრფელი წერილებია. ყველას გვეწყინა ეს, რომ ჩეკაში მოხდა და იქედან ითქვა, მაგრამ ამასთანავე ყველა გრძნობს, რომ რამოდენიმედ მაინც ღირსება დაცულია. ეტყობა, რომ მან დიდი განცდები გაიარა და საშინელი საფრთხის წინაშე მიმართა გმირულ საშუალებას, თავგანწირვას, მაგრამ მტერსაც ჰქონდა ალბათ, გამონაგარიშებული თავისი საქმეები და ეს წერილები გამოაქვეყნა მხოლოდ მაშინ, როცა აჯანყება ფაქტად იქცა და საჭირო იყო მისი განელება, დასაწყისშივე დაკვლა. აქედან იბადება ეჭვი — უნდოდა მტერს ეს გამოსვლა? წერილების თარილები, დრო დაწერისა, გვაფიქრებინებს, რომ ვალიკოს განცდები უსაზღვრო იყო და ეროვნული კატასტროფის წინაშე, მისი თავიდან ასაცილებლად ის არ ზოგავდა პირადს, საკუთარს, ის ყველაფერს თმობდა, ოღონდ მის სამშობლოს ნაკლები ტკივილები მიყენებოდა. ეს არის ვალიკოს პირადი ამაღლება, მისი ეროვნული გამარჯვება. „პრავდა" აგრძელებს უკანასკნელი ცნობების ბეჭდვას: აჯანყება ყოფილა ჭიათურაში, ქალაქი ხელთ უგდიათ, შემდეგ სენაკ-ზუგდიდში და აფხაზეთში, თითქმის მთელს გურიაში, ქობულეთში და აღმოსავლეთ საქართველოში სართიჭალა-გომბორში და მანგლის-კავთისხევის რაიონებში. ეტყობა, მას მიუღია საერო ო, მასიური ხასიათი, თუმც გაზეთები აღნიშნავენ, რომ აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდნენ მხოლოდ ზედა ფენები და თითო-ოროლა გლეხებიო. ბათუმში შტაბი წინასწარ ჩაუგდიათ ხელში და საქმე ამით გათავებულა. საოკუპაციო ხელისუფლება იტყობინება, რომ ბევრ ადგილას წესრიგი აღდგენილია და დანარჩენ ადგილებშიც მიღებულია ზომები მის აღსადგენადო. მოსკოვის გაზეთები იმასაც იტყობინება, რომ აჯანყების 24 ხელმძღვანელს ჩეკამ დახვრეტა გადაუწყვიტა. არეული ვართ, კოშმარები გვეხვევიან, ხან რას ვფიქრობთ და ხან რას. ნეტავ ის მაინც ვიცოდეთ, ვინ არიან დახვრეტილები, ან განა ამ 24-ს დაჯერდებიან? ვინ იცის, ბრძოლებში რამდენი დაიღუპება!..



შუაში: გრიგოლ ლორთქიფანიძე

**9 სექტემბერი**

დღევანდელმა ქართულმა გაზეთებმა მუხლებში მოგვსერა, თავზარი დაგვცა, ნოე ხომერიკი (ნოე ხომერიკი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს იყო მიწათმოქმედების მინისტრი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი), ვალიკო, ბენია (ბენია ჩხიკვიშვილი, აქტიური სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი), ემიგრაციაში მყოფი ის 1924 წლის მაისში ჩამოვიდა, რათა საქართველოს დამოუკიდებ. ბრძოლაში მიეღო მონაწილეობა. აჯანყების გამო ბენია დახვრიტეს), გოგიტა და სხვა საუკეთესო ამხანაგები და მამულიშვილები დაუხვრეტიათ. მე, უბედურს კი მეგონა, რომ მათ მაინც აქ მოიყვანდნენ, მერე როგორ მოველოდი გოგიტას შეხვედრას... რად, რად მიგრძნობდა გული მაშინ, ორი წლის წინათ, რომ ვერ ვნახავდი მას და ვერ შევხვდებოდი მე მეგობრებს!.. რა უნდა ვთქვა, რა უნდა დავწერო, ხელი მიკანკალებს, თვალები მიბნელდება, ცრემლები მახრჩობს და მინდა, მინდა საქართველოს გასაგონად ვიკივლო: „დიდება დაღუპულ გმირებს, დიდება საქართველოსთვის თავგანწირულებს, საქართველოსთვის სიკვდილი საუკუნოსო ძეგლია ქართველისათვის". როგორ უნდა გამოვეთხოვოთ მეგობრებო, ამხანაგებო, ქართველებო, ან რად გინდათ თქვენ ჩემი ცრემლები, თქვენ მთელი საქართველო გიტირებთ და გაგლოვებთ, თქვენ მისი ხართ, საკუთარი ხართ, სამშობლოს ხართ და ამაზე უკეთეს გვირგვინს ხომ ვერასოდეს ვერ დაიდგამდით თავს თუ არა თავგანწირვით და სამშობლოსათვის მოწამებრივი სიკვდილით... ზოგი ამხანაგი იმ აზრისაა, რომ სიკვდილით დასჯა არ არის სისრულეში მოყვანილი. ვეჭვობ, რომ ასე იყოს. ერთი კითხვა მაინც არ გვშორდება თავიდან: სად დახვრიტეს ბუტირკაში მყოფი ქართველები? ვიცით მხოლოდ ერთი, რომ ისინი წაიყვანეს ბუტირკიდან 22-23 აგვისტოს, მაგრამ ნუთუ დააბრუნეს საქართველოში? ნეტამც ასე იქნებოდა. როგორ არ მინდა, რომ ამ საზიზღარ რუსეთის მიწაში ჩაეწვნენ ქართველი პატრიოტები!..

**10 სექტემბერი**

კოშმარები იზრდებიან, ათასი ფიქრები გვახვევია. რა მოხდა, რა ხდება, რა მოუვა საქართველოს? არ გვშორდება ეს კითხვები და ერთმანეთს შევყურებთ შვიდი ქართველი. ვის შეუძლია, ვის გამოსთქვას ის ტანჯვა სამშობლოს შეყვარებულთა, როცა შორიდან, ტყვეობიდან ყურს უგდებ, თუ რა ხდება შენს სახლ-კარში, გესმის მშობლიური ტრაგედიის საშინელი გამოძახილი და შენ კი უძლური ხარ, საშუალება არა გაქვს, ცდილობ, თუ მარტოა შენი ხალხი, მაინც მასთან ამჯერად იყო, მაინც მასთან გინდოდეს სიმწარე და სიტკბო. რა საშინელებაა, რა საშინელება!..

**12 სექტემბერი**

მოვიდა დახვრეტილთა მეორე სია. ეჭვები გაიფანტა, რომ წინანდელი სიის განაჩენი არ არის სისრულეში მოყვანილი. ამაზე დღეს გარკვევით ამბობენ. დახვრეტილთა უმრავლესობა აჯანყებულ საქართველოდან არიან და ვგონებ, ყველანი მძევლები. ომის სურათები ნათლად იხატება. ეტყობა, ხალხია მთელი ამდგარი, თორემ წარმოუდგენია ვინმეს, რომ ჩვენი ტერენტი წერეთელი ან [illegible] ვლელებს ჩაუდგებოდა ჭიათურის აჯანყების სათავეში, ან ბარნაბა ძველაია და შალვა იოსელიანი ჩარეულიყვნენ საქმეში? ისიც ირკვევა, თუ როგორი სისასტიკით ებრძოდა აჯანყებულებს. ჭიათურაზე [illegible] ჰაეროპლანები და უტევდნენ [illegible]. ცნობებიდანაც, რომელსაც იძლევა ოკუპაციო პრესა, ნათელია ომის სურათი. ყველგან ხალხი მოძრაობს, დაკავებულ ადგილებში აღადგენს ერობებს და დემოკრატიულ მმართველობას, იცავს წესრიგს. ყველგან ეროვნულ [illegible] ალებენ და „საქართველოს დამოუკიდებლობის" [illegible]გენისაკენ მოუწოდებენ. ოფიციალური ცნობებით, აჯანყება ჩაქრობილია ყველგან. დიდი უბედურება დაატყდა ალბათ, საქართველოს. პირდაპირ სწერენ, რომ მენშევიკური ელემენტებიდან უნდა გაიწმინდოთ საქართველო. ეს ნიშნავს, ერის სასიცოცხლო ძალების ამოხრჩობას... გული სტირის, სწუხს და უნდა, უნდა თუნდ ერთი დღით მაინც შენთან იყოს ჩემო საქართველო...

**13 სექტემბერი**

დღეს ციხეში სამგლოვიარო დღეა. რუსმა სოციალისტებმა საქართველოში დახვრეტილი მებრძოლების შესახებ საპროტესტოდ, ერთი დღით იშიმშილეს. სამარისებური დუმილი იყო მთელი დღე ჩვენის მხრით, რუს სოციალისტებს წერილით მივმართეთ.

მოვიდა ახალი ქართული გაზეთები. კოშმარული ცნობებია. ოკუპაციური ხელისუფლება გაცოფებულია. უსისინებს ინტელიგენციას და „თავადაზნაურობას". ერთ ადგილას ასეთი ცნობაა: ტფილისში დემონსტრაციას ახდენენ კბილებამდე შეიარაღებული რუსის ჯარები, ერთ პლაკატზე სწერია: „ქართველო ექიმებო, მასწავლებლებო, ინტელიგენციავ, გამოარკვიეთ თქვენი სახეო". ამას მოყვა პროფესორების განცხადება და სასტიკი დაგმობა მომხდარი ამბებისა. ასევე მოიქცნენ ექიმები, მასწავლებლები. ქარხნებში, სოფლებში, ყველგან, კრებებზე გამოაქვთ პირდაპირ პოგრომული რეზოლუციები. ამის შედეგად, თვით მთავრობის წასისინებით უკვე დაიწყო კახეთისა და შორაპნის „თავადაზნაურობის" დარბევა და აწიოკება.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ორგანული კანონი

# საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ

## თავი I
## ზოგადი დებულებები

**მუხლი 1. არჩევნების საფუძვლები**

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნები ეწყობა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

2. საქართველოს პარლამენტი აირჩევა 4 წლის ვადით. 150 პარლამენტის წევრი აირჩევა ერთიანი პარტიული სიებით პროპორციული სისტემის, ხოლო 85 პარლამენტის წევრი — ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

**მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება**

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნები საყოველთაოა: არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, ხოლო არჩეული შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 10 წლისა, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, განათლებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა.

2. პარლამენტის წევრად არჩეული არ შეიძლება იყოს მოქალაქე, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არ ცხოვრობს საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე.

**მუხლი 3. თანასწორი საარჩევნო უფლება**

საქართველოს პარლამენტში არჩევნები თანასწორია. საქართველოს მოქალაქენი არჩევნებში თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.

**მუხლი 4. პირდაპირი საარჩევნო უფლება**

საქართველოს პარლამენტში არჩევნები პირდაპირია. პარლამენტის წევრებს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ.

**მუხლი 5. ფარული კენჭისყრა**

საქართველოს პარლამენტის არჩევნები ფარული კენჭისყრით ტარდება. დაუშვებელია ამომრჩეველთა ნების გამოვლენისადმი კონტროლი და ხმის ღიად მიცემა.

**მუხლი 6. პირები, რომლებიც არჩევნებში არ მონაწილეობენ**

არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელთა აღსრულების დაწესებულებაში.

**მუხლი 7. არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიების მიერ**

საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ ამ კანონით დადგენილი წესით შექმნილი საარჩევნო კომისიები.

**მუხლი 8. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისა და პარლამენტის წევრობის კანდიდატთა დასახელების უფლება**

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისა და პარლამენტის წევრობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ:

ა) ამ კანონით დადგენილი წესით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პარტიას;

ბ) ამ მუხლის „ა" ქვეპუნქტში აღნიშნულ პარტიათა საარჩევნო ბლოკს;

გ) ამ კანონით დადგენილი წესით ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს — მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში.

**მუხლი 9. პარლამენტის წევრის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან**

პარლამენტის წევრის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან განისაზღვრება „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონით.

**მუხლი 10. არჩევნების მატერიალური უზრუნველყოფა**

პარლამენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ძირითადად სახელმწიფო გაიღებს.

**მუხლი 11. პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის**

1. ამ საარჩევნო კანონით დადგენილი წესების დამრღვევ პირს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეკისრება სისხლის სამართლებრივი ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

2. იმ პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების კანდიდატებს, აგრეთვე ოლქში წარდგენილ კანდიდატებს, რომლებიც გადააჭარბებენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი საარჩევნო ფონდის ზღვრულ ოდენობას, ან კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგენენ არჩევნებში გამოყენებული სახსრების ანგარიშს, ეკრძალებათ საქართველოს პარლამენტის მომავალ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემების მიხედვით საარჩევნო ბარიერგადალახულ პარტიებს, საარჩევნო ბლოკებს და პარლამენტის წევრად არჩეულ დამოუკიდებელ კანდიდატებს ჩამოერთმევათ პარლამენტში მათ მიერ მოპოვებული მანდატები. ასეთი დარღვევის საქმეებს არჩევნების შედეგების საბოლოო შეჯამებიდან არა უგვიანეს 3 დღისა ცენტრალური საარჩევნო კომისიის, არჩევნებში მონაწილე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) ან დამოუკიდებელი კანდიდატის წარდგინების საფუძველზე 3 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს უზენაესი სასამართლო.

**მუხლი 11-1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტი**

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება (გარდა იმ დადგენილებებისა, რომლებიც შეეხება საკადრო და პერსონალურ, აგრეთვე არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის და არჩევნების შედეგების შეჯამების საკითხებს) არის ნორმატიული აქტი.

## თავი II
## არჩევნების დანიშვნა. არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია

**მუხლი 12. არჩევნების დანიშვნა**

პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უადრეს 40 დღისა და არა უგვიანეს 15 დღისა. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა.

**მუხლი 13. პარტიების საარჩევნო რეგისტრაცია**

1. არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიები რეგისტრაციაში უნდა გატარდნენ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. პარტიამ, რომელსაც სჭირდება 50000 მხარდამჭერი ამომრჩევლის სიის წარდგენა, განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საპარლამენტო არჩევნების წლის არა უგვიანეს 1 ივლისისა და 30 დღის ვადაში უნდა წარადგინოს მხარდამჭერთა სია. პარტიამ, რომელსაც არჩევნების დანიშვნის მომენტისათვის ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში, განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე არა უგვიანეს 55-ე დღისა. კომისიას უნდა წარუდგინონ პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი განცხადება და პარტიის რეგისტრაციის მოწმობის ასლი. განცხადების ფორმას ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს სახელწოდება, რომლითაც იგი რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროში, ხელმძღვანელი პირის (პირების), რწმუნებულის და საარჩევნო დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლების მქონე პირის (პირების) სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი.

2. ზემოთ ჩამოთვლილი პირობების შესრულებიდან 6 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია წყვეტს პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის საკითხს და აძლევს სათანადო ცნობას მის რწმუნებულს. რეგისტრაციაში არ გატარდება პარტია, რომლის საქმიანობა შეჩერებულია კანონით დადგენილი წესით. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება პოლიტიკური გაერთიანების საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე, ფორმდება დადგენილებით. დადგენილებაში სრულად უნდა აისახოს ის გარემოებანი, რომელთა გამოც პოლიტიკურ გაერთიანებას უარი ეთქვა საარჩევნო რეგისტრაციაზე ან გაუქმდა იგი.

3. საქართველოს პარლამენტში წარმომადგენლის მეშვეობით რეგისტრაციაში გატარებული პარტიის შესაბამისი დეპუტატის სხვა პარტიულ სიაში აღმოჩენის შემთხვევაში, თუ პარტიის მიერ წარდგენილ სიაში რეგისტრაციის მომენტისათვის არ იქნა პარლამენტში მისი სხვა წარმომადგენელი, ამ პარტიას (საარჩევნო ბლოკს) უუქმდება პარტიული სია და საარჩევნო რეგისტრაცია.

4. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში პარტიას უფლება აქვს უარის მიღებიდან 3 დღის ვადაში გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში. სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

5. რეგისტრაციის ვადის დამთავრებიდან 2 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია ოფიციალურ გაზეთებში, რადიოთი და ტელევიზიით აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიების სიას განცხადებათა წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე იმ პარტიათა სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრირებაზე და უარის თქმის მიზეზებს.

**მუხლი 14. საარჩევნო ბლოკები და მათი რეგისტრაცია**

1. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ საარჩევნო ბლოკებად (ბლოკს შეიძლება ეწოდოს სახელი, რომელიც არ უნდა ემთხვეოდეს უფრო ადრე რეგისტრირებული ბლოკის ან პარტიის სახელს; იგი არ შეიძლება შეიცავდეს იმ პარტიის სახელს, რომელიც არ შედის მოცემულ ბლოკში), რომელთა რეგისტრირებაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მთავრდება არჩევნებამდე არა უგვიანეს 36-ე დღისა.

2. კომისიისთვის წარდგენილ სათანადო განცხადებას ხელს აწერს ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირი. მასში დასახელებული უნდა იყოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ბლოკის რწმუნებულის ვინაობა, მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი. რწმუნებულს კომისია აძლევს დათარიღებულ ცნობას განცხადების მიღების შესახებ. განცხადებას უნდა ერთვოდეს საარჩევნო ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი საარჩევნო ბლოკის წესდება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებით ბლოკის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების წესი, მათ შორის, პარლამენტის წევრობის კანდიდატთა წარდგენისა და წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების, ბლოკიდან პარტიის გასვლის, ბლოკში ახალი წევრის მიღებისა და ბლოკიდან პარტიის გარიცხვის წესები; მითითებული უნდა იყოს პირი (პირები), რომლებსაც აქვს ბლოკის განცხადებაზე ხელმოწერის უფლება.

3. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციიდან ორი დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია ოფიციალურ გაზეთებში, რადიოთი და ტელევიზიით აქვეყნებს ცნობას საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციის შესახებ.

4. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთანავე წყდება ბლოკში გაერთიანებული პარტიების მიერ დანიშნულ რწმუნებულთა უფლებამოსილება. საარჩევნო ბლოკებს უფლება აქვთ ყველა საარჩევნო კომისიაში დანიშნონ რწმუნებული.

5. საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტია არ შეიძლება იმავდროულად გაერთიანებული იყოს სხვა საარჩევნო ბლოკში ანდა დამოუკიდებლად მონაწილეობდეს არჩევნებში.

6. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში ბლოკს უფლება აქვს უარის მიღებიდან 2 დღის ვადაში გაასაჩივროს კომისიის დადგენილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში. სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

## თავი III
## საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები

**მუხლი 15. საარჩევნო ოლქები**

1. პარლამენტის არჩევნებისათვის იქმნება 85 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით. ქალაქ თბილისში იქმნება 10 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი.

2. საარჩევნო ოლქების სია ქვეყნდება არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 7 დღისა.

**მუხლი 16. საარჩევნო უბნები**

1. პარლამენტის არჩევნების დროს კენჭისყრის მოსაწყობად და ხმების დასათვლელად საარჩევნო ოლქები იყოფა საარჩევნო უბნებად. საარჩევნო უბნები იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 3000 ამომრჩევლისათვის არჩევნებამდე არა უგვიანეს 55 დღისა. ძნელად მისადგომ ადგილებში, საქართველოს სამხედრო ძალების სამხედრო ნაწილებსა და შენაერთებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები იქმნება იმავე ვადაში, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში — არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა. საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბნები.

2. საარჩევნო უბნებს ქმნიან ან/და შექმნილი უბნების საზღვრებს აზუსტებენ საოლქო საარჩევნო კომისიები რაიონის (ქალაქის, ქალაქის რაიონის) ტერიტორიაზე მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოების წარდგინების გათვალისწინებით. არჩევნების დღეს საქართველოს სამხედრო ძალების სამხედრო ნაწილებსა და შენაერთებში — დისლოკაციის ადგილის მიხედვით, ნაოსნობაში მყოფ გემებზე — გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით საარჩევნო უბნები იქმნება იმავე წესით. სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში საარჩევნო უბნები იქმნება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით. საარჩევნო ოლქისათვის ამ უბნების მიკუთვნების საკითხს წყვეტს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

3. საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, აგრეთვე ძნელად მისადგომ ადგილებში ხმის მიცემა შეიძლება მოხდეს გადასატანი ყუთის მეშვეობით.

4. საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნის შექმნიდან 5 დღის ვადაში ადგილობრივ გაზეთებში, ადგილობრივი რადიოთი და ტელევიზიით აქვეყნებს საარჩევნო უბნების ნომრებს, მათ საზღვრებს, საუბნო საარჩევნო კომისიებისა და ხმის მისაცემი შენობების მისამართებს.

## თავი IV
## საარჩევნო კომისიები

**მუხლი 17. საარჩევნო კომისიების სისტემა**

პარლამენტის არჩევნების ჩასატარებლად იქმნება საარჩევნო კომისიები:

ა) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიები;

გ) საუბნო საარჩევნო კომისიები.

**მუხლი 18. საარჩევნო კომისიის შემადგენლობა**

1. საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არჩეული ან დანიშნული შეიძლება იყოს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე.

2. საარჩევნო კომისიებში ყოველი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თითო წევრს ნიშნავს პროპორციული სისტემით ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით 5 საუკეთესო შედეგის მქონე პარტია (საარჩევნო ბლოკი).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად პარტიები ცენტრალურ და საოლქო საარჩევნო კომისიებში წევრებს ნიშნავენ 4 წლის ვადით არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 30 დღისა, საუბნო საარჩევნო კომისიებში — არჩევნებამდე არა უგვიანეს 45 დღისა, მე-16 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი — არჩევნებამდე არა უგვიანეს 3 დღისა. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა უფლებამოსილება წყდება უბნებში არჩევნების შედეგების შეჯამებისთანავე.

4. თუ კომისიის წევრი დანიშნული იყო ბლოკის მიერ და მორიგ არჩევნებში ეს ბლოკი არ ღებულობს მონაწილეობას, მაშინ მის მაგივრად წევრის დანიშვნის უფლება თანამიმდევრულად ენიჭებათ ბლოკის სიაში დასახელებულ, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პარტიებს.

5. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლება არ გამოიყენა რომელიმე პარტიამ (საარჩევნო ბლოკმა), ამ შემთხვევაში კომისიის წევრს ნიშნავს ზემდგომი კომისია, ხოლო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში — პარლამენტი.

6. თუ ერთსა და იმავე კომისიაში თავისი წარმომადგენელი დანიშნა ერთზე მეტმა პარტიულმა ორგანომ, კომისიის წევრად ჩაითვლება ზემდგომი ორგანოს მიერ დანიშნული პირი.

7. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად დანიშნული ან არჩეული პირი მის წევრად ჩაითვლება საარჩევნო კომისიაში დანიშვნის ან არჩევის მომენტიდან.

8. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ დანიშნული კომისიის წევრები საარჩევნო კომისიის წევრებად ჩაითვლებიან შესაბამის კომისიაში გამოცხადების მომენტიდან, ხოლო ზემდგომი კომისიის მიერ დანიშნული პირები — დანიშვნის მომენტიდან.

9. საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება დაინიშნონ საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოთა წევრები, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს წევრობის კანდიდატები, არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რწმუნებულები, პარლამენტის წევრობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირები.

10. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის ან წევრის უფლებამოსილება წყდება:

ა) გადადგომის შემთხვევაში (განცხადება გადადგომის შესახებ წარედგინება ზემდგომ საარჩევნო კომისიას, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შემავალი პირისათვის კი თვით ამ კომისიას და დაკმაყოფილდება მისი მიღებიდან არა უგვიანეს 3 დღისა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადადგომას იღებს საქართველოს პრეზიდენტი).

ბ) ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

გ) უფლებამოსილების ჩამორთმევისას;

დ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის არსებობისას;

ე) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას;

ვ) გარდაცვალებისას.

11. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის

გაგრძელება მე-8 გვერდზე

მე-7 გვერდიდან

# საქართველოს ორგანული კანონი
# საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ საქართველოს გენერალურ პროკურორს.

12. კომისიის წევრის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, უფლებამოსილი სუბიექტი ნიშნავს (ირჩევს) შესაბამის წევრს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

**მუხლი 19. საარჩევნო კომისიათა მუშაობის ორგანიზაცია**

1. საარჩევნო კომისიების მუშაობის წესი განისაზღვრება ამ კანონითა და კომისიების რეგლამენტით, რომელსაც იღებს ცენტრალური საარჩევნო კომისია დამსწრეთა ორი მესამედის უმრავლესობით.

2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს ირჩევს შესაბამისი კომისია.

3. საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმათა გაყოფისას გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. კომისიის შემადგენლობაში შემავალ იმ პირებს, რომლებიც არ ეთანხმებიან კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვთ გამოთქვან განსაკუთრებული აზრი, რომელიც წერილობითი ფორმით ერთვის ოქმს და განსახილველად ეგზავნება ზემდგომ საარჩევნო კომისიას.

4. საარჩევნო კომისიას წარმოადგენს მისი თავმჯდომარე. იმ შემთხვევაში, თუ კომისიას თავმჯდომარე არა ჰყავს ან მას არ შეუძლია თავისი ფუნქციების შესრულება, თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე.

5. არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით ცენტრალური საარჩევნო კომისიასთან შეიძლება შეიქმნას სამუშაო ჯგუფები. სამუშაო ჯგუფის წევრებს ნიშნავს და მათ შესრულებულ სამუშაოს უნაზღაურებს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

6. საარჩევნო კომისიებში ყველა სახის დოკუმენტის მიღება წარმოებს 18 საათამდე.

**მუხლი 20. საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შემავალი პირის უფლება-მოვალეობანი**

1. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და მდივანს და კომისიის წევრებს მათი უფლებამოსილების მთელი დროის განმავლობაში პარლამენტი უნიშნავს ხელფასს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამასთან, მათ უნარჩუნდებათ სამუშაო ადგილი, რომელიც დაკავებული ჰქონდათ ზემოაღნიშნულ თანამდებობებზე დანიშვნამდე (არჩევამდე).

2. საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შემავალ ყველა პირს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მთელი დროის განმავლობაში ეძლევა უხელფასო შვებულებით სარგებლობის უფლება. საოლქო საარჩევნო კომისიიდან 4 პირს და საუბნო საარჩევნო კომისიიდან 2 პირს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მთელი დროის განმავლობაში, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიიდან დანარჩენ პირებს არჩევნების მომზადების პერიოდის ბოლო 10 დღის განმავლობაში, არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრებიდან შეიძლება დაენიშნოთ ხელფასი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ოდენობით. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების ხელფასიანი პირების რაოდენობას ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის — საოლქო საარჩევნო კომისია. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შემავალ პირებს ხელფასს უნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შემავალ პირებს — საოლქო საარჩევნო კომისია. ამასთან, ზემდგომმა კომისიამ უნდა გაითვალისწინოს იმ კომისიის წინადადება, რომლის შემადგენლობაში შემავალ პირებსაც ენიშნებათ ხელფასი. არასამუშაო დროის განმავლობაში კომისიაში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ოდენობით არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრებიდან.

3. უფლებამოსილების განხორციელების მანძილზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების ანაზღაურება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრალური საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგსა და ხარჯთაღრიცხვას კომისიის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

4. საარჩევნო კომისიებისთვის გამოყოფილ სახსრებს კომისიის სახელით განაგებენ და დანიშნულებისამებრ მისი სწორად გამოყენებისთვის პასუხისმგებელნი არიან კომისიის თავმჯდომარე და ბუღალტერი, ხოლო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში — საფინანსო განყოფილების გამგე.

5. საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შემავალ პირთ უფლება არა აქვთ არჩევნების დროს მონაწილეობა მიიღონ აგიტაციაში არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და პარლამენტის წევრობის კანდიდატების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

**მუხლი 21. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია**

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია იქმნება კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და 14 წევრისაგან. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი არის სახელმწიფო მოხელე. მასზე არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სამსახურებრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები.

2. საქართველოს პარლამენტი ყოველი საპარლამენტო არჩევნების წლის საზაფხულო სესიის ბოლო თვეს 4 წლის ვადით დადგენილებით ირჩევს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 5 წევრს, რომელთაგან საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი არ უნდა იყოს სამზე მეტი. იგი თავის გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ აქვეყნებს ოფიციალურ გაზეთებში, რადიოთი და ტელევიზიით.

3. საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 4 წევრს და პარლამენტის თანხმობით — თავმჯდომარეს 5 წლის უფლებამოსილების ვადით, ხოლო სესიათაშორის პერიოდში ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე და მის კანდიდატურას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს შეკრებისთანავე.

4. კომისიაში თითო პირის დანიშვნის უფლება აქვთ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს ან მათ პრეზიდიუმებს.

5. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის შემადგენლობა 17-ზე ნაკლები აღმოჩნდა და 14 დღის ვადაში არ შეივსო, საქართველოს პარლამენტი პირველივე სამუშაო კვირის განმავლობაში ნიშნავს კომისიის დამატებით წევრებს მისი შემადგენლობის 17-მდე შესავსებად.

6. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს.

7. ცენტრალური საარჩევნო კომისია თავის შემადგენლობას, კომისიის მისამართსა და ტელეფონის ნომრებს აქვეყნებს ოფიციალურ გაზეთებში, რადიოთი და ტელევიზიით.

8. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს პარტიები ნიშნავენ ამ კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

**მუხლი 22. ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება**

1. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობით შექმნამდე მისი სხდომები უფლებამოსილია, თუ მათ ესწრება სხდომის დღეს კომისიის ფაქტობრივი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

2. ცენტრალური საარჩევნო კომისია:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე კონსტიტუციისა და ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მათ ერთგვაროვან გამოყენებას; თავისი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს ინსტრუქციებს საარჩევნო კამპანიის ჩატარებისთვის აუცილებელი და ამ კანონით განუსაზღვრელი საკითხების გადასაჭრელად;

ბ) აუცილებლობის შემთხვევაში, თავისი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, თავის უფლებამოსილებათა ნაწილს, წინასწარ განსაზღვრული საკითხების გადასაწყვეტად, გადასცემს შექმნილ ჯგუფს;

გ) ქმნის საარჩევნო ოლქებს; ნიშნავს საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებსა და ოთხ-ოთხ წევრს, საჭიროების შემთხვევაში — კომისიის დამატებით წევრებს; აქვეყნებს კომისიების შემადგენლობას და მათ მისამართებს;

დ) წყვეტს საარჩევნო ოლქისთვის საქართველოს ფარგლებს გარეთ შექმნილი საარჩევნო უბნების მიწერის საკითხს;

ე) აქვეყნებს საარჩევნო ღონისძიებათა დაწყებისა და დამთავრების თარიღებს;

ვ) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს;

ზ) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და აძლევს მას სათანადო მოწმობას;

თ) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების პარტიულ სიებს; აძლევს სათანადო მოწმობას პარლამენტის წევრობის კანდიდატს;

ი) წარმართავს საარჩევნო კომისიების საქმიანობას, ისმენს მათ ინფორმაციას;

კ) ამოწმებს საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებათა კანონიერებას, საჭიროების შემთხვევაში აუქმებს მათ და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას; საგანგებო შემთხვევაში, თავისი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით, იღებს გადაწყვეტილებას ქვემდგომი საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შექმნილი ჯგუფისათვის ამ საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების გადაცემის შესახებ;

ლ) ადგენს არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების განაწილებისა და გამოყენების წესს; უნაწილებს ფულად სახსრებს საოლქო საარჩევნო კომისიებს და არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს; კონტროლს უწევს საარჩევნო კომისიების უზრუნველყოფას შენობებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით და განიხილავს არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

მ) ადგენს საარჩევნო დოკუმენტების ფორმას, საარჩევნო ყუთისა და საარჩევნო კომისიათა ბეჭდების ნიმუშებს, საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესს;

ნ) ზომებს იღებს საარჩევნო კამპანიაში პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების, პარლამენტის წევრობის კანდიდატების მონაწილეობის თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად;

ო) განსაზღვრავს საარჩევნო კამპანიაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესს ამ კანონისა და საქართველოს სხვა კანონების შესაბამისად და აკონტროლებს მის შესრულებას;

პ) განსაზღვრავს საქართველოს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამინისტროების, სახელმწიფო უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ვალდებულებებს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ისმენს მათ ინფორმაციას;

ჟ) ამტკიცებს საარჩევნო ბიულეტენების ტექსტებს, უზრუნველყოფს მათ დამზადებასა და ბიულეტენებით საოლქო საარჩევნო კომისიების მომარაგებას;

რ) ადგენს არჩევნების შედეგებს პარტიული სიების მიხედვით, აჯამებს რესპუბლიკაში არჩევნების შედეგებს; არჩევნების შედეგების შეჯამებიდან არა უგვიანეს 5 დღისა პრესაში აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ და საქართველოს პარლამენტში არჩეული პარლამენტის წევრების სიას; რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ პარლამენტის წევრს და აძლევს მას სათანადო მოწმობას;

ს) გადასცემს საქართველოს პარლამენტის სამანდატო კომისიას პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას;

ტ) საჭიროების შემთხვევაში ნიშნავს ხელახალ ხმის მიცემას იმ საარჩევნო უბნებში, სადაც ხმის მიცემა ბათილად იქნა ცნობილი?

უ) პარტიული სიით არჩეული პარლამენტის წევრის გამოკლების შემთხვევაში ადგენს მის ადგილმონაცვლეს ამ კანონის შესაბამისად, რეგისტრაციაში ატარებს და სათანადო მოწმობას აძლევს მას და საქართველოს პარლამენტის სამანდატო კომისიას გადასცემს არჩეული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას;

ფ) ოლქში არჩეული პარლამენტის წევრის გამოკლების შემთხვევაში საარჩევნო ოლქში ნიშნავს არჩევნებს და უზრუნველყოფს მის ჩატარებას;

ქ) განიხილავს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებისა და მოქმედების გამო განცხადებებსა და საჩივრებს და გამოაქვს მათ შესახებ გადაწყვეტილებები;

ღ) გამონაკლისის შემთხვევაში, თუ შეუძლებელია კონსტიტუციითა და ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულება, ადგენს საარჩევნო ოლქში საარჩევნო ღონისძიებათა ახალ ვადებს, თავისი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობის გადაწყვეტილებით ნიშნავს არჩევნების ჩატარების ახალ თარიღს ამ ოლქში;

ყ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონისა და საქართველოს სხვა კანონების შესაბამისად.

**მუხლი 23. საოლქო საარჩევნო კომისია**

1. საოლქო საარჩევნო კომისია იქმნება თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნისა და 7 წევრისაგან.

2. ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და 4 წევრს საპარლამენტო არჩევნების წლის მაისის თვეში 4 წლის ვადით, ხოლო 5 წევრს ნიშნავენ ამ კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად უფლებამოსილი პარტიები. საოლქო საარჩევნო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

3. საოლქო საარჩევნო კომისია თავის და ოლქში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობას, მისამართებსა და ტელეფონის ნომრებს შექმნიდან 5 დღის ვადაში აქვეყნებს შესაბამისი ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

4. პარტიები საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს ნიშნავენ ამ კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

**მუხლი 24. საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება**

საოლქო საარჩევნო კომისია:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს კონსტიტუციისა და ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მათ ერთგვაროვან გამოყენებას საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე;

ბ) ქმნის საარჩევნო უბნებს და აქვეყნებს მათ სიებს;

გ) ნიშნავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და ოთხ წევრს, საჭიროების შემთხვევაში — კომისიის დამატებით წევრებს; აქვეყნებს საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობასა და მათ მისამართებს;

დ) წარმართავს საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას, ისმენს მათ ინფორმაციას;

ე) ნიშნავს საოლქო საარჩევნო კომისიის ბუღალტერს; უნაწილებს ფულად სახსრებს საუბნო საარჩევნო კომისიებს; კონტროლს უწევს საუბნო საარჩევნო კომისიების უზრუნველყოფას შენობებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით და განიხილავს საარჩევნო ოლქში არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

ვ) რეგისტრაციაში ატარებს ოლქში წარდგენილ კანდიდატებს, აძლევს მათ სათანადო მოწმობას, უნაწილებს ფულად სახსრებს;

ზ) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს და ოლქში წარდგენილი კანდიდატის ნდობით აღჭურვილ პირს მოცემულ საარჩევნო ოლქში, აძლევს მას სათანადო მოწმობას;

თ) ზომებს იღებს საარჩევნო კამპანიაში პარლამენტის წევრობის კანდიდატების, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მონაწილეობის თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად; უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალის გამოცემასა და გავრცელებას ოლქში რეგისტრირებული პარლამენტის წევრობის კანდიდატების სიებით, მათი ბიოგრაფიული მონაცემებითა და წინასაარჩევნო პროგრამების ძირითადი დებულებებით;

ი) თვალყურს ადევნებს მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მიერ ამ კანონის მოთხოვნათა შესრულებას;

კ) ისმენს ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა, სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინფორმაციას არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ლ) ხელს უწყობს ამომრჩევლებს პარლამენტის წევრობის კანდიდატებთან და პარლამენტის წევრობის კანდიდატებს ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობაში;

მ) უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენებით საუბნო საარჩევნო კომისიების მომარაგებას;

ნ) ადგენს და ადგილობრივ პრესაში აქვეყნებს საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა, არჩევნებში მონაწილეთა და კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვს, არჩევნების საბოლოო შედეგს;

ო) საჭიროების შემთხვევაში აწყობს ხელახალ ხმის მიცემას იმ საარჩევნო უბნებში, სადაც ხმის მიცემა ბათილად იქნა ცნობილი;

პ) აწყობს არჩევნებს საარჩევნო ოლქში გამოკლებული პარლამენტის წევრის ნაცვლად;

ჟ) განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებისა და მოქმედების გამო განცხადებებსა და საჩივრებს და გამოაქვს მათ შესახებ გადაწყვეტილებები;

რ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 25. საუბნო საარჩევნო კომისია**

1. საუბნო საარჩევნო კომისია იქმნება არჩევნებამდე არა უგვიანეს 45 დღისა თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნისა და 7 წევრისაგან.

2. საოლქო საარჩევნო კომისია ნიშნავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და 4 წევრს. თუ საოლქო საარჩევნო კომისიაში ხმები თანაბრად გაიყო, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია. საუბნო საარჩევნო კომისიის 5 წევრს ნიშნავენ ამ კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად უფლებამოსილი პარტიები.

3. საუბნო საარჩევნო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

4. საუბნო საარჩევნო კომისია თავის შემადგენლობას, კომისიის მისამართსა და ტელეფონის ნომრებს აქვეყნებს დაუყოვნებლივ.

5. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება მთავრდება ოლქში არჩევნების შედეგების შეჯამებისთანავე.

6. პარტიები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს ნიშნავენ ამ კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

**მუხლი 26. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება**

საუბნო საარჩევნო კომისია:

1) ადგენს საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-8 გვერდიდან

# საქართველოს ორგანული კანონი

# საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ

სიებს;

2) ამომრჩევლებს აცნობს ამომრჩეველთა სიებს, იღებს და იხილავს განცხადებებს სიებში შეცდომის შესახებ და წყვეტს მათში სათანადო ცვლილებათა შეტანის საკითხს;

3) ამომრჩევლებს აძლევს ამომრჩევლის ბარათსა და მოთხოვნისას — ხმის მიცემის უფლების მოწმობას;

4) მოსახლეობას აუწყებს საუბნო საარჩევნო კომისიის ადგილსამყოფელს და მისი მუშაობის დროს, აგრეთვე არჩევნების თარიღსა და ხმის მისაცემ ადგილს;

5) უზრუნველყოფს ხმის მისაცემად შენობის, საარჩევნო ყუთებისა და კაბინების, საინფორმაციო სტენდების მომზადებას;

6) ორგანიზაციას უწევს საარჩევნო უბანში ხმის მიცემას არჩევნების დღეს;

7) ადგენს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა, არჩევნებში მონაწილეთა და ხმის მიცემის მონაწილეთა რიცხვს, პარლამენტის წევრობის ყოველი კანდიდატისა და ყოველი პარტიული სიისთვის მიცემული ხმების რაოდენობას;

8) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს არჩევნების მომზადებისა და კენჭისყრის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს;

9) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 27. საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შემავალი პირების დანიშვნისა და წარდგენის წესი**

1. საარჩევნო კომისიებში კანდიდატურების წარდგენის უფლება აქვთ:

ა) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ საზოგადოებრივ გაერთიანებას;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს;

გ) ამომრჩევლებს შესაბამის საარჩევნო კომისიაში განცხადების წარდგენის გზით — საოლქო საარჩევნო კომისიაში, თუ განცხადებას ხელს აწერს შესაბამის საარჩევნო ოლქში მცხოვრები სულ ცოტა 50 ამომრჩეველი და საუბნო საარჩევნო კომისიაში, თუ განცხადებას ხელს აწერს შესაბამის ოლქში მცხოვრები სულ ცოტა 10 ამომრჩეველი.

დ) შესაბამის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული წესით არჩეულ პარლამენტის წევრს.

2. საარჩევნო კომისიაში წევრად წარდგენისა თუ დანიშვნისას სათანადო ორგანოს და შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საარჩევნო კომისიაში წარდგენილი (დანიშნული) პირის გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო ადგილი, ბინის მისამართი და ტელეფონის ნომერი (ტექსტში შემდგომ „ვინაობა და მისამართი"), აგრეთვე ამ პირის თანხმობა საარჩევნო კომისიაში წარდგენაზე (დანიშვნაზე). ამ მუხლის პირველი „გ" პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში განცხადებაში მითითებული უნდა იყოს განმცხადებელთა სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, ბინის მისამართი, ხელმოწერის თარიღი, ხელმოწერა.

**მუხლი 28. საარჩევნო კომისიის შემადგენლობის შეცვლის წესი**

1. საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შემავალი პირი კომისიაში თავისი მოვალეობის შესრულებისგან თავისუფლდება ამ კანონის მე-18 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ საფუძველზე.

2. კომისიაში შემავალი პირისათვის უფლებამოსილების ჩამორთმევის უფლება აქვს ზემდგომ საარჩევნო კომისიას (ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემავალი პირისათვის კი — თვით ამ კომისიას) ამ პირის მიერ პარლამენტის არჩევნების კანონის უხეშად ან საარჩევნო კომისიის რეგლამენტის სისტემატურად დარღვევისას უფლებამოსილების ჩამორთმევის საკითხი წყდება კომისიის სხდომაზე მისი სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში ეს პირი პარლამენტის მომდევნო არჩევნებამდე ვეღარ დაინიშნება საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისიაში შემავალი პირის მოვალეობისაგან გათავისუფლებისას ან მისი გარდაცვალებისას კომისიაში ამ კანონით დადგენილი წესით ახალ წევრს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით, არა უადრეს 5 და არა უგვიანეს 30 დღისა, ნიშნავს ის ორგანო, რომელსაც დანიშნული ჰყავდა კომისიიდან გამოკლებული წევრი.

**მუხლი 29. საარჩევნო კომისიებისათვის ხელშეწყობა მათი უფლებამოსილების განხორციელებაში**

1. საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებათა შესრულება თავისი კომპეტენციის ფარგლებში სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოსა და დაწესებულების თანამდებობის პირებისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის.

2. საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება ხდება ზემდგომ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა — საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს 3 დღისა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**მუხლი 30. არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯები, საარჩევნო ფონდი**

1. არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების სავარაუდო ოდენობას განსაზღვრავს ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც არჩევნების წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში აისახება ცალკე მუხლით. ხარჯების ფაქტობრივ ოდენობას არჩევნების დამთავრებიდან ორი თვის ვადაში ადგენს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. არჩევნების დამთავრების შემდეგ მას ამტკიცებს ახლადარჩეული პარლამენტი.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს ორი კვირისა, მაგრამ არჩევნებამდე არა უგვიანეს 58 დღისა ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტში არჩევნებისათვის გამოყოფილი თანხის ჩარიცხვას საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე.

3. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველი პარტია, საარჩევნო ბლოკი და ოლქში წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატი ქმნის საარჩევნო ფონდს ბანკში საანგარიშსწორებო ანგარიშის გახსნით, რისთვისაც მათ უფლება აქვთ გამოიყენონ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა, თავიანთი სახსრები, მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოთა (რომლებიც არ არის სახელმწიფოს წილი), საქართველოს მოქალაქეთა და პოლიტიკურ გაერთიანებათა შემოწირულობანი.

4. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკისა და ოლქში წარდგენილი კანდიდატის საარჩევნო კამპანიისათვის საარჩევნო ფონდიდან დახარჯული თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ ოდენობას (პარტიისა და ბლოკისთვის დადგენილი თანხის ოდენობა ტოლია მათ მიერ დასახელებული კანდიდატების რაოდენობის ნამრავლისა დამოუკიდებელი კანდიდატისათვის დადგენილი თანხის ოდენობაზე). საარჩევნო ფონდს განაგებს მისი გამგეობა ფონდის გამგებლის, ბუღალტრისა და მოლარის შემადგენლობით, რომელთაც ნიშნავს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ხელმძღვანელი პირი, საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიების ხელმძღვანელი პირები, ხოლო პარლამენტის წევრობის დამოუკიდებელი კანდიდატის ფონდს განაგებს კანდიდატის მიერ დანიშნული ფონდის გამგებელი. საარჩევნო ფონდის გამგებელი პასუხისმგებელია ფონდის მიზნობრივი გამოყენებისათვის.

5. საარჩევნო ფონდისთვის განკუთვნილი თანხა ჩაირიცხება არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ოლქში წარდგენილი კანდიდატის ანგარიშსწორების ანგარიშზე, რომელიც იხსნება საქართველოს ბანკებში (მათ შესაბამის განყოფილებებში) ცენტრალურ (საოლქო) საარჩევნო კომისიაში მათი რეგისტრირების შემდეგ. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა აღნიშნულ ანგარიშზე ჩაირიცხება არჩევნებამდე არა უგვიანეს 25 დღისა.

6. არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების განაწილებისა და გამოყენების წესს ადგენს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებამდე არა უგვიანეს 50-ე დღისა. საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გამოყოფილი თანხა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მათ მიმდინარე ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 47 დღისა. საარჩევნო კომისიისთვის გამოყოფილ სახსრებს კომისიის სახელით განაგებენ და დანიშნულებისამებრ მისი სწორად გამოყენებისათვის პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი არიან კომისიის თავმჯდომარე და ბუღალტერი. საოლქო საარჩევნო კომისიები არჩევნებიდან არა უგვიანეს 50-ე დღისა წყვეტენ ყოველგვარ ანგარიშსწორებას ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან და ამის შემდეგ 10 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე ჩარიცხავენ თავიანთ ანგარიშებზე არსებულ ნაშთს, ხოლო ორი კვირის ვადაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგენენ ანგარიშს მის მიერ დადგენილი ფორმით.

7. პარლამენტის არჩევნებიდან არა უგვიანეს 30 დღისა წყდება ყოველგვარი ანგარიშსწორება საარჩევნო ფონდებიდან და ოლქში წარდგენილი კანდიდატის საარჩევნო ფონდის ნაშთი ჩაირიცხება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე. ამასთან, თუ პარტიის, საარჩევნო ბლოკის ერთი კანდიდატი მაინც იქნა არჩეული პარლამენტის წევრად, მისი უფლებამოსილების ცნობის შემდეგ პარტიის საარჩევნო ფონდის ნაშთი ჩაირიცხება პარტიის ანგარიშზე, საარჩევნო ბლოკისა — თანაბრად მასში შემავალი პარტიების ანგარიშებზე; წინააღმდეგ შემთხვევაში თანხა ჩაირიცხება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე.

8. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები, საარჩევნო ბლოკები და პარლამენტის წევრობის დამოუკიდებელი კანდიდატები არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 2 თვისა, ხოლო პარტიები და საარჩევნო ბლოკები, რომლებმაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემების მიხედვით გადალახეს ბარიერი, აგრეთვე შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მონაცემებით პარლამენტის წევრად არჩეული დამოუკიდებელი კანდიდატები არჩევნების დღიდან არა უგვიანეს 10 დღისა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგენენ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს. ეს ანგარიში ცენტრალური საარჩევნო კომისიას წარედგინება მის მიერვე დადგენილი ფორმით. მას უნდა ერთვოდეს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმების დასკვნა. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და პარლამენტის წევრებად არჩეული ოლქში წარდგენილი კანდიდატების მიერ საარჩევნო ფონდების გამოყენების მართლზომიერებას აკონტროლებენ საქართველოს კონტროლის პალატა, ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები, ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნების მომზადება და ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯებისას — ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო ამ უკანასკნელისას — პარლამენტი და საქართველოს კონტროლის პალატა.

9. სახელმწიფო მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები საარჩევნო კომისიების განკარგულებაში უფასოდ გადასცემენ არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობებსა და მოწყობილობებს. სატელეფონო საუბრები ანაზღაურდება არჩევნების ხარჯებიდან. საარჩევნო კომისიები, როგორც წესი, არ უნდა იყვნენ განთავსებულნი იმავე შენობებში, რომელშიც განთავსებულნი არიან სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ან/და პარტიები.

**მუხლი 31. საარჩევნო კომისიების მუშაობის საჯაროობა**

1. საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მისაცემ შენობებში დასწრების უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიისა და საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს შესაბამის საარჩევნო ოლქში, პარლამენტის წევრობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილ პირს, კანონით დადგენილი წესით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული იმ პარტიების თითო წარმომადგენელს, რომლებსაც შესაბამის კომისიაში არ დაუნიშნავთ კომისიის წევრი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული საზოგადოებრივი გაერთიანებების თითო წარმომადგენელს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ აკრედიტებულ პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს (რეგისტრაციისა და აკრედიტაციის შესახებ განცხადება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს არა უგვიანეს 10 დღისა არჩევნების დღემდე. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადაწყვეტილება გამოაქვს განცხადების წარდგენიდან 6 დღის ვადაში), მეთვალყურეებს სხვა სახელმწიფოებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ხოლო არჩევნების დღეს ხმის მისაცემ შენობაში, ხმის მისაცემი შენობების გახსნიდან არჩევნების შედეგების შეჯამების დამთავრებამდე, — პარლამენტის წევრობის კანდიდატების, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ დანიშნული თითო მეთვალყურესაც. პარტიისა და საარჩევნო ბლოკის რწმუნებულის უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება ამ კანონითა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტით.

2. პარტიის, საზოგადოებრივი გაერთიანების წარმომადგენლის უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იყოს ამ გაერთიანების ხელმძღვანელი პირის ხელმოწერილი წარდგინებით, ხოლო მეთვალყურისა — პარლამენტის წევრობის კანდიდატის, პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულის წარდგინებით. წარდგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს სხდომამდე არა უგვიანეს ორი დღისა. საარჩევნო უბანში არჩევნებზე დასასწრებად წარდგინება საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს ორი დღისა. საარჩევნო კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 24 საათის განმავლობაში. უარის თქმის შემთხვევაში საარჩევნო კომისია იძლევა დასაბუთებულ წერილობით პასუხს, რომლის გასაჩივრებაც შეიძლება ზემდგომ საარჩევნო კომისიაში.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აშუქებენ პარლამენტის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მიმდინარეობას. მათთვის გარანტირებულია შეუფერხებელი დასწრება არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა კრებასა და სხდომაზე. საარჩევნო კომისიები, არჩევნებში მონაწილე პარტიები, საარჩევნო ბლოკები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები აწვდიან მათ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

4. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საშუალება ეძლევა ყოველდღიურად საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით, ხოლო საოლქო და რაიონულ საარჩევნო კომისიებს — ადგილობრივი ქსელით, უფასოდ გადასცენ ოპერატიული ინფორმაცია. ინფორმაციას გადასცემს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან კომისიის მიერ ამ მიზნით შერჩეული პირი.

5. საარჩევნო კომისიები მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სისტემატურად აქვეყნებენ ოფიციალურ გაზეთებში, რადიოთი და ტელევიზიით.

## თავი V
## ამომრჩეველთა სია, ამომრჩევლის ბარათი და ხმის მიცემის უფლების მოწმობა

**მუხლი 32. ამომრჩეველთა სია და მისი შედგენის წესი**

1. ამომრჩეველთა სია თითოეული უბნის მიხედვით დგება ორ ცალად. სიას ყველა გვერდზე ხელს აწერენ საუბნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

2. სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები არჩევნებამდე არა უგვიანეს 55 დღისა უზრუნველყოფენ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა, მათ შორის იმათი, ვისაც არჩევნების დღისათვის უსრულდება 18 წელი, აღრიცხვას და გადასცემენ საარჩევნო კომისიებს იმ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად. ამომრჩეველთა სიაში შედის ამომრჩევლის პირადი ნომერი, სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი.

3. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა სიას საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემს არჩევნებამდე 55 დღით ადრე. თუ დევნილის სტატუსის მქონე პირი აღმოჩნდება რეგისტრირებული რომელიმე საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, იგი ამოღებულ იქნება დევნილთა საარჩევნო სიიდან. დევნილთა სიები საარჩევნო ოლქის მიერ კეთდება იმ რაიონების მიხედვით, სადაც ცხოვრობდნენ დევნილი ამომრჩევლები და გადაეცემა შესაბამის უბანს მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

4. ამომრჩეველთა სიებს საარჩევნო უბნების მიხედვით, რომლებიც შექმნილია საქართველოს სამხედრო ძალების სამხედრო ნაწილებსა და შენაერთებში, საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, აგრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში, ადგენენ შესაბამისი საუბნო კომისიები ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და გემების კაპიტნების მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე.

**მუხლი 33. ამომრჩეველთა სიაში მოქალაქეთა შეტანის წესი**

1. ამომრჩეველთა სიაში შეაქვს საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება და რომელიც სიის შედგენის მომენტისათვის რეგისტრირებულია მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, ხოლო საქართველოს სამხედრო ძალებისა და შენაერთების ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები საარჩევნო სიებში შეაქვთ მათი დისლოკაციის ადგილის მიხედვით. იძულებით გადაადგილებული პირები საარჩევნო სიებში შეაქვთ მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; მათთვის დგება ცალკე სია და ისინი მონაწილეობას არ იღებენ ერთმანდატიან ოლქში მაჟორიტარულ არჩევნებში.

2. ამომრჩეველი შეტანილ უნდა იქნეს ამომრჩეველთა მხოლოდ ერთ სიაში.

**მუხლი 34. მოქალაქეთათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობა და ამომრჩეველთა სიაში უსწორობის გასაჩივრების უფლება**

1. საარჩევნო სიები ქვეყნდება არჩევნებამდე 30 დღით ადრე. პრეტენზიები საუბნო საარჩევნო კომისიაში მიიღება არჩევნებამდე არა უგვიანეს 20 დღისა. პრეტენზიებს საუბნო საარჩევნო კომისია დაუყოვნებლივ გადასცემს საარჩევნო ოლქს, რომელსაც პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში ამომრჩეველი შეყავს ამომრჩეველთა სიაში, რომელიც ქვეყნდება არჩევნებამდე 10 დღით ადრე. თუ პრეტენზია არ დაკმაყოფილდა, ამომრჩეველს უფლება აქვს 3 დღის ვადაში სარჩელი შეიტანოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომელიც საქმეს განიხილავს 3 დღის ვადაში. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება საბ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-9 გვერდიდან

# საქართველოს ორგანული კანონი
# საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ

ოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ამომრჩეველი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შეყავთ ამომრჩეველთა სიაში.

2. ამომრჩეველთა დამატებით სიაში შეყვანილი იქნებიან კომისიის წევრები, რომლებიც კომისიის წევრად დანიშნულნი არიან იმავე ოლქის სხვა საუბნო საარჩევნო კომისიაში. ამ შემთხვევაში ამომრჩეველი ხმას აძლევს ხმის მიცემის მოწმობის საფუძველზე. თუ პირი დანიშნულია სხვა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად, იგი მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ პროპორციულ არჩევნებში.

**მუხლი 35. ხმის მიცემის უფლების მოწმობა.**

ამომრჩეველთა დამატებითი სია

1. თუ ამომრჩეველმა სახელმწიფოს, ოღონდ არა ერთი და იმავე დასახლებული პუნქტის, ფარგლებში ადგილსამყოფელი შეიცვალა ამომრჩეველთა სიების საყოველთაო გაცნობისათვის გამოტანიდან კენჭისყრის დაწყებამდე, საუბნო საარჩევნო კომისია მისი თხოვნით და წარდგენილი პასპორტის ან მისი პიროვნების დამადასტურებელი სხვა საბუთის საფუძველზე ამომრჩეველს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას, რის შემდეგაც იგი ამოღებული იქნება ამომრჩეველთა სიიდან. მოწმობის მიღებას და სიიდან თავის ამოღებას ამომრჩეველი სიაში ხელმოწერით ადასტურებს.

2. ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველი შეაქვთ დამატებით სიაში საარჩევნო უბანში არჩევნების დღეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

3. ამომრჩეველი, რომელიც კენჭისყრაში მონაწილეობს ხმის მიცემის მოწმობის საფუძველზე სხვა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში, მონაწილეობას არ იღებს ამ ერთმანდატიან ოლქში წარდგენილი კანდიდატების არჩევნებში და შესაბამისი საარჩევნო ბიულეტენი მას არ მიეცემა.

## თავი VI
## პარლამენტის წევრობის კანდიდატთა წარდგენა, მათი რეგისტრაცია და საარჩევნო ბიულეტენი

**მუხლი 36. პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან**

საქართველოს პრეზიდენტი, სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, საქართველოს უშიშროების საბჭოს წევრები, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები, კონტროლის პალატის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულები და მათი მოადგილეები, რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის, რაიონის ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები (მდივნები), საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების, დაზვერვისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოფიცრები, მოსამართლეები და მათი თანაშემწეები, საქართველოს სახალხო დამცველი და მისი მოადგილეები, საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრები (რომლებიც არ არიან პარლამენტის წევრები), საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეები, აუდიტორული საქმიანობის საბჭოს, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის, საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრები, თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარე და მოადგილეები, აგრეთვე პროკურორები, მათი მოადგილეები, თანაშემწეები და გამომძიებლები არ შეიძლება წარდგენილ იქნენ პარლამენტის წევრობის კანდიდატად, თუ რეგისტრაციამდე განთავისუფლებულნი არ იქნებიან დაკავებული თანამდებობიდან.

**მუხლი 37. პარტიული სიების წარდგენა**

1. პარტიული სიების წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს.

2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს წარადგინოს თითო პარტიული სია. წარდგენილ სიაში პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 235.

3. დაუშვებელია პარტიულ სიაში იმ პირთა შეყვანა, რომლებიც იმავდროულად არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრები არიან, გარდა ერთ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიებისა. დაუშვებელია ერთი და იმავე პიროვნების შეყვანა სხვადასხვა პარტიულ სიაში.

4. პარტიული სიების შედგენის წესს განსაზღვრავენ თავად პარტიები და საარჩევნო ბლოკები. სია შედგენილი უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნების შედეგად პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატები ნაწილდება სიის დასაწყისიდან რიგის მიხედვით.

5. პარტიულ სიაში მითითებული უნდა იყოს ყოველი კანდიდატის გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, პროფესია და საქმიანობა, პარტიულობა. იგი დამოწმებული უნდა იყოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ, ხოლო საარჩევნო ბლოკის პარტიული სია — ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირის ხელმოწერით.

6. პარტიული სიები უნდა წარედგინოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნების დანიშვნის შემდეგ არჩევნებამდე არა უგვიანეს 36-ე დღისა. სიებს უნდა ერთვოდეს ყოველი პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიერ ხელმოწერილი საალრიცხვო ბარათი, რომელშიც კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იყოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ნომერი, ორი ფოტოსურათი და, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს მოცემული სიით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი წარდგენილია ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში, — თანხმობა ამ ოლქში კენჭისყრაზეც, როგორც მისი წარმდგენი პარტიის, საარჩევნო ბლოკის კანდიდატმა (საალრიცხვო ბარათებს პარტიის რწმუნებულს წინასწარ გადასცემს ცენტრალური საარჩევნო კომისია). საბუთების მიღებისთანავე პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს ეძლევა დათარიღებული ცნობა საბუთების მიღების შესახებ.

**მუხლი 38. საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენა**

1. საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა არანაკლებ ხუთკაციან საინიციატივო ჯგუფს. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიას, საარჩევნო ბლოკს და საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს საარჩევნო ოლქში წარადგინოს პარლამენტის წევრობის ერთი კანდიდატი, თუ მას მხარს უჭერს შესაბამისი საარჩევნო ოლქის არანაკლებ 1000 ამომრჩეველისა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დასახელებული კანდიდატი ბოლო არჩევნებში არჩეული იყო პარლამენტის წევრად.

2. პარლამენტის წევრობის კანდიდატად ერთი და იმავე პიროვნების წარდგენა შეიძლება მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში.

3. ამომრჩეველთა მიერ კანდიდატის წარდგენის მიზნით ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა არჩევნებამდე არა უგვიანეს 40-ე დღისა განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიას. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს ამომრჩეველთა ჯგუფის ყველა წევრი და მასში მითითებული უნდა იყოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ნომერი, ორი ფოტოსურათი, მათი ვინაობა და მისამართი, აგრეთვე პარლამენტის წევრობის კანდიდატის გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, პროფესია და საქმიანობა, პარტიულობა, საარჩევნო ოლქის ნომერი, რომელშიც იგია წარდგენილი. განცხადებას უნდა ერთვოდეს პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიერ ხელმოწერილი საალრიცხვო ბარათი (ორ ცალად), რომელშიც კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იყოს, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს მოცემულ საარჩევნო ოლქში (საალრიცხვო ბარათებს საინიციატივო ჯგუფს წინასწარ გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისია). ერთ შევსებულ საალრიცხვო ბარათს საოლქო საარჩევნო კომისია გადასცემს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე არა უგვიანეს 36-ე დღისა.

4. საბუთების მიღებისთანავე ამომრჩეველთა ჯგუფს ეძლევა დათარიღებული ცნობა საბუთების მიღებისა და მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვების უფლების შესახებ, აგრეთვე ხელმოწერათა ბლანკები.

5. ხელმოწერათა შევსებული და გადანომრილი ბლანკები ამომრჩეველთა ჯგუფის განცხადებასთან ერთად, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ხელმოწერების ბლანკებისა და ხელმომწერ ამომრჩეველთა სრული რაოდენობა, არჩევნებამდე არა უგვიანეს 36-ე დღისა უნდა წარედგინოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

6. ზემოთ აღნიშნული საბუთების მიღებისთანავე ამომრჩეველთა ჯგუფს ეძლევა ცნობა პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ. ცნობაში უნდა აღინიშნოს საბუთების მიღების თარიღი.

**მუხლი 39. არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერთა და პარლამენტის წევრობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიები და მათი შემოწმება**

1. არჩევნებში პარტიის მონაწილეობისა და საარჩევნო ოლქში წარდგენილი პარლამენტის წევრობის კანდიდატის მხარდაჭერა ამ საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა ხელმოწერების ბლანკზე ხელმოწერით უნდა დაადასტურონ.

2. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი წესით ამოწმებენ ხელმოწერათა ნამდვილობას. ბათილად მიიჩნევა იმ ბლანკზე შესრულებული ყველა ხელმოწერა, რომელიც დადგენილი წესით არ არის დადასტურებული ხელმოწერების შემგროვებლის მიერ, აგრეთვე ის ხელმოწერები, რომელთაც არ ახლავს ხელმოწერების ბლანკით გათვალისწინებული სხვა მონაცემები ან ეს მონაცემები არასწორია. ბათილად მიიჩნევა მოტყუებით, მუქარით ან ძალდატანებით შესრულებული ხელმოწერა, თუ ამას წერილობით დაადასტურებს ხელმომწერი ამომრჩეველი, აგრეთვე სხვა პირის მიერ შესრულებული ხელმოწერა, თუ ეს წერილობით დაადასტურა თვით ამომრჩეველმა. არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერთა სიები შემოწმდება და მათ შესახებ გადაწყვეტილება მიიღება თოთხმეტი დღის ვადაში. ხელმოწერათა ნამდვილობის შემოწმება და მათ შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება მთავრდება ოლქში წარდგენილ კანდიდატთა რეგისტრაციის ვადის დამთავრების წინა დღეს. თუ შემოწმების შედეგად პარტიის მხარდამჭერთა სიაში ნამდვილ ხელმოწერათა რაოდენობა 50000-ზე, ხოლო პარლამენტის წევრობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიაში 1000-ზე ნაკლები აღმოჩნდა, პარტია და კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდებიან.

3. მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ საარჩევნო კომისიების წევრებსა და, საჩივრის შეტანის შემთხვევაში, სასამართლოს. მხარდამჭერთა სიები ნადგურდება არჩევნებამდე არა უგვიანეს 20 დღისა.

**მუხლი 40. პარტიული სიების, პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია**

1. პარტიულ სიას რეგისტრაციაში ატარებს ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც დაუყოვნებლივ გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისიას პარტიების მიერ შესაბამის საარჩევნო ოლქში წარდგენილ პარლამენტის წევრობის კანდიდატთა სიებს. დამოუკიდებელ კანდიდატს რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია, რომელიც დაუყოვნებლივ გადასცემს რეგისტრაციის ოქმებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. პარტიული სიებისა და პარლამენტის წევრობის კანდიდატების რეგისტრაცია მთავრდება არჩევნებამდე არა უგვიანეს 25-ე დღისა.

2. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს უზენაესი სასამართლო გააუქმებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას პარტიის, საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, მათთვის პარტიული სიების რეგისტრაციის ვადა განისაზღვრება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან სამი დღით.

3. პარტიული სიებისა და პარლამენტის წევრობის კანდიდატების რეგისტრაციის საკითხი განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება, თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილია ამ კანონის 37-ე, 38-ე და 39-ე მუხლებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი.

4. პარლამენტის წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, ხოლო თუ რეგისტრირებულია, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებიდან მოიხსნება, თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილი დოკუმენტები არ აკმაყოფილებენ ამ კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, კერძოდ, თუ არასწორი ან არასრულია მათში მოყვანილი მონაცემები, თუ ერთდროულად არსებობს ან არსებობდა ერთი და იმავე პიროვნების თანხმობა პრეზიდენტობის კანდიდატად, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატად, თვითმმართველობის არჩევნებში და პარლამენტის წევრობის კანდიდატად კენჭისყრაზე, ან სხვადასხვა პარტიის ან საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით კენჭისყრაზე, ან სხვადასხვა საარჩევნო ოლქში კენჭისყრაზე.

5. პარტიისა და პარტიული სიის რეგისტრაცია გაუქმდება, თუ საარჩევნო ოლქში წარდგენილ სიაში არჩევნებამდე არა უგვიანეს 2 დღისა კანდიდატთა რაოდენობა 37-ე მუხლით დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება.

6. ოლქში წარდგენილი კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების ან არჩევნებიდან რაიმე სხვა მიზეზით გამოკლების შემთხვევაში, ოლქში წარდგენილი დარჩენილი კანდიდატები საარჩევნო ბიულეტენში ინარჩუნებენ წილისყრით მიკუთვნებულ რიგით ნომერს.

7. რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში პარლამენტის წევრობის კანდიდატებად წარდგენილ პირებს, პარტიული სიის წარმდგენი პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უფლება აქვთ უარის მიღებიდან [illegible] დღის ვადაში გაასაჩივრონ საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ამ უკანასკნელისა — საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანონ საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში.

8. რეგისტრირებულ პარტიულ სიებს ოფიციალურ გაზეთებში აქვეყნებს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო ოლქში წარდგენილ კანდიდატთა გვარებს იმ მონაცემებითურთ, რომლებიც შეიტანება საარჩევნო ბიულეტენში, აქვეყნებენ საოლქო საარჩევნო კომისიები არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-15 დღისა.

9. არჩევნებში მონაწილე პარტიების რიგითობა განისაზღვრება ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების (ბლოკების) შედეგების შესაბამისი თანამიმდევრობით. თუ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ბლოკი არჩევნებში მონაწილეობას აღარ იღებს, მისი ნომრით მონაწილეობის უფლებას თანამიმდევრულად ენიჭებათ ბლოკის სიაში დასახელებულ პარტიებს. თუ საარჩევნო ბლოკში შედიან პარტიები, რომლებიც ბოლო არჩევნებში ცალცალკე მონაწილეობდნენ, ბლოკის წესდებაში უნდა მიუთითონ ბლოკში შემავალი რომელი პარტიის უფლებით ისარგებლებენ რიგითი ნომრის მიკუთვნებისას. ამ შემთხვევაში რიგით მომდევნო პარტიები (ბლოკები) შესაბამისად გადაინაცვლებენ წინ.

10. პარტიების (ბლოკების), გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული პარტიებისა (ბლოკებისა), რიგითობა დგინდება წილისყრით, რომლის ჩატარების წესს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია. წილისყრა ტარდება არჩევნებამდე არა უგვიანეს 45-ე დღისა. თუ ასეთი პარტიები შევლენ საარჩევნო ბლოკში, ისინი ბლოკის წესდებაში მიუთითებენ ბლოკში შემავალი რომელი პარტიის უფლებით ისარგებლებენ რიგითი ნომრის მიკუთვნებისას.

11. ოლქში წარდგენილი კანდიდატის რიგითობა დგინდება წილისყრით, რომლის ჩატარების წესს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია. წილისყრა ტარდება არჩევნებამდე არა უგვიანეს 25-ე დღისა.

**მუხლი 41. პარლამენტის წევრობის კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება.**

პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნა

1. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს არჩევნებამდე არა უგვიანეს 3 დღისა ანდა არჩეული პარლამენტის წევრების უფლებამოსილების ცნობის შემდეგ გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეწყდება ამ სიით არჩეული პარლამენტის წევრის უფლებამოსილება უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან მისი ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობამდე. მისი კანდიდატურა მოიხსნება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ხელმძღვანელის (საარჩევნო ბლოკის წესდებითა და განცხადებით განსაზღვრული პირის) მიერ ხელმოწერილი განცხადების საფუძველზე.

2. ოლქში წარდგენილ კანდიდატს შეუძლია არჩევნებამდე არა უგვიანეს 3 დღისა მოხსნას თავისი კანდიდატურა საარჩევნო ოლქში, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელმაც ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. პარტიული სიით წარდგენილ კანდიდატს შეუძლია ნებისმიერ დროს მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ასეთ შემთხვევაში მისი კანდიდატურა მოიხსნება საარჩევნო ოლქიდან.

3. ინფორმაციას ზემოთ აღნიშნულის შესახებ საარჩევნო კომისია აქვეყნებს განცხადების მიღებიდან სამი დღის ვადაში, ხოლო თუ არჩევნებამდე ოთხ დღეზე ნაკლებია დარჩენილი, — დაუყოვნებლივ.

**მუხლი 42. საარჩევნო ბიულეტენები**

1. საარჩევნო ბიულეტენის ფორმას დადგენილებით ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

2. საარჩევნო ბიულეტენებს ბეჭდავს ცენტრალური საარჩევნო კომისია ქართულ ენასა და აფხაზურ ენაზე (აფხაზეთისათვის), აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საარჩევნო ოლქის მოსახლეობისათვის გასაგებ სხვა ენაზეც.

3. საარჩევნო ბიულეტენები ზუსტად აღირიცხება. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ შესაბამისად საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ბიულეტენების გადაცემას. ყოველ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიას გადაეცემა შესაბამის საარჩევნო ოლქში, უბანში ამომრჩეველთა რაოდენობის შესაბამისი ბიულეტენები. ბიულეტენების მიღებას კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე ან მდივანი ადასტურებს ხელის მოწერით.

გაგრძელება მომდევნო ნომერში

# „მარსელიოზა" ხომ არ გვემღერა, ბატონო გივი.... ერთად?!

*დასაწყისი იხილეთ (№28, 29, 30).*

ძვირფასო მკითხველო! ჩემს პუბლიკაციებზე ბატონი გივი გიგინეიშვილის (საქ. პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე) პასუხის შემდეგ, მე დროებით დავემშვიდობები გაზეთ „ალიას" კორესპონდენტ მაია ფურცელაძეს, საქართველო-ისრაელის ერთობლივ ფირმა „ეკოტექს" და რუხ კარდინალს. ბატონი გივი ლანჩხუთის საკრებულოს, მგონი კი შევარიგე, მაგრამ მას ეტყობა ჩემთან გაუჩნდა პრობლემები. რას იზამ! ვიღებ მის მიერ რაინდულად გადმოსროლილ თეთრ ხელთათმანს! მაშ ასე...

**ჩემს წინა პუბლიკაციაში ტყუილად არ შევხებივარ საბჭოთა მენტალიტეტს (იხ. გაზ. „საქართველო" №28), რომელიც ესოდენ მწარედ არის ფეხმოდგმული ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. ძალიან სიცოცხლისუნარიანი და გამძლე აღმოჩნდა „მსოფლმხედველობის" ეს ფორმა. ამის წყალობით აღარ სრულდება ჩვენთვის გარდამავალი პერიოდი. ამ კატეგორიის ხალხისთვის უცხოა საზოგადოების დემოკრატიული გზით განვითარების აუცილებლობა. ვერ ხედავენ პროცესის შეუქცევადობას. ზოგი, ძველი წყობის ნოსტალგიით შეპყრობილა და მისი დაბრუნების იმედით არის აღვსილი, ზოგი — ინსტიქტების დონეზე მოქმედებს. ეს ისე...**

მინდა შეგახსენოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის დროს, სახალხო მეურნეობის ნებისმიერი ფორმის განვითარებისთვის მოქმედებდა ცენტრალიზირებული დაგეგმვის პრინციპი. ვის აინტერესებდა მოსახლეობის აზრი. პიროვნება წარმოადგენდა უზარმაზარი სახელმწიფოებრივი მექანიზმის ერთ უბრალო ჭანჭიკს. ხალხიდან წამოსული ნებისმიერი ინიციატივა მმართველი პარტიული ელიტის მიერ მკაცრად კონტროლდებოდა, საავტორო უფლებების უზურპირების ხარჯზე...

აი, ამ მიდგომისაგან ვერ განთავისუფლებულა დღეს ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე. ზუსტად ამ „ატავიზმის" პრინციპებზეა შექმნილი საქ. პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ". ვერაფრის დიდებით ვერ გაუცნობიერებიათ კანონის შემომქმედთ, რომ ხალხის აზრის გაუთვალისწინებლად დასაღუპავად არის განწირული მათი ნაღვაწი.

### გაღმა შეედავე და გამოღმა შემოგრჩება!

დავუბრუნდეთ ბატონი გივი გიგინეიშვილის პასუხს ჩემს პუბლიკაციებზე. გაოცებულია ხალხის რჩეული — რატომ წარმომაჩინაო ჟურნალისტმა უარყოფით პერსონაჟად, ამ ვაკხანალიაში. თან გურიის რეგიონის მძაფრი რეაქცია უკვირს კანონის მისამართით. ვაკეთებ მისი სიტყვების ციტირებას: — „მართალი გითხრათ, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ კანონის მიღებას „კოლხეთის დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" ასეთი რეაქცია მოყვებოდა. ვერაფრით წარმოვიდგენდი იმიტომ, რომ საქართველოს პარლამენტმა ეს კანონი პირველი მოსმენით 1996 წლის დეკემბერში მიიღო, ხოლო მეორე და მესამე მოსმენით კი — 1998 წლის დეკემბერში. ორი წელიწადი სრულიად საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ ყველა პრობლემური საკითხი, რომელიც აღნიშნულ კანონში გაჩნდა, მოგვარებულიყო და არ გამხდარიყო კვლავ მსჯელობის საგანი მისი მიღების შემდეგ."

აი ამაზე იტყვიან — გაღმა შეედავე და გამოღმა შემოგრჩებაო.

ბატონო გივი, განსხვავებით საბჭოური მიდგომისა ნებისმიერი საკითხისადმი, არსებობს სხვაც. ეს არის დასავლური მიდგომა (რომელიც ესოდენ არ მოსწონს ქ-ნ ნინო ჩხობაძეს. იხ. გაზეთ „ალიას" 1999 წლის 15 მარტის ნომერი. სტ. „რა ხდება სუფსაში?"). როდესაც გიჩნდება რაიმეს გაკეთების სურვილი, უნდა შეგეძლოს შენი



გია გვაზავა (საქ. პარლამენტის გარემოს ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის, დაცული ტერიტორიების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე; საქ. პარლამენტის ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი).

საკუთარი იდეაფიქსის კარგად რეკლამირება. რეკლამა გარანტიაა საქმის წარმატებულად დაწყებისა. შემდგომი ეტაპი არის თქვენი სამოქმედო არეალის მკაფიოდ განსაზღვრა და იმ კონტიგენტის თქვენი იდეაფიქსისადმი დამოკიდებულება, სადაც თქვენ აპირებთ მოღვაწეობის დაწყებას. არსებობს დასავლური მიდგომის ისეთი პოსტულატები, როგორიცაა **„თუ გინდა საქმეში წარმატებას მიაღწიო, უპირველესად მოწინააღმდეგის ინტერესი გაითვალისწინე და ამის შემდეგ დააბალანსე შენი", „თუ გინდა დიდი ფული იშოვო, უნდა ჩადო ფული" და ა. შ.** –

გულზე ხელი დაიდეთ და მითხარით, თქვენ რომელი შეასრულეთ აქედან და თუ არა, რად გიკვირთ მოსახლეობის რეაქცია. ახლა არ მითხრათ — დაცული ტერიტორიების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე გია გვაზავა გავაგზავნე გურიაში და თუ იმან როგორც საჭიროა ისე არ იმუშავა, რა ჩემი ბრალიაო. თქვენ ეს უკვე მითხარით, გურულ სტუმრებთან ერთად ჩემი ბოლო ვიზიტის დროს.

**ძვირფასო მკითხველო, ბატონი გია გვაზავა კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფთან ერთად (ავტორი — პაატა შანშიაშვილი, თანაავტორები — ჭიჭიკო ჯანელიძე, მზია გაბუნია და სხვ.), მართლაც იყო ლანჩხუთში და სამუშაოდ შეხვდა, მხოლოდ... სატყეო მეურნეობის უფროსს რევაზ იმნაძეს. დანარჩენებს მხოლოდ გაესაუბრა (გუბერნ. — ვაჟა ჭკუასელი, გამგებელი — კარლო გუჯაბიძე). ამ ჯგუფის ნაკვალევზე ორი თვე მაინც ვიარე და თამამად გიცხადებთ, რომ მეტი არაფერი გაუკეთებიათ.** ბატონო გივი, ჩემი სიტყვები შემაგრებულია დაახლოებით 7 ინტერვიუთი (მათ შორის გურიის გუბერნატორი — კარლო გუჯაბიძე, ლანჩხუთის გამგებელი — მიხეილ გვარჯალაძე, რევაზ იმნაძე და სხვ.). თითო ინტერვიუ, თითო საგაზეთო პუბლიკაციის თემაა და ყველას ერთად. გაგაცნობთ სპეცნომერში, რომლის გამოცემასაც ვაპირებ.

**ე. ი. 1996-98 წლებში მოსახლეობის ინფორმირების თვალსაზრისით არაფერი არ გაგიკეთებიათ და როგორ იაქტიურებდნენ ისინი. იქნებ თვლით, რომ კანონის კონსპირაციულად მიღებით და გურიის რეგიონის ეკონომიკური ინტერესების დაბლოკვით და იგნორირებით, მადლობელი დაგრჩებოდათ ვინმე. საბჭოურ პერიოდში ეს გაგივიდოდათ, ახლა კი... ბოდიში.**

არ შემიძლია არ გავამახვილო ყურადღება ლანჩხუთიდან გამოგზავნილ წერილებზე, სადაც ლამის ღაღადებს საკრებულო — **თანახმად ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის დებულებისა, უხეშად დაირღვა ჩვენი კონსტიტუციური და მოქალაქეობრივი უფლებებიო".** გამაოგნებელია თქვენი კომიტეტის პასუხი — სათაურით — „მოკლე ინფორმაცია „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ" საქართველოს კანონის თაობაზე.

გავაკეთებ რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი აზრის ციტირებას:

1. კანონი შემუშავებულ იქნა საქართველოს პარლამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ" კონვენციასთან შეერთების თაობაზე მიღებული 1996 წლის 30 აპრილის დადგენილების მე-5 მუხლის საფუძველზე. რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს დაევალა შეემუშავებინა და საქართველოს პარლამენტისათვის განსახილველად წარედგინა კანონპროექტი კოლხეთის ეროვნული პარკის შექმნის შესახებ, რომელიც შედგენილი იქნებოდა „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიაში შესატანად განსაზღვრული (დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად) ცენტრალური კოლხეთის ჭარბტენიან ტერიტორიებზე, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ხელშეწყობით და მსოფლიო გარემოს დაცვის ფონდის (GLOBAL ENVIRONMENTAL FACILITY) ფინანსური დახმარებით 1995 წელს დამუშავებული შესაბამისი პროექტის საფუძველზე"...



ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) საქართველოს წარმომადგენლობის ოფისი.

2. დასასრულს, გვსურს აღვნიშნოთ, რომ კომიტეტში შემოსულ წერილებში მოყვანილი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „თანახმად ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის დებულებისა, უხეშად დაირღვა კონსტიტუციური და მოქალაქეობრივი უფლებები", და რომ „კანონი მიღებულია ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის საფუძვლების ძირითადი პრინციპების... და დებულებების დარღვევით" არ შეესაბამება სინამდვილეს.

**ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) წარმოადგენს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას და ამდენად, მის დებულებაში ჩამოყალიბებული მოთხოვნები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სრულებით არ არის სავალდებულო შესასრულებლად!!!**

რას გავს ეს, ბატონო გივი! თქვენ ისარგებლეთ WWF-ის ხელშეწყობით და მისი პრინციპები სავალდებულო არ არის თქვენთვის?!!. მით უმეტეს, რომ თქვენ WWF-ის კოორდინატორი ბრძანებულხართ. (ოხ! ეს საბჭოთა მენტალიტეტი). სხვათა შორის, ქ-ნ ნინო ჩხობაძესაც არ მოსწონს არასამთავრობო ორგანიზაციები (წინა პუბლიკაციებში ამისთვის კინაღამ შევაკვდი მას), განსხვავებით საქართველოს პრეზიდენტისაგან.

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ გულმა მიგრძნო, რომ რაღაც ვერ იყო საქმე კარგად და ფიცხლად მივაშურე WWF-ის საქართველოს წარმომადგენლობის ოფისს. მაინტერესებდა რა პრინციპები ჰქონდათ ასეთი, რომელსაც ცეცხლივით ერიდება საქართველოს პარლამენტი. ერთად გავეცნოთ ძვირფასო მკითხველო.

### WWF — მუდმივი დიალოგი ადგილობრივ მოსახლეობასთან

**WWF-ის პრინციპების დეკლარაცია**

ნებისმიერი ბუნებისდაცვითი საქმიანობა (რა ამაღლებულ მიზნებსაც არ უნდა ისახავდეს) განწირულია, თუკი ეს ეწინააღმდეგება მკვიდრი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს, მათ ყოველდღიურ ეკონომიკურ მოთხოვნილებებს, მათ განუყოფელ უფლებებს ისარგებლონ ბუნებრივი სიმდიდრეებით იმ ტერიტორიაზე, სადაც ოდითგანვე უცხოვრიათ მათ წინაპრებს.

WWF-ის საქმიანობა გულისხმობს ისეთი პროექტების განხორციელებას, რომლებშიაც შეხამებულია მდგრადი განვითარება, ბუნების დაცვა და ეკონომიკური ეფექტურობა. სხვა სიტყვებით, მთავარია მოსახლეობისათვის იმგვარი პირობების შექმნა, როდესაც ველური ბუნების კონსერვაცია იქცევა ცალკეული ოჯახებისათვის სტაბილური, მუდმივი შემოსავლის მთავარ პირობად.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დაარსება და მისი დამხმარე ზონის (მიმდებარე რაიონების) განვითარება ერთ-ერთი ასეთი პროექტია.

WWF აცნობიერებს, რომ ვერანაირი ძალა ვერ დაიცავს ტერიტორიას, თუკი ადგილობრივი მოსახლეობა არ იქნა დაინტერესებული ველური ბუნების კონსერვაციაში.

ჩვენში დღემდე არსებული დაცული ტერიტორიების მიერ მოტანილი სიკეთე საქართველოს მოსახლეობას ჯერ პრაქტიკულად არ უნახავს.

ეროვნული პარკი შესაძლებლობას გვაძლევს შემოსავალი ბუნების დაცვით მივიღოთ და არა მისი გაჩანაგებით, ანუ მას წმინდა პრაგმატული საფუძველიც აქვს (გარდა იმისა, რომ მრავალფეროვნების შენარჩუნება დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთი გზაა და რომ ამით კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ ცივილიზებული სამყაროსკენ)...

WWF მუდმივად აწვდიდა და აწვდის მოსახლეობას სწორ ინფორმაციას პარკის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. WWF-ის ბაკურიანის ეკოლოგიურ ცენტრში მუდმივად ტარდება სემინარები და ტრენინგები ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი, სოციალური და პროფესიული ჯგუფებისათვის.

ამ საქმიანობაში WWF-ს დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივი ბუნებისდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ მოსახლეობასთან, ადგილობრივ მასმედიასთან, ატარებენ სოციოლოგიურ გამოკითხვებს, გამოსცემენ გაზეთებს, ბუკლეტებს და მოსახლეობაში ავრცელებენ მათ. WWF-ს მჭიდრო კავშირი აქვს ამ ორგანიზაციებთან და მცირე გრანტების საშუალებით დახმარებასაც უწევს მათ. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში მუშაობს ხუთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა უმრავლესობაც WWF-ის ინიციატივითა და ხელშეწყობით დაარსდა.

ადგილობრივი ორგანიზაციები მუდმივად მოვლენების ცენტრში არიან, შეიძლება ითქვას, რეგიონის მაჯისცემაზე უდევთ ხელი. ისინი პირველები იგებენ და იზიარებენ მოსახლეობის ჭირ-ვარამს. ეს ბუნებრივიცაა — ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები მკვიდრი მოსახლეობის ნებას გამოხატავენ და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. ამასთან ერთად მათ WWF-სა და რეგიონის მოსახლეობას შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლაში, კითხვა-პასუხში, დიალოგის წარმართვაში, მეკავშირის ფუნქციაც აქვთ ნაკისრი".

აი, ხალხიც ესენი ყოფილან-თქო გავიფიქრე და სასწრაფოდ მოვითხოვე საინფორმაციო ბუკლეტები. გამაცნეს ბორჯომ-ხარაგაულის მენეჯმენტის გეგმა. კანონი ხომ არა გაქვთ მიღებული? — ვიკითხე მე. არაო — მიპასუხეს. 1995 წელს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით — მენეჯმენტის გეგმის შესაბამისად — პარკის დასაარსებლად გამოიყო 50400 ჰა ფართობი. ავიღე ინტერვიუ ბ-ნი ნუგზარ ზაზანაშვილისგან (WWF-ის კოორდინატორი) და ეს საჩუქრად გადმოცემული ბუკლეტები და გეგმა ლანჩხუთის საკრებულოს, სუფსასა და გურიის გუბერნატორს გავუგზავნე. შეხედეთ, ხალხო, რა კარგი ყოფილა-თქო ეროვნული პარკი და მისდამი დასავლური მიდგომა. სხვათა შორის, ექსკლუზიური ინტერვიუ ჩამოვართვი იქ სტუმრად მყოფ, ბატონ ბესარიონ ლობჟანიძეს (დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე).

ბატონო გივი! 1996 წლიდან 1998 წლამდე მსგავსი რამ თუ გაუკეთებია თქვენს კომიტეტს ან სამინისტროს. თქვენი გამოცემული ერთი საინფორმაციო ბუკლეტი მაინც მაჩვენეთ, ან რომელი მეთოდკაბინეტი გაქვთ გახსნილი გურიის რეგიონში, ადგილობრივი მოსახლეობა რომ შემოგეგებოდა აღფრთოვანებით თქვენს იდეას. არადა, სულაც არ დასჭირვებია WWF-სა და მის დონორს (გერმანიის მთავრობა და ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ბანკი KFW) პარლამენტის კანონი სათაურით „ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ". სამაგიეროდ ეს



WWF-ის საქართველოს წარმომადგენლობის ოფისი. დირექტორი გოგა სანადირაძე (მარცხნ.) და ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატი რომან კვაჭაძე.

დასჭირდა თქვენს მამა-მარჩენალ მსოფლიო ბანკს. (ამ თემაზე ჩვენ ცალკე ვისაუბრებთ). ე. ი. ბორჯომ-ხარაგაულში ქართველები ცხოვრობენ და გურიაში ზანგები?

როგორც მოგეხსენებათ, ბორ-

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*

# „მარსელიოზა“ ხომ არ გვემღერა, ბატონო გივი.... ერთად?!

მე-11 გვერდიდან

ჯომ-ხარაგაულში უკვე პარკის ადმინისტრაციაც ჩამოყალიბდა. თქვენ კი კანონში „მუხლობრივ ცვლილებას“ არ გაცდენიხართ... ვერც გაცდებით. აი, თქვენი, არასამთავრობო ორგანიზაციების ეროვნული პარკისადმი დასავლური მიდგომა და ამის ფონზე თქვენი დირექტიული, პოსტ-კომუნისტური მენტალიტეტით გაჯერებული ნაცოდვილარი, რომელსაც გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს გურიის რეგიონი.

ძვირფასო მკითხველო, გაიფიქრე, ამ კაი ხალხს (WWF-ს დირექციას) გურულებიდან მარტო მე ხომ არ უნდა ვიცნობდე-თქო და სასწრაფოდ ავიჭერი საქართველოს პარლამენტში. ვნახე ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატი ბ-ნი რომან კვაჭაძე, გადავეცი ნაჩუქარი ბუკლეტების ქსეროასლები და თან ვუთხარი — წამობრძანდით WWF-ის ოფისში, იქ ბევრ რამეს გაიგებთ-თქო. ცოტა ხანში ნანატრი შეხვედრაც შედგა. აი, ერთმანეთის პირისპირ სხედან WWF-ის საქართველოს წარმომადგენლობის ოფისის დირექტორი ბ-ნი გოგა სანადირაძე და ბ-ნი რომან კვაჭაძე. აღებულია ორივესგან ინტერვიუ, არსებობს შეხვედრის დამადასტურებელი ორსაათიანი ფონოგრამა. (ეს მასალაც სპეც. ნომერში დაიბეჭდება.

ბატონო გივი! თქვენ, ეტყობა, საკუთარი ავტორიტეტი გაკლიათ და ახლა ბ-ნი პრეზიდენტის სიტყვებს იშველიებთ — **საქართველოს პრეზიდენტმა 1997 წელს მსოფლიოს აუწყა, რომ საქართველო თავისი ტერიტორიის 20%-ზე შექმნის დაცულ ტერიტორიებს, უმდიდრესი ლანდშტაფური მოზაიკის და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება-რეაბილიტაციისათვისო. ეს არის ქვეყნის ერთ-ერთი პოლიტიკური პრიორიტეტის წარმოჩენა და ოფიციალური განაცხადიო.**

ძვირფასო მკითხველო! ბატონი გივისთვის ცნობილი ყოფილა ჩემი განსწავლულობა ახალი კანონის მიღებით გამოწვეულ ყველა ასპექტთან დაკავშირებით და ჩემი ცოდნის ნაწილს (კონსულტანტები, იცოცხლეთ, უფასო მყავს, თან გურიაში რა გამოლევს მასწავლებლებს) ახლა გამოვამჟღავნებ, ნაწილსაც შემდეგისთვის შემოვინახავ.

**მაშ ასე... 1992 წელს კარაკასში ჩატარდა კონგრესი, რომელიც მსოფლიოს ეროვნული პარკების პრობლემატიკას ეხებოდა. აქ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 2000 წლამდე მსოფლიოს ყველა ქვეყანას თავისი ტერიტორიების 10% დაეთმო დაცული ტერიტორიებისათვის, ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად.**

მე მოვიპოვე ოქსფორდის უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი გამოცემა „მსოფლიო რესურსები“ (WORLD RESOURCES) (1945-95), სადაც ერთ-ერთი თავი ეძღვნება „დაცულ ტერიტორიებს“.

გთავაზობთ მცირეოდენ სტატისტიკას.

**1. აფრიკის კონტინენტი დაცულ ტერიტორიებს უთმობს — თავისი ტერიტორიების — 4,4%-ს**

**2. აზია — 4,8%;**

**3. ჩრდილოეთ ამერიკა — 9,8%;**

**4. ევროპა — 11%.**

**ცნობისათვის — საბჭოთა კავშირი აღიარებდა ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) კლასიფიკაციის მხოლოდ I კატეგორიას. ეს არის სახელმწიფო ნაკრძალი და მისთვის გამოყოფილი ჰქონდა მთლიანი ტერიტორიის — 1%; საბჭოთა საქართველოს კი — 2,7%.**

**დაცული ტერიტორიის შენახვა ძნელად ხელეწიფება ისეთ ზემძლავრ სახელმწიფოებსაც კი, როგორიცაა — ა.შ.შ — 10% და კანადა — 5%, რადგან ეს ყველაფერი კოლოსალურ თანხებთანაა დაკავშირებული.**

**ევროპაში ამ მხრივ რეკორდული მაჩვენებელი აქვს ავსტრიას — 18% და შვეიცარიას — 22%.**

**დაცული ტერიტორიების უდიდესი პროცენტული მაჩვენებელი აქვს ეკვადორის ჯუნგლებს — 39%, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს დედამიწის კლიმატის ფორმირებაში და მას მთელი მსოფლიო აფინანსებს.**

რომელ სპეციალისტსაც კი ვკითხე, რეალურია თუ არა-



WWF ლანჩხუთში. მარცხნიდან: ნ. ზაზანაშვილი — WWF-ის კოორდინატორი, რ. კვაჭაძე — ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატი, გ. სანადირაძე (WWF-ის საქართველოს ოფისის დირექტორი), გ. აფხაზავა, გ. ჭყონია (დეპუტატი), რ. ბიწაძე (ლანჩხუთის საკრებულოს წევრი).

მეთქი საქართველოს პირობებში პრეზიდენტის ეს შენაპირები (დაცული ტერიტორიებისთვის 20%-ის შექმნა), ყველამ მოწყალედ გამიღიმა, ავად ხომ არა ხარო. WWF-ში კი ამიხსნეს, რომ ეს მხოლოდ კეთილი ნების გამოხატვა იყოო. თქვენ რა ლოზუნგომანია აგიტყდათ, ასეთი, ბატონო გივი.

თქვენ თურმე საფუძვლიანად გაეჭვებთ ჩემი ობიექტურობა და რატომღაც ჩემს სტატუსს ბრჭყალებში მოიხსენიებთ („დამოუკიდებელი ჟურნალისტი“). თქვენ თუ თვლით, რომ მაღალი ჩინი გაძლევთ ამის უფლებას, მაშინ მეც ხომ ხელ-ფეხი მეხსნება და რაღა მიშლის ხელს გიწოდოთ „ხალხის რჩეული“. გაზეთ „საქართველოს“ (№ 30) გადახედეთ და იქ აღმოაჩენთ ჩემს მიერ გამოქვეყნებულ ჟურნალ „სარკის“ შენიშვნას, რომლის მოსახლეობისადმი დამალვაში მდებბდით ბრალს. თან არ გავიწყდებათ საკუთარი აზრის კომუნისტური ეპითეტით **დასაბუთება — დამოუკიდებელი ჟურნალისტი განგებ ამწვავებს ვითარებას და ლანჩხუთის რაიონის საზოგადოება და არა მარტო ისინი, შეგნებულად შეყავს შეცდომაშიო.**

ცრუობთ, ბატონო გივი, როდესაც ამბობთ — **„დამოუკიდებელი ჟურნალისტი“ თავის წერილში იძლევა სავარგულების ჩამონათვალს, რომლებიც თითქოსდა კოლხეთის ეროვნული პარკის ჩამოყალიბების შემთხვევაში ნაკვეთები ჩამოერთმევა მოსახლეობას და ამით ის თითქმის გაუსაძლის მდგომარეობაში ჩავარდებაო.** თან მოგაქვთ კანონის 46-ე მუხლის 1 პუნქტი. ჯერ ერთი, გადახედეთ გაზეთ „საქართველოს (№ 28) და ნახავთ, რომ ჩამონათვალს მე კი არა, ლანჩხუთის გაზეთი „ლანჩხუთი Plus“-ი აკეთებს. მეორეც, იქ არავინ არ წერს, ნაკვეთები ჩამოერთმევა მოსახლეობასო. **იქ წერია, რომ მოსახლეობა მოყვა მკაცრი დაცვის ზონაში და ეკრძალება მიწის საკუთარი ნებასურვილისამებრ მოხმარებაო.** ვიმეორებ, ეს შეცდომა გამოიწვია სატყეო მეურნეობის მიწების 1989 წლის რუკით სარგებლობამ. რა იგულისხმება ამ მუხლში, გივი ბატონო, ისეთი, რომელიც მკაცრი დაცვის ზონაში მოყოლილ მოსახლეობას ნებას რთავს ისარგებლოს მოტორიანი ტექნიკით.

ძვირფასო მკითხველო! მინდა გაცნობოთ, რომ ამ კანონის წინამორბედი კანონის „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ მე-5 მუხლის მე-3 თავის მიხედვით — ეროვნულ პარკში შეიძლება მოეწყოს შემდეგი ძირითადი ზონები.

**ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა;**

**ბ) ბუნების მართვადი დაცვის ზონა;**

**გ) ვიზიტორთა ზონა;**

**დ) აღდგენის ზონა;**

**ე) ისტორიულ-კულტურული ზონა;**

**ვ) ადმინისტრაციის ზონა;**

**ზ) ტრადიციული გამოყენების ზონა.**

ამ ზონებიდან მხოლოდ ტრადიციული გამოყენების ზონაში შეიძლებოდა მოტორიანი ტექნიკით სარგებლობა და ისიც ამოიღეს ახალ კანონში



WWF-ელები სუფსაში.

მარცხნივ — ნ. ზაზანაშვილი, გ. სანადირაძე, სუფსის მიწათმომწყობი (დგას), მარინე გვარჯალაძე (საკრებულოს მდივანი).

მარჯვნივ — დოდო ესართია (სუფსის საკრებულოს თავმჯდომარე) და დეპუტატი რ. კვაჭაძე.

„ხალხის რჩეულებმა“. ერთი მათ კომუნისტურ მოტივაციას დამიხედეთ. **მომყავს ციტატა პარლამენტის კომიტეტის წერილიდან „მოკლე ინფორმაცია „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე“ (ეს წერილი მომაწოდა კომიტეტის აპარატის თავმჯდომარემ, ქეთი გუჯარიძემ):**

**„რაც შეეხება კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის საზღვრების ფარგლებში ბუნებრივი რესურსების მოპოვების საკითხს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, განახლებადი ბუნებრივი რესურსების მოპოვება დაშვებულია მხოლოდ ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში. იმდენად, რამდენადაც კოლხეთის ეროვნულ პარკში, პარკის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, არ მოეწყო ტრადიციული გამოყენების ზონა, თავისთავად გამორიცხება კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიულ-ფუნქციონალურ ზონებში ბუნებრივი რესურსების (მათ შორის ტორფის, ხეტყის და სხვ.) მოპოვების შესაძლებლობაც“.**

თქვენ რა, ბატონებო, ხალხს ხომ არ „ეიაზვებით“. ახლა ვნახოთ, როგორ უყურებს ამ საკითხს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF):

**„ეროვნული პარკის დაარსებამ არ უნდა გამოიწვიოს მკვიდრი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების შელახვა. სანამ ამუშავდება დამხმარე ზონის პროგრამა, ვიდრე არ შეიქმნება ალტერნატივა და სანამ მოსახლეობას არ გაუჩნდება მუდმივი შემოსავალი, ეროვნული პარკის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ ე. წ. ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებული იქნება საშეშე მასალის მოპოვება მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელიც სარგებლობდა ამ ტერიტორიაზე არსებული ტყეებით და რომელთა დაკმაყოფილება სხვა ტერიტორიიდან მოტანილი შეშით შეუძლებელია. ჭრის პროცესს დაარეგულირებს პარკის ადმინისტრაცია. ასე რომ, ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში მცხოვრებ ოჯახებს არც სიცივის და არც შიმშილის საფრთხე ნამდვილად არ ემუქრებათ.**

**კომერციული მიზნით ხეების ჭრა აღიკვეთება, რადგან ხელუხლებელი ბუნება — ვიზიტორთა ნაკადის გარანტიაა, რაც, თავის მხრივ, რეგიონის მდგრადი განვითარების, ხალხისათვის ახალი, თანაც სტაბილური შემოსავლის მთავარი პირობაა“.**

ბარაქალა, თქვენ, WWF-ელებო. ესეც — დასავლური მიდგომა.

ძვირფასო მკითხველო, რაც შეეხება მიწის მიწათსარგებლობის აკრძალვებს, კოლხეთის ეროვნული პარკის სხვა ზონებში ყველგან აკრძალულია: ხვნა, თესვა, თიბვა, ძოვება, მოტორიანი ტექნიკით გადაადგილება.

მაგალითად, ავიღოთ ერთ-ერთი ყველაზე „მსუბუქი“ ზონა — ეროვნული პარკის აღდგენის ზონა.

**მუხლი 15. კოლხეთის ეროვნული პარკის აღდგენის ზონა**

**1. კოლხეთის ეროვნული პარკის აღდგენის ზონა (შემდგომ მუხლში — აღდგენის ზონა) „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ეწყობა ანთროპოგენური ჩარევით დაზიანებული ბუნების ობიექტების და ტერიტორიების დაცვა-აღდგენისათვის. აღდგენის ზონის მოწყობის ძირითადი მიზანია აგრეთვე:**

**ა) მდინარეების — ენგურისა და ჭურიის, ხობისა და რიონის, სუფსისა და ნატანების შესართავებს შორის მდებარე ქვიშიანი დიუნების აღდგენა და დაცვა;**

**ბ) პალიასტომის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით და მდინარე ფიჩორის მარცხენა ნაპირის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ტყის ეკოსისტემების აღდგენა;**

**გ) კოლხური ფლორის მცენარეთა საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების აღდგენის მიზნით კომპლექსური ღონისძიებების გატარება.**

**2. აღდგენის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლის მე-3 პუნქტით.**

**3. აღდგენის ზონაში დაშვებულია მხოლოდ:**

**ა) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;**

**ბ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;**

**გ) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს, სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების მიზნით, ავტო-მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;**

**დ) მონიტორინგის სამუშაოების წარმოება;**

**ე) საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;**

**ვ) აღდგენის ზონის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (აღდგენის ზონის ფიზიკური დაცვა);**

**ზ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება.**

**4. კოლხეთის ეროვნული პარკის აღდგენის ზონის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დგინდება ამავე დაცული ტერიტორიის სამენეჯმენტო გეგმის მიხედვით.**

თუ ღმერთი გწამთ, მაჩვენეთ, სად შეიძლება აქ მოტორიანი ტექნიკით გადაადგილება.

ახლა, რაც შეეხება მკაცრი დაცვის ზონაში მოსახლეობის მოხვედრას. ეს თქვენ არ გჯერათ „ხალხის რჩეულო“. მაშინ მისმინეთ. ერთ მშვენიერ დღეს პარლამენტში შემხვდა ბ-ნი რომან კვაჭაძე და დეპუტატი გოგი ჭყონია (წარმოშობით ლანჩხუთიდან). WWF-ის ხალხი უნდა წავიყვანოთ ლანჩხუთში და ნამოგვყევითო, მითხრეს, უარს როგორ ვეტყოდი.

ლანჩხუთის საკრებულოს წევრებმა საკუთარი გულისტკივილი შესჩივლეს სტუმრებს. შეხვედრა ჩატარდა უაღრესად თბილ და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

აქ მთელი რეპორტაჟი მაქვს გაკეთებული, რომელსაც აუცილებლად გავაშუქებ სპეც. ნომერში.

ამის შემდეგ ვეწვიეთ ჩემს მშობლიურ სოფელ სუფსას. დაგვხვდა საკრებულოს თავმჯდომარე დოდო ესართია თავის ამალით. გაიხარეს თქვენს დანახვას დანატრებულმა („კანონშემოქმედნი“ მყავს მხედველობაში) სუფსიელებმა. გველირსაო — სტუმრების მოსვლა.

WWF-ელებს აინტერესებდათ, მართლა მოყვა თუ არა მკაცრი დაცვის ზონაშიო მოსახლეობა. გაიშალა მიწათმოწყობის უახლესი რუკები, რომლამდეც „ხალხის რჩეულის“ გუნდმა ვერა და ვერ მიაღწია. სტუმრებს აჩვენეს, რომ სუფსის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის (რომლის აშენების პროექტსაც ხელი მოაწერა საქართველოს პრეზიდენტმა) ტერიტორიაც ამ ზონაში მოყვა. ერთი, ძალიან მაინტერესებს, როგორ შეეწინააღმდეგებით პრეზიდენტის გადაწყვეტილებას.

ბატონო გივი! რაც შეეხება გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის დამოძლვრას ავტორების შერჩევის თაობაზე, თქვენ რა, საბჭოთა კავშირის აღდგენაზე ხომ არ ოცნებობთ. იქნებ ერთად გვემღერა... მარსელიოზა?!

**გიორგი ვასაძე**
**დამოუკიდებელი ჟურნალისტი**

*(გაგრძელება იქნება)*

# მებაჟის მიერ დაშვებული შეცდომა შეიძლება საწინააღმდეგოდ შემოუბრუნდეს სახელმწიფოს და თვითონ მებაჟესაც...

**აპრილის ბოლოს, გაზეთ „საქართველოში“ საბაჟო „გორის“ პრობლემების კომენტირება ვთხოვეთ რამდენიმე ჩინოსანს, რომელთაც უშუალოდ და ყოველდღიურად უწევდათ მათ საქმიანობასთან არსებულ ხარვეზებთან შეჯახება. მათ მიერ ძირითადი აქცენტი გადატანილ იქნა რუსეთის სამხედრო ბაზებზე, როგორც დამნაშავეთა თავშესაფარზე, და როკის გვირაბთან ქართველი მებაჟისა და მესაზღვრის დადგომის აუცილებლობაზე. ირკვევა, რომ პოლიტიკური პრობლემების მოგვარების გარეშე მხოლოდ საბაჟო და სასაზღვრო სამსახურების ამოქმედება უტოპიაა. მას შემდეგ სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა. განხორციელდა მთელი რიგი ერთობლივი, კომპლექსური ღონისძიებები, ზონის გაკონტროლების მიმართულებით, რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი ტვირთების აღრიცხვას.**

**სამ თვეში გაკეთებული ამხელა ნახტომი, ბუნებრივია, უყურადღებოდ არ დატოვა მასმედიამ. ჩვენც მივმართეთ საბაჟო „გორის“ უფროსს, ბატონ ამირან ხიდაშელს.**

— გამკაცრდა კონტროლი რუსეთის ფედერაციიდან ცხინვალის რეგიონის გავლით შემოსული ტვირთების აღრიცხვიანობის, მათი კონტროლის ქვეშ მოქცევის კუთხით. მომზადდა სამხარეო ადმინისტრაციის ბრძანებულება, სადაც ჩაერთო ყველა სამხარეო ძალოვანი სტრუქტურა. ამ პროცესში საბაჟოს დაევალა რეიდების დროს შემოსულ ტვირთებზე კონტროლის გაძლიერება, მათი დროული განბაჟება და ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხების ამოღება. აქ ძირითადი საკითხია აღრიცხვიანობის მოწესრიგება, რომ გაგვაჩნდეს ზუსტი სტატისტიკა, მონაცემები, თუ რა სახისა და რაოდენობის ტვირთი შემოდის. ეს უნდა დაექვემდებაროს კონტროლს, კანონმდებლობას. სწორედ ამისათვის იყო ეს ღონისძიება მიმართული. 3 ივლისიდან ტერმინალში შემოყვანილია სულ 445 სატრანსპორტო საშუალება, ტვირთის საერთო ღირებულება შეადგენს ნახევარ მილიონ ლარამდე, ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებულია 110000 ლარი.

— **ადრე არ ხერხდებოდა ამ თანხების ამოღება?**

— ადრეც ხერხდებოდა, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ცხინვალიდან გორის მიმართულებით ძალიან ბევრი შემოვლითი გზებია. ამ გზების კომპლექსურად გაკონტროლებამ მოგვცა ის შედეგი, რომ ტვირთების მოძრაობამ მიიღო უფრო ცივილიზებული ხასიათი, ტვირთი შემოდის ძირითადად იმ გზით, ტრასიდან, რომელიც ჩვენს მიერ კონტროლდება.

თუ გადაწყდება შემოვლითი გზების გაკონტროლების მექანიზმი, ძალოვან სტრუქტურებთან ურთიერთშეთანხმებით, ვფიქრობ, აღრიცხვიანობის მოწესრიგება ცხინვალის რეგიონიდან შემოსულ ტვირთებზე თანდათან დარეგულირდება.

— **ნარკობიზნესს, ალბათ, არაფერი ეშველება?**

— ნარკობიზნესი ცოტა რთული საკითხია. გულახდილად უნდა ითქვას, რომ დღეს ჩვენ უძლურნი ვართ ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინაიდან მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მწირია. არსებობს პროექტი, რომლის საშუალებითაც ამერიკის მხარე ეხმარება საბაჟოს ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის. ეს არცთუ ისე შორეული მომავლის საკითხია და მალე უნდა გადაწყდეს.

— **ამერიკელები თქვენთან ითანამშრომლებენ, თუ მარტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში დაგეხმარებიან?**

— არა, რადგანაც ტექნიკა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მაგათია, ჩვენი მებაჟეების შესაბამის სწავლებასაც მოაწყობენ. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

— **მოდით, ისევ რეიდებს დავუბრუნდეთ. ამ კომპლექსურმა რეიდებმა შედეგი გამოიღო?**

— შედეგი ნამდვილად დადებითია. თუ შევადარებთ, წინა თვეების ამონაგებ თანხებთან შედარებით სამჯერ მეტი თანხაა ამოღებული ივლისში, ვიდრე ივნისში. სტატისტიკური მონაცემები თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ კონტროლის გაძლიერება და მიზანმიმართული მუშაობა ამ კუთხით თავის შედეგს იძლევა კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.

— **კონტრაბანდულ ტვირთებში რას გულისხმობთ?**

— ის ტვირთი, რომელიც საბაჟოს გვერდის ავლით მოედინება სახელმწიფოში.

— **ერგნეთის ბაზრობა ისევ ფუნქციონირებს?**

— ერგნეთის ბაზრობა ფუნქციონირებს. ყოველდღიური ინფორმაცია გვაქვს, რა ტვირთებია ერგნეთის ბაზრობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში მომხდარი ინფლაციის პროცესთან დაკავშირებით, საწვავის ღირებულება რუსეთში საგრძნობლად გაიზარდა, ამიტომ საწვავის რაოდენობამ იკლო, ბოლო მონაცემებს მოგახსენებთ — სულ 7 ავტომანქანა ბენზინია, 5 ავტომანქანა დიზელი და ა.შ. როცა ადრე, გაზაფხულზე, ყოველდღიურად 100-150 ავტომანქანა იყო. ამიტომ ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალი რუსეთში განვითარებულ მოვლენებს და იმის მიხედვით დავგეგმოთ ჩვენი საქმიანობა.

რეიდები უნდა იყოს ჩამოყალიბებული აქცია, რომელიც მიიღებს ყოველდღიური საქმიანობის ფორმას, რომ შემდეგში არ გადაიზარდოს ფორმალიზმსა და მოჩვენებითობაში.

— **რუსეთის ბაზარი არეგულირებს, ძირითადად, ამ ტვირთის მოძრაობას?**

— საერთოდ, ტვირთის შემოდინება ხდება მარტივი პრინციპით — ყველა ცდილობს შეიძინოს იქ, სადაც იაფია და გაყიდოს, სადაც ძვირია. ეს პრინციპი ყოველთვის იმოქმედებს, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკა ამაზეა აგებული.

— **ალბათ, ყველაფერს სჯობია, პოლიტიკური სიტუაციის დარეგულირება?**

— პოლიტიკური საკითხები პოლიტიკოსების გადასაწყვეტია. ჩვენ ხშირი შეხვედრები გვაქვს ცხინვალის ხელმძღვანელობასთან, კერძოდ, ჩიგოევთან. ჩვენგან მათ პრობლემები არ ექმნებათ. ვცდილობთ, ვითანამშრომლოთ. იყო საუბარი სარკინიგზო ხაზის ამოქმედებაზე, რომელიც 1992 წლიდან მოშლილია. თუ რკინიგზა ამოქმედდება და დაიტვირთება, მე მგონი, ეკონომიკასაც გამოადგება და დაახლოებას, ურთიერთობასაც ხელს შეუწყობს.

საბაჟო ცოტა სხვა სტრუქტურაა. როკის გვირაბთან უნდა იყოს გამშვები პუნქტი, ეს უახლოესი მომავლის საქმეა და მე დარწმუნებული ვარ, ეს საკითხი დროზე გადაწყდება, დარეგულირდება. წინასწარ ნუ ვიტყვით ნურაფერს, რადგან შეფასებისას ზოგმა შეიძლება უარყოფითი დაინახოს, ზოგმა — დადებითი.

— **რატომ ჩამოინაცვლა დაბლა საბაჟომ. ეს პოლიტიკით არის გამოწვეული თუ...**

— ეს არის მოძრავი საგუშაგო. სტაციონალური საგუშაგო არ არის და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე...

— **პოლიტიკური?**

— არა, იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში ზემოთა მხარეს აკონტროლებენ სამართალდამცავი ორგანოები, ჩვენ ჩამოვიწიეთ დაბლა, რომ მერე ყველა ტვირთის თავმოყრა, კონცენტრაცია და შემოყვანა მოხდეს აქეთ. ეს არის სუფთა პროფესიონალური თვალსაზრისით გაკეთებული და არა პოლიტიკური. შედეგების მიხედვით, რომელი ადგილიც უფრო ხელსაყრელი გამოდგება, იქ დავდგებით.

— **როგორც ირკვევა, აქტიური თანამშრომლობაა თქვენსა და სამართალდამცავებს შორის.**

— ძირითადად ვთანამშრომლობთ გამოვლინებების კუთხით. 80-მდე თანამშრომელი მონაწილეობს. მათ ამ საქმის წარმართვაში პროფესიონალიზმი და გამოცდილება არ აკლიათ. ფლობენ ოპერატიულ ინფორმაციებს და მაქსიმალურად გვეხმარებიან ტვირთების დაკავებაში. რაც შეეხება სუფთა პროფესიონალურ საკითხებს, რაც საბაჟოს კომპეტენციაში შედის, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მათი მხრიდან ჩარევის, უფლებების გადაჭარბების არც ერთი ფაქტი არ ყოფილა. ე.ი. ჩვენ ისინი გაკონტროლებაში გვეხმარებიან, ხოლო, რაც შეეხება დაკავებულ ტვირთებს შეეხება თუ არა განბაჟება, ამას ჩვენ ვაკეთებთ. ეს არის თანამშრომლობა საქმის სასიკეთოდ.

— **საზღვრის არარსებობის პირობებში მომუშავე მებაჟეებზე, საბაჟოს თანამშრომლებზე, მათ პროფესიონალიზმზე რას იტყვით?**

— ნებისმიერი საკითხი შედეგით განისაზღვრება. მიმდინარე წლის საბიუჯეტო შემოსავლები გადაჭარბებით არის შესრულებული. მაისის თვეში საბიუჯეტო შემოსავალი 600000 ლარის გადაჭარბებით შესრულდა, ივნისის — 400000, იგივეა ივლისშიც. ამ ციფრებს მიღმა ჩვენი მებაჟეები დგანან. ვცდილობთ, ყველა მებაჟე თანაბრად იყოს დატვირთული, მეორე საკითხია პროფესიონალიზმი და დისციპლინა. ამ ბოლო სამი თვის მანძილზე ხუთ თანამშრომელს დავადეთ სხვადასხვა სახის დისციპლინარული სასჯელი, რაც ძირითადად გამოწვეული იყო უფლებების გადაჭარბებით. დავითხოვეთ 4 მებაჟე, მივიღეთ ახალი ხალხი, ვცდილობთ, გათვალისწინებული იქნას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, ვგულისხმობ ადგილობრივ კადრებს. ყოველი მათგანი მკაცრად არის გაფრთხილებული, რომ კლიენტურასთან დაკავშირებით მაქსიმალური ყურადღება და გულისხმიერება გამოიჩინონ.

— **საერთოდ, საბაჟო სერვისის სამსახურად ითვლება...**

— დიახ, გეთანხმებით, ყოველთვის ვამბობ, რომ საბაჟოდან გასული კაცი უნდა წავიდეს კმაყოფილი და სასიამოვნო განწყობილება გაყვეს.

— **საბაჟოზე არის ორი მომენტი — მსხვილი ბიზნესმენები და ხალხი, რომელიც არსებობისთვის იბრძვის, დადის პატარა მანქანებით და ტვირთიც მცირე აქვს...**

— საბაჟოსთვის ამას არა აქვს მნიშვნელობა. ყველას ნორმალური მიდგომა უნდა. ტვირთის განბაჟების პროცედურა ერთი და იგივეა. გასათვალისწინებელი ფაქტორია, რაც თქვენ ბრძანეთ და მაქსიმალურად ვითვალისწინებთ. იმედი მაქვს, ადამიანურ მიდგომებს წინ წამოვწევთ.

სამსახურები — ფიტოსანიტარული, კარანტინის, სტანდარტის, ექსპერტიზის, რომლეიც განბაჟების პროცესში მონაწილეობენ, ყველა მოვათავსეთ საბაჟოს შენობაში. რომ არ მოუხდეთ მოქალაქეებს, შესაბამის სერთიფიკატებზე და სხვა საბუთებზე ქალაქში გასვლა, აქვე იღებენ საჭირო დოკუმენტებს.

— **როგორც ჩანს, ტვირთბრუნვა გაზრდილა, თუ თანხებ:ს აღრიცხვა გამკაცრდა?**

— წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს, მარტივად რომ დავიანგარიშოთ, თანხები სოლიდური იქნება, ყველაფერი უნდა მოექცეს კანონის ჩარჩოში, საერთოდ, სახელმწიფოდან ნებისმიერი პროდუქციის გატანა, ექსპორტის რეჟიმს ექვემდებარება. ის ზრდის ამ დროს თავის დასაბეგრ თანხებს საბაჟოზე. ეს საჭიროა, თუ სამართებლივ სახელმწიფოს ვაშენებთ.

— **სამი თვეა მუშაობთ. როგორ შეაფასებს ამირან ხიდაშელი ამირან ხიდაშელის მუშაობას?**

— საკუთარი საქმიანობის შესახებ ჩემი მხრიდან საუბარი მეუხერხულება. ჩემი მუშაობის შემფასებელი არის საბაჟო დეპარტამენტი, მისი ხელმძღვანელობა, რეგიონის ხელმძღვანელობა. მომთხოვნი ვარ საკუთარი თავის, ასევე თანამშრომლების მიმართ. ყოველდღიურად ვცდილობ გავაუმჯობესო მუშაობის ხარისხი. საერთოდ, შედეგების მიხედვით, ვილაპარაკოთ. როგორც იტყვიან, „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“.

— **ციფრობრივი მონაცემები კი შესაშური გაქვთ...**

— ციფრები ერთია, გაკეთება ბევრი რამის მინდა. ამ სამი თვის განმავლობაში, რაც შეიძლებოდა, გაკეთდა, წინ კიდევ დროა... მთავარია სტრატეგიის შემუშავება, რომელსაც შემდგომში ხორცი უნდა შეესხას. აღრიცხვიანობის მოწესრიგება უკვე ნიშნავს იმას, რომ საბაჟომ თავისი საქმის დიდი პროცენტი შეასრულა. რაც შეეხება მის პროცესუალურ გაგრძელებას, რასაც ჰქვია განბაჟება და ა.შ. თავისთავად ჩადგება მწყობრში. მეორე საკითხია ფასწარმოქმნა და შემდგომში აქედან ამონაგები თანხების ოდენობა. რადგან ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც შემოსული საქონელი დაბალ ფასში არის შეფასებული, არ უთანაბრდება რეალურ ფასს, მაგალითად, როცა გეტყვიან 700 დოლარიან აპარატზე 100 დოლარი ღირსო, თავისთავად ხვდებით, შედეგი რაც იქნება. მესამე მომენტი — ჩვენი მებაჟეები უნდა იყვნენ აღჭურვილნი თანამედროვე ტექნიკით, ისე, როგორც საბაჟო სამსახური მოითხოვს. ქვეყანაში შემოსულ მოქალაქეს პირველი შთაბეჭდილება მებაჟესთან ექმნება. დავიწყეთ სისტემაში კომპიუტერიზაცია. ყველაფერი თანდათან მწყობრში ჩადგება. გვეყოლება პროფესიონალი მებაჟეები.

— **და არ გვეყოლება უცხოელები მოსაწვევი...**

— ამ ეტაპზე მათი მოწვევა საჭიროა. ჩვენ ჩამოყალიბების პროცესში ვართ და საერთაშორისო სტანდარტების დონეზე რომ მივიდეთ, რაღაც პერიოდი სწრაფად გვაქვს გასავლელი.

საბაჟო ძალოვან სტრუქტურად ჩამოყალიბების პროცესშია. სრული ფორმით და მასშტაბით არა აქვს მას ჯერ სახე მიღებული, მაგრამ დრო სჭირდება. მინდა, რომ ეს დრო სწრაფად გადავლახოთ. საბაჟო „გორს“ შესწევს იმის ძალა, რომ მის წინაშე დასახული ამოცანა განახორციელოს. პრობლემები ბევრია, მთავარია მათი გადაწყვეტა. არავის მივმართავ დახმარებისთვის. რადგან ვხელმძღვანელობ ამ საქმეს, ძალაც მე თვითონ უნდა ვიპოვო ჩემში.

— **უმთავრესი ხელისშემშლელი ფაქტორები რა არის?**

— როცა პრობლემებზეა საუბარი, ძირითადად ეს არის აღრიცხვიანობის მოწესრიგება. შარშან ქართლის ტერიტორიაზე დამზადდა 500000 ტონა ხილი, რომელიც ექსპორტის რეჟიმით გავიდა რუსეთში, საბაჟოზე დაფიქსირდა 450 ტონის ექსპორტი, ე.ი. ძირითადად ეს ტვირთები გავიდა ყოველგვარი გაფორმებისა და აღრიცხვის გარეშე. აქ დაიკარგა შემოსავალიც, აღრიცხვის მექანიზმიც. ახლა ვემზადებით იმისათვის, რომ ეს საკითხი მოვაგვაროთ. უნდა მოხდეს აუცილებლად ტვირთის გაფორმება, მისი აღრიცხვიანობა — რა გავიტანეთ, რა რაოდენობით, რა მიმართულებით, შემდგომში ეს იქნება შემოსავალი საგადასახადოს კუთხით, დაბეგვრა, დღგ და ა.შ. ჩვენ ლაპარაკი გვაქვს ბიუჯეტის შევსებაზე. აქ შეიძლება იყოს ბევრი ხარვეზი, ამას ემატება კიდევ სხვა, მე ვამბობ გორის საბაჟოსთან მიმართებაში. გორის საბაჟოს გარდა, სხვა საბაჟოებიცაა და რომ შევაჯამოთ, ძალიან დიდი დანაკარგები გვექნება. დღეს, როცა თითოეულ თეთრს უდიდესი დანიშნულება გააჩნია ქვეყნისთვის, იმის დაკარგვა, რისი აღრიცხვაც და მობილიზებაც შეგვიძლია, არ უნდა დავუშვათ.

— **ისე, საბაჟოზე ცთუნებაც დიდი იქნება...**

— ცთუნება ერთია, მაგრამ მებაჟის მიერ დაშვებული შეცდომა მერე შეიძლება საწინააღმდეგოდ შემოუბრუნდეს თვითონ სახელმწიფოს, მებაჟეს, რომელსაც ურთიერთობა აქვს ასიათასობით ღირებულ საქონელთან, მის სწორად აღრიცხვასთან. აქ პროფესიონალიზმი და სიმხნევეა საჭირო, რომ ადამიანმა წონასწორობა და კეთილსინდისიერება შეინარჩუნოს.

მინდა, რომ მკითხველამდე ობიექტური მასალა მივიდეს, რადგან ხშირად ყურმოკრულ ამბებზე აგებული ჭორები არასასიამოვნოდ განაწყობს მოსახლეობას ჩვენდამი.

— **გისურვებთ წარმატებებს.**

**ესაუბრა**
**იზოლდა ცირდავა**

## ყველაზე უკეთესი მომღერალი მებაჟეთა შორის და, თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაზე უკეთესი მებაჟე მომღერალთა შორის...

საბაჟო „გორის“ შენობაში ერთგვარი სკეპტიკური განწყობით შევედი — ასეთი რა ცვლილებები მოხდა ამათთან, ქვეყანა რომ აწრიალდა-მეთქი. სხვა რა მოგახსენოთ და ერთი სიურპრიზი ნამდვილად დამიხვდა. საბაჟოს უფროსის მოადგილის კაბინეტში, არც მეტი, არც ნაკლები, თემურ თათარაშვილი იჯდა და ფრონტელი მეგობარივით ტკბილად მიღიმოდა. ჯერ ვიფიქრე, ახლა თუ თემური დაჭერილი ჰყავთ ამათ კონტრაბანდული გიტარების შემოტანაზე, ესაა ამათი კომპლექსური ღონისძიებები-მეთქი? მაგრამ... უცნაურნი არიან გზანი შენნი, უფალო, თემურ თათარაშვილს თურმე სასცენო კარიერაზე არანაკლებ თავისი საბაჟო კარიერა იტაცებს და დოქტორ ჯეკილისა და მისტერ ჰაიდისა არ იყოს, სულაც არ უჭირს ამ ორი ურთულესი და უმძიმესი პროფესიის ჰარმონიულად შერწყმა.



ვუსურვებ ბატონ თემურს მისი ტალანტის ბევრ, ბევრ თაყვანისმცემელს და არანაკლებ დაკავებულ კონტრაბანდისტს... მითუმეტეს, შესაშურია იმ კონტრაბანდისტის ბედი, თემურ თათარაშვილი სიმღერ-სიმღერით რომ გააცილებს დანიშნულების ადგილამდე.





ბევრია ერთი კაცისთვის ის რეპორტაჟები, რაც მთელი ჩემი „დინამიკით“ ვწერე.

ბევრია ის სიხარული, ჩემს რეპორტაჟებში რომ მომანიჭეს იმ რესპონდენტებმა, რომელთაც ქართული სცენის კორიფეები შქვიათ.

დიდი სიხარულია მათთან საუბარი. უდიდესი კი, მათთან ურთიერთობა.

ჩემს მიერ მოფიქრებულმა ამ ფორმამ, მრავალი თვალსაჩინო, ისტორიული და ფრიად სასიამოვნო პიროვნება გამაცნო. გამაცნო და დამაახლოვა, რამეთუ ეს რუბრიკა „კურიოზები“ ჩემი „პირმშოა“ და ჩემით იზრდება... გულითა და სულით ვცემ პატივს ყველა მათგანს და გაზეთ „ალიას“. საიდანაც დაიწყო ეს „ტრიუმფი“ და გრძელდება ქართული პრესის ფურცლებზე ჩემი და პუბლიკის (მკითხველის) დიდი მოთხოვნით (თხოვნაში არ ვთვლით), რომ გავაგრძელო, რასაც სიამოვნებით ვასრულებ.

დღეს ჩემი მასპინძელია დიდებული ქართველი და უზარმაზარი ნიჭის მქონე მსახიობი: „თაფლი“ კაცი, ბატონი გოგი გელოვანი...

(მ.მ.)

# თეატრისა და კინოს პოპულარული მსახიობი, თბილისის კოლორიტი გოგი გელოვანი

ესაუბრა **მურმან მერკვილიშვილი**

აგროვა, აგროვა და კაცურკაცობის 75 წელი „მოაგროვა“ ბატონმა გოგიმ, უცვლელმა თამადამ, კაცმა, რომელმაც ზღაპარი რეალობაში გადმოგვიტანა, სცენაზე აიდგა ფეხი და დღესაც სცენის მონაა. „სცენის მტვერს“ ვერ ელევა და იყოს მარადის.

**— ბატონო გოგი, რას გვეტყვით, რით გაგვახარებთ?**

— თუ არ ვცდები, თქვენ კურიოზები ანუ სამხიარულო თავგადასავლები გაინტერესებთ, მურმან. გოგი ბიძიკო გენაცვალოს... აგერ მე, აგერ ჩემი ნაბადი...

ისე, სხვათა შორის, სიამოვნებით ვკითხულობ თქვენს რეპორტაჟებს მსახიობებზე... ბევრს ვიცინი და ცრემლიც მომადგება ხოლმე. რამდენი რამ არ მცოდნია ჩემს კოლეგებზე. მადლობა მინდა გითხრათ, მურმან, და რამოდენიმე ეპიზოდს მეც შევმატებ თქვენეულ კურიოზებს.

**„კნიაზ“**

უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი უმცროსი კოლეგა, ამირან ბუაძე ჩემი მეგობარია (როგორც ილარიონი და ზურიკელა).

იმ წელს (არაა დიდი დრო გასული მაინცდამაინც) ლენინგრადში გახლდით გასტროლებზე მთელი დასით.

სასტუმროში ყოველდღე თავისუფალ დროს ვიკრიბებოდით ნომერში „კუტოკი“, — მე (თქვენი მონა-მორჩილი), ბატონი ვასო გოძიაშვილი, ამირან ბუაძე (განუყრელი), კიდევ ერთი-ორი მსახიობი. ნელა ვუჭახუნებდით თბილისიდან წამოღებულ არაყ-ნუნუას და ვჭუკჭუკობდით. (უნდა მოგახსენოთ, რომ თავის დროზე ლენინგრადში მაგრად „ვგრიალებდი“ ლენინგრადელებთან. აჭრელებული მქონდა ბლოკნოტი — ანია, ტანია, ვალია, გალიათი).

იმ დღეს, რომ გითხარით, „ჭუკჭუკის“ დროს არ მომინდა ის, რა ჰქვია, დარეკვა?! აგერ არაა ტელეფონი, ნომერში?

ცხონებული ვასო გოძიაშვილი გაცხარებული ეკამათება ამირან ბუაძეს (შვილობილივით ჰყავდა). ამასობაში მე მოვიმარჯვე ბლოკნოტი და საჩვენებელი თითი (ტელეფონისთვის).

ავკრიფე ერთ-ერთის ნომერი. აიღეს თუ არა ყურმილი, უცერემონიოდ „ვაჯახე“:

— გოგიიი გელოვანნი... ვიდაიუშეესია აკწიორ იზ ტბილისი; პაპრასიწე პაჟალუსტა ტატიანუ კირილოვნუ!

— ბაბა ტანია უმერლა ლეტ ნაზად... მპასუხობს ტელეფონი (ესეც შენ!)

ცქვიტეს ყურები დანარჩენებმა ჩვენს ნომერში. ბატონი ვასო გაფართოებული თვალებით „მჭამს“.

— მდაა... ეტო პლოხო! — დავდე ყურმილი. ამოვიღე მრავალფეროვანი „პასტაკალამი“, შავი ფერი ჩამოვწიე და ტატიანას (გლოვის ნიშნად) გადავუსვი.

აგერ არაა დანარჩენი?

— ჩტო ტი დელაიშ, კნიაზ? — მეკითხება ბატონი ვასო.

— მომკვდარა, მომკვდარა, ბატონო ვასო, ის ჩემი ძველი „სიყვარული“ — ამოვიოხრე.

— ვაააა! კაკოი უჟას! კრეპის, კრეპის — კნიაზ!

ავკრიფე მეორე ნომერი:

— გოგგი გელოვანი (კნიაზ!) იზ ტბილისი, პაპრასიწე ოლგუ სვიატოსლავნოვნუ...

— ბაბუშკა უიეხალა ნა მორეო — მიპასუხეს.

ჩამოვწიე ზღვისფერი „სტრეჟინი“ და გადავხაზე ოლღა.

— მაიცა რა, გოგიჯან, ისიც მამკვდარა? — მეკითხება გოძიაშვილი.

— არა, ჯერ ცოცხალია, ზღვაში თუ არ დაიხრჩო, — ვპასუხობ გაბრაზებული.

— ვაა! სმატრი! „უჟასნი სლუჩა“ — მიუბრუნდა ამირანს.

ისევ ავკრიფე:

— დაიწე მნე, ესლი მოჟნა, სვეტლანუ ივანოვნუ. ია გოგი გელოვანი (კნიაზ!) იზ ტბილისი.

— ბატონი გოგი, ჩემი დეძიკო ბანიცაში წემს, გული ტკივის, ქვენეშის და კივის (ახლა გამახსენდა, ამ ცეროდენა გოგოს რომ ქართულს ვასწავლიდი, თავის დროზე).

— ვაა, ისიც მამკვდარა? — გაოცებული შეჰყურებს ვასო გოძიაშვილი ამირან ბუაძეს. — გოგიჯან, მაიცა, რა მეტი აღარ აკრიფო, ე მანდ მთელი რუსი ქალები არ გაჟუჟო, პალიტიჩესკია, რა...

ახლა მე მკითხეთ. ვასკდები გულს... გავპაზორდი.

— კი არ მომკვდარა, გული ასტკიებია და საავადმყოფოშია — დავაპირე „გამოძრომა“ (ვის მოატყუებ? — ვასოს?).

— ტიაჟოლი სლუჩაა, რა... სომდა? არაყს უთაქუნებდა?

— არა.

— ზნაჩიტ, შენს დანახვაზე „პრისტუპი“ მიცემია...

ელაპარაკე ამათ...

მოსახდენი მესამე დღეს მოხდა:

ისევ რომ დავურეკე სვეტლანას, მიპასუხეს, რომ არ ჩამოსულა, ზღვაზე გარდაიცვალა და... ჩამოიტანესო.

დავიზაფრე.

ბატონ ვასოს არ გავუმხილე. ავდექი, დავავლე ამირან ბუაძეს ხელი და მივდივართ პანაშვიდზე.

ავედით დიდი ჯახირით მეთორმეტე სართულზე ყვავილებით და სამგლოვიარო სიფათებით, მე და ჩემი ამირანი. მიცვალებულის თავთან მარტო მისი „პადრუჟკა“ ზის გადამიტკლისფერებული (ვიცნობდი იმასაც).

დაგვინახა და დაატირა:

— სვეტლანა, სვეტა... ვსტან კა, პასმატრი, სამ კნიაზ გელოვანი პრიიეხალ ზა ტაბოი... პასმატრი სვეტუშა, დარაჰაია, კაკ ონ წებია ლიუბილო.

ამირანს გული აუჩუყდა და ცრემლიანი თაიგული დაადო გულზე მიცვალებულს.

იმ მიცვალებულს ყურიც არ შეუბერტყია, ვითომ კნიაზ გოგი კი არა, ვილაც „ბომაჟო“ ვიყო. მეწყინა.

— პაცელუი სვეტლუშუ, პაცელუი, პასლედნი რაზ! — „დაამღერა“ „პადრუგამ“. — გოგი, გოგი... პაცელუი...

— მიდი, ბიჭო, რომ გეუბნება მაგ პატიოსანი (?) ქალი, — გავკარი მუჯლუგუნი ამირანს.

— მე რა შუაში ვარ. ცოცხალს შენ პროშტნიდი და მკვდარს მე?!!

(მკვდრის მეშინია საერთოდ).

— პაცელუი, პაცელუი, გოგიი. პასლედნი რაზ! — არ იზოგავს თავს, ჭირისუფალი.

გამოსავალი არ იყო. ვეცი იმ „პადრუგას“ და 5 წუთი ვკოცნიდი. ძლივს დაგვაშორა ამირანმა. ასე იყო... პასლედნი რაზ ვაკოცე იმ ჭირისუფალს, გალია ერქვა.

P.S. სხვათა შორის, შარშან გარდაიცვალა ისიც...



**დაგათრობ!!!**

ერთ დღეს (არ ვიცი, რა ფეხზე ადგა) ამირან ბუაძემ, ცხონებული კუკური ლაფერაძეს უცერემონიოდ განუცხადა:

— ძაან მიყვარხარ, ძაან, კუკური ბიძია, მარა მე რომ ამირანი ვარ, აუცილებლად მოგერევი სმაშიო.

კუკურიმ იფიქრა, როლს იზეპირებსო და არ მიაქცია ყურადღება.



მეორე დღეს, გაუმეორა ბუაძეების სიამაყემ (რა უნდოდა, რა აწვალებდა, კაცმა არ იცის) — დაგათრობო.

— რა უნდა ამას? — მუდარით შემომხედა ცხონებულმა კუკურიმ.

— გული ერჩის... „მიჯაჭვული ამირანი“ ჰგონია თავი.

— რა გინდა, ბიძიკო, შენ? — გაუღიმა დამატყვევებელი, თავისებური ღიმილით კუკურიმ.

— უნდა დაგათრო — ამოიხვნეშა ამირანმა.

— რა სიცხეა, კაცო? — მოქმედებს, მოქმედებს რაღაცა ადამიანებზე სიცხეში... ჩაილაპარაკა კუკურიმ.

— რომ დაგათრობ, მერე ნახე... ამოილაპარაკა ბურატინოსავით ამირანმა.

„მატჩი“ დაინიშნა.

ახალი წლის მეორე დღეა. ბატონმა გოგი უჩანეიშვილმა დაგვპატიჟა რამოდენიმე მსახიობი. კუკურიც იქაა და ამირანიც.

მივუსხედით სუფრას. მე ვთამადობ.

— აბა, დავლიოთ მე და შენ დღეს, — გააქათქათა ლაფერაძემ კბილები.

— კი ბატონო (ფერშეცვლილი კი მეჩვენა) — ეთანხმება ამირანი, თან მე გადმომხედა.

— მიდდი... მიდი... მიდი, ამირო... არ შეგვარცხვინო „რაჭეთ-სვანეთი“... გავამხნევე მე.

... და ... დაიწყო.

სვამს ლაფერაძე და გადადის „ალავერდს“ ამირანთან.

ეს „ლიფსიტაც“ არ სვამს?!

„მატჩის“ მეორე ტაიმის სადღაც ოცდამეჩვიდმეტე წუთზე ამირანი უაზროდ ალაპარაკდა და ფერიც არ მომეწონა.

კუკური ახლა იწყებს. იწყებს კი არა, ახლა შედის ეშხში. ამირანს, ვატყობ, ვენახის დამრგველი და ყურძნის მომყვანი უსაზიზღრეს არსებებად მიაჩნია. მიაჩნია, მაგრამ არ იმჩნევს, იბლიტება უაზროდ. არც ნებდება.

კუკურიმ მოულოდნელად ნახევარლიტრიანი „შპრიცი“ დალანდა (კაცმა არ იცის, რა უნდოდა იქ), გამორეცხა თავისი ხელით აავსო და დალია.

ისევ აავსო და ამირანს მიაწოდა.

ეს, ამ ქვეყანაზე — ჰა, ჰა... არის, არც არის.

— დალევ? — ჩაეკითხა „შპრიცდაცლილი“.

— აბა, რა! — გააქტიურდა ამირანი („მიჯაჭვული“). მოირგო, ერთი-ორჯერ კი აამოძრავა „ყრანტი“ და გაჩერდა.

— მიაწექი, მიაწექი... არ ეშვება კუკური... მიდი... მიდი!!!

ამირანი წამოხტა, ბანცალ-ბანცალით გავარდა ტუალეტში, საიდანაც თქვენთვის, მკითხველო — ნაცნობი ხმები გამოდიოდა.

... იმ დღის შემდეგ კუკური ამირანს რომ დაინახავდა, პირდაპირ მიმართავდა: „მოვიდა ჩემი არწივი“.

გაგიკვირდებათ, მურმან, რომ სულ ამირანზე ვლაპარაკობ, მაგრამ უნდა წარმოიდგინოთ, რომ იგი შვილივით მიყვარს, შვილივით და ძმასავით. მაკვარანცხია მაგი, ძალიან...

ერთ დღეს ამირანი მირეკავს: — „სამ, ამირან“!

— სახლში ხარ?

— არა, მუშტაიდში-მეთქი.

— ხო, კაი, ახლა, ნუ ილექსები, ორი კაი გოგო მომყავს, შენ რომ გიყვარს, ტანია და ანიაო. ახლაო, გააწყვე პურ-მარილიო და ისიო და ისიო.

გავავსე სუფრა შავი ღვინით, თეთრი არყით და ყვითელი კონიაკით.

ამოიყვანა ამირომ ორი „ნაშა“.

შემოვისვით ეს „ნაშები“ და ვსვამთ.

ამირანმა გამაფრთხილა: აგი, ტანია ჩემია, ანია შენიაო.

— კაი, ამირან, რაზეა ბაასი-მეთქი.

ცოტა ხანში, ძაან რომ შეჭუკჭუკდნენ, ამირანის ტანიამ პორთფელიდან „პარაბელები“ (იარაღი) დააძრო, ფეხზე შეაყენა და შუბლში მიმიზნებს.

— მთვრალია? — ვკითხე ამირანს.

ქალმა იარაღი ჩემს შუბლს მოაშორა და თქვა:

— აქ, ახლა, ორი მოკვდება.

გამაცია... გამაცხელა... მკლავენ და მიკლავენ ამიროს.

— ვინ-მეთქი?

— ერთს ამირანს ვესვრი, მეორეს საფეთქელში გავიკრავო.

— ძაან კარგად გიფიქრია-მეთქი (მე ხომ გადავრჩი?)

ისე... ყველაფერი კარგად დამთავრდა... ვის არ უყვარს რუსი „ნაშები?“

მარა, ამირანი უნდა გიყვარდეს ამის შემდეგ? — მაინც მიყვარს...

**წარმომავლობით სვანი ხარ,**
**კაცურკაცობით დიდი ხარ,**
**სათეატრ-საკურიოზოდ**
**და... საჭუკჭუკოდ მინდიხარ.**
**დედამიწაზე ქეიფით, და...**
**დროსტარებით დადიხარ**
**სვანეთში?! — გელოვანი ხარ,**
**თბილისში „გელო-სვანი“ ხარ.**

*ექსპრომტი ავტორისგან.*
*მურმან მერკვილიშვილი*

*მიმართვა, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, მიმდინარე წლის აპრილის თვეშია დაწერილი და [illegible] მისი ადრესატების მიმართ [illegible] მიმართვის ავტორის, თბილისის მ. კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალური თეატრის ყოფილი დირექტორის, ბატონ ზურაბ ნინუას თქმით, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. ეს არაა უჩვეულო მოვლენა ჩვენი ბიუროკრატიული სამინისტროებისათვის. რამდენი ადამიანის მიმართვა, წერილი, ვედრება, ლოცვა დარჩენილა უპასუხოდ, გამოხმაურების, ყურადღების გარეშე. არადა, ამ სახელმწიფო ორგანოებს [illegible]*

*მართალია და, რას ნიშნავს ეს ადამიანები, რატომ კლავენ ქართულ თეატრს. ამ თეატრს, რომელიც ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს [illegible] ქართული კულტურის [illegible]*

*[illegible] „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციიდან (წერილი „[illegible]“ „ლიტ. საქართველო“, 13-20 აგვისტო, 1998წ.), მ. კოსტავას სახელობის თეატრი [illegible]*

*რაც შეეხება მიმართვაში მოყვანილ ფაქტებს და პრეტენზიებს, მათი უპასუხოდ ანუ კომენტარების გარეშე დატოვება მიგვაჩნია [illegible].*

*არადა, ხომ უნდა გაირკვეს საბოლოოდ, ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი — მ. კოსტავას სახელობის თეატრის ყოფილი დირექტორი თუ მისი ოპონენტები?!*

**გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია**

# რატომ ებრძვიან მ. კოსტავას სახელობის თეატრსა და მის დირექტორს?

საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს
პარლამენტის ანტიკორუფციულ კომისიას
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ბატონ მინდია უგრეხელიძეს
საქართველოს გენერალურ პროკურორს ბატონ ჯამლეტ ბაბილაშვილს
თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ლადო [illegible]
თბილისის მერს ბატონ ვანო ზოდელავას
ეროვნული თანხმობის დარბაზს

მის.: თბილისი — 3, მეტეხის შესახვევი 36, ტელ.: 74-24-51

ზურაბ ნინუას

## განცხადება

(„ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“)

გეხმიანებით თქვენს შეწუხებას, მაგრამ სხვა გზა და ხსნა თეატრისა და მისი 117 თანამშრომლისა არ არსებობს. თეატრის შექმნის დღიდან დღემდე თუ რა მძიმე გზა განვვლეთ, ამაზე მოგახსენებთ მოკლედ:

თეატრის შექმნაში გადამწყვეტი სიტყვა, უდავოდ ზურაბ გამსახურდიას ეკუთვნის, [illegible] შეიკრიბა კოლექტივი [illegible] 8 კაცის შემადგენლობით. საჭირო იყო ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. მოლაპარაკება დავიწყეთ 26 კომისრის რაიონის [illegible] აღმასკომთან. [illegible] ქართული კულტურის [illegible] ჩვენი თეატრი [illegible].

ბატონი ზურაბ გამსახურდია [illegible] თბილისის [illegible].

საჭირო იყო კულტურის სამინისტროს თანხმობა, ბატონი აკაკი დვალიშვილი (და არა ვალერი ასათიანი) კაცურად დაგვიდგა მხარში, იგი მინისტრის მოადგილე და კინოფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი იყო. შემდეგ დაგვეხმარნენ — თბილისის კინოთეატრების სამმართველოს უფროსი ზაურ გამსახურდია, თბილისის ქალაქკომი — ბატონი ნიკო ლეკიშვილი, საქართველოს საგეგმო კომიტეტი, ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, საქართველოს პროფკავშირების კულტურის რესპუბლიკური კომიტეტი — ბატონი სპარტაკ ხატიაშვილი, მინისტრთა საბჭოს კულტურის განყოფილება — ბატონი სოსო ქუმსიაშვილი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი [illegible], და ბოლოს, თეატრის დაარსების დადგენილებას ხელი მოაწერა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ — ბატონმა [illegible]...

ეს. თბილისის მ. კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალური ეროვნული თეატრი შეიქმნა 1990 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 538 დადგენილების საფუძველზე ჯერ კიდევ კომუნისტების დროს.

გარკვეული პერიოდის შემდეგ თუ რა დევნა და შეურაცხყოფა ვიწვნიეთ, ამას უამრავი დოკუმენტი ადასტურებს. 8 წელზე მეტია, მოსვენება არა გვაქვს, [illegible] თეატრმა ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა. ამას პრესა, რადიო, ტელევიზია და საზოგადოების დიდი ნაწილი გამოხმაურებია [illegible]...

თეატრმა მოძებნა თავისი სახე და ფორმა, სხვა თეატრებისაგან განსხვავებული.

ჩვენს თეატრს „დაუძინებელ მტრებად“ მოევლინენ: გიგა ლორთქიფანიძე, ვალერი ასათიანი, ოთარ ბერძენიშვილი, [illegible]

[illegible] საც არ იცნობს, არც შეუძლია. რა უნდა ასეთ [illegible] ადამიანებს პარლამენტში. „საქმეში“ არიან გარეული ყოფილი ვიცე-მერი [illegible], [illegible] რაიონის ყოფილი გამგებელი თემურ ჩიქოვანი და სხვები და სხვები...

მიზანი გასაგებია: [illegible] თეატრის შენობას. [illegible] თეატრს ლიკვიდაცია უყონ. [illegible] „მეგობრებისა“...

[illegible] ინტელიგენცია, თეატრის გულშემატკივრები, [illegible]

„რატომ დევნიან თეატრს და მის [illegible]

[illegible] გამარჯვებულებმა ქალაქის პროკურატურას გადასცეს, პროკურატურამ უარა, უარა და უკან დაუბრუნა მათ, შემდეგ ქალაქის კონტროლის პალატა ჩართეს, რათა როგორმე მოეძებნათ რაიმე კრიმინალური სამხილი. ჩემი, როგორც დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის, დაჭერით, მოხსნით, გადაუწყდებოდათ მათ „პრობლემა“. ჩემი, ზურაბ ნინუას მოშორებით შენობის საკითხსაც წერტილს დაუსვამდნენ. კონტროლის პალატამაც ვერაფერი იპოვა ჩემს წინააღმდეგ. ეს როგორო, — განაწყენდნენ „მბრძანებლები“ და თეატრის თანამშრომლებში დათესეს შური, სიძულვილი და ა.შ. კოლექტივს ხმა რომ არ ამოეღო, [illegible]

[illegible] თეატრის ლიკვიდაციას, მისი 117 თანამშრომელს კი [illegible]

[illegible] მოვეხმარებოდით. თუმცა, რაში დავჭირდებოდით, როცა ბერძენიშვილთან ერთად ორ ხმაში კარგად ავსებდნენ ერთიმეორეს...

რაც შეეხება გიგა ლორთქიფანიძეს, ჯერ ვურჩევდით, მოუაროს ბერძენიშვილის მიერ ნაჩუქარ ბიბლიოთეკას (ლეონიძის №2), სადაც ბატონმა ლორთქიფანიძემ მეუღლეს კაფე-ბარი „ქეთი“ უსახსოვრა. ლესელიძის ქ. 11-ში მდებარე „თეატრონი“ გაყიდა და „გვჯერა“, რომ ეს თანხა მან მოახმარა თეატრის მოღვაწეთა კავშირის გაჭირვებულ წევრებს. გვინდა იცოდეთ, რომ ლორთქიფანიძე არც ზემდგომია ჩვენი და არც ქვემდგომი. სხვა რამ აკისრიათ მათ და სჯობს, ის აკეთონ. ბიუჯეტში ხელის ფათურით [illegible] სახება ამ პირთა ქმედებანი. ბატონი გიგა სრულ ხელფასს ღებულობს პარლამენტში, თეატრის მოღვაწეთა კავშირში, მოზარდ მაყურებელთა თეატრში, მუსკომედიის თეატრში, რუსთავის თეატრში, „ქართულ ფილმში“ და ა.შ. მან და მისმა ოჯახის წევრებმა შეიძინეს ქალაქის რამდენიმე „სამარშრუტო“ და „მაყურებლის“ გადაყვანის პრობლემა „გადაწყვიტეს“. თეატრის მოღვაწეთა კავშირის ეზოში მან მის სიძეს „სამრეცხაო“ უბოძა. საკმარისია, ალბათ...

ბატონმა ვალერი ასათიანმა, არ იქნა და თავი არ დაგვანება. საქმიან ებრაელებთან მისი საქმიანი მეგობრობა რომ გვშურდეს, ან ხელს ვუშლიდეთ, მაშინ კი, ბატონო. არც მცხეთის ქუჩაზე 3-სართულიანი სასახლის აშენებაში შეგვიშლია ხელი, არც 1998 წლის 14 ნოემბრის გაზეთ „ალიაში“ დაბეჭდილი კრიტიკული წერილია ჩვენი ბრალი და არც სხვა გაზეთებში გამოთქმული აზრი, რომ: არც ერთ მის წინამორბედ მინისტრს ისე არ გამოუყენებია სკამი, როგორც ასათიანს... არც მის გარშემო ატეხილ აურზაურში გვაქვს ბრალი. არც კულტურის სამინისტროს შენობაში ფირმა „ბენეფისის“ შექმნაში, რომლის ძირითადი დამფუძნებელი და გამგეობის მთავარი წევრი თავადაა. ჩვენ არ შეგვიშლია ხელი, როცა სახელმწიფო შენობა კერძო საკუთრებაში „გაასხვისა“ (იხილეთ სამინისტროში ბრძანება ამის შესახებ...)

ბევრ სხვასაც აქვს ჩვენს მიმართ სიგლახე ჩადენილი, მაგრამ ზემოხსენებულ პირებთან შედარებით ისინი „წვრილფეხოსნები“ არიან.

ორი სიტყვით, გვინდა დაიჯეროთ, თბილისში ჩვენი თეატრი ითვლებოდა ერთ-ერთ საინტერესო და ძლიერ ქართულ ფესვებზე მდგარ თეატრად (ხოლო, რაც აქ მოგახსენეთ, იმაზე ტომებია შექმნილი და შეგვიძლია, საჭიროების შემთხვევაში, წარმოგიდგინოთ), რასაც ვწერთ, პასუხს ვაგებთ...

ჩვენს თეატრში მოღვაწეობდნენ ღირსების მფლობელები — ხელოვნების ცნობილი დიდოსტატები: მხატვარი ვანო ასკურავა — საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; რეჟისორი გივი გაჩეჩილაძე — პროფესორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; მურმან ლომთათიძე — საქართველოს სახალხო არტისტი, ქორეოგრაფი, მსახიობი ლორინა ელერდაშვილი — საქართველოს დამსახურებული არტისტი, აფხაზეთში ქმარშვილის დამკარგავი. ხელოვნების სხვა წარმომადგენლები. მწერლები: ბატონები ლევან სანიკიძე, რევაზ მიშველაძე, ალექსანდრე ლორია, გოდერძი ჩოხელი, მიხეილ თარხნიშვილი, კინოსა და თეატრის ნიჭიერი მსახიობები. თეატრთან საქმიანი მეგობრობა გააჩნია მწერალთა კავშირს, ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს და ა.შ.

ბატონო ედუარდ! იმედია ჩინოსნები და უჩინოები კანონისა და სამართლის უზენაესობის წინაშე ერთნი ვიქნებით. ყველამ უნდა აგოს პასუხი თავის საქციელზე. მათ შორის მეც, თუკი რამ ბრალი მიმიძღვის. ამასთან, გამოვთქვამთ რწმენას, რომ მერაბ კოსტავას 60 წლისთავს მისი „ალორძინებული“ თეატრიც ღირსეულად იზეიმებს...

პარლამენტის ანტიკორუფციულ კომისიას ვთხოვთ, გამოიძიოს ის, რასაც „ბრალად“ ვდებთ ჩვენი თეატრის „მეგობრებს“ და აგებინოს მათ პასუხი, თუკი ბრალეულად ჩათვლის: დევნისათვის, ცილისწამებისათვის, სულიერი და მატერიალური ზარალისათვის (ჩვენ ამას სასამართლოში მოვითხოვთ). შევქმნით დოკუმენტებს, რის საფუძველზეც წარსდგებიან კანონის წინაშე ისინი და ჩვენც...

ბატონო მინდია — გვესმის, თქვენ არ გვიცნობთ, არ ვართ ცნობილი, როგორც ზემოხსენებული პირები არიან, არც მათსავით პოპულარული, ღმერთმა დაგვიფაროს... მათთვის ჩვენ — არაკომპეტენტურები, არაპროფესიონალები, უნიჭოები, გაუგებრები, უპატრონოები ვართ და თეატრში შემთხვევით მოხვედრილი უბირი ხალხი...

თუ სასამართლო დამოუკიდებელი უზენაესობაა, თქვენ უფლება არა გაქვთ იმოქმედოთ მიუკერძოებლად. ქალაქის სასამართლოს არც განუხილავს საქმე მათი "შიშის" გამო და ძალაში დატოვა ჩემი მოხსნის საკითხი. ვიმეორებთ, თუ რაიმე მცირე დანაშაული მაინც მაქვს, ნუ მაპატიებთ. მაგრამ სიმართლესაც ნუ დამიკარგავთ, ნუ ააგდებინებთ მავანთ მასხრად თეატრს და მის 117 თანამშრომელს. გულისტკივილით ვამბობთ, რომ გადარია ეს ადამიანები, რომლებსაც ნამდვილად არ ეკადრება ის, რასაც კადრულობენ, ყველაფრის გაყიდვა და დანგრევა ხომ არ შეიძლება. ვიმეორებთ, საბუთების საფუძველზე მოგახსენებთ და არა „ჭორაობის“ დონეზე...

ბატონო ლადო! იმედია, დაინტერესდებით ბატონ ვანოსთან ერთად და თქვენს მუნიციპალურ თეატრს გაუჩენთ პატრონს, ვისაც აქვს პრეტენზია და უფლება ილაპარაკოს კოსტავას თეატრზე...

ბატონო ვანო! ჩვენ მაინც ჩავთვალეთ საჭიროდ, მოგვემართა თქვენთვისაც, რადგან ზედგომი და პატრონი თქვენ ბრძანდებით. მაინც-თქო იმიტომ ვამბობთ, რომ რამდენიმეჯერ წერილითაც მოგმართეთ ჩვენს გაჭირვებაზე, მაგრამ თქვენგან არანაირი რეაქცია არ ყოფილა. ჩვენზე კარგად თქვენ იცით, თუ ვინ არის ოთარ ბერძენიშვილი, ამიტომ, კოსტავას თეატრს მავანთა უნამუსობას ნუ გადაავაყოლებთ. რა უნდა ისეთ ხალხს კულტურაში, რომელთათვისაც თეატრი ცხვრის დუმაა.

ბატონო ჯამლეთ! იგივე მინდა მოგახსენოთ თქვენც. გთხოვთ, გამოიძიოთ ყველაფერი და ყველამ თავისი წილი პასუხი აგოს თეატრის წინაშე და რაც მთავარია, კანონის წინაშე...

იმედია, დაგვდებთ პატივს და ბოლოს და ბოლოს თეატრს თავისი მეპატრონეები დაუბრუნდებიან და კვლავ იტყვიან იმ საჭირო და ლამაზ სიტყვას, რასაც ამბობდნენ წლების მანძილზე. თეატრს კი დღეს მძლოლი „მართავს“! ცინიზმი და მასხრად აგდება, ამაზე მეტი რა უნდა იყოს. გვჯერა, წესიერი ადამიანებისა და იმ სიმართლის, რასაც იმსახურებს თეატრი...

ჩემი მისამართია: თბილისი — 3, მეტეხის შესახვევი № 36.

ველი გამოძახებას, პასუხს.

პატივისცემით თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი

**ზურაბ ნინუა**
**საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი.**

## გულიდან ამოსული სიტყვები

# ბაგრატიონთა ნაფეხური

**შავი ზღვის ზვირთნი**
**ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,**
**აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით**
**ჩვენთა მოძმეთა...**

**ნ. ბარათაშვილი**

დრონი მეფობდა: ქართველი თოფით
და ხმალით ომობდა,
იღვარა სისხლი მდინარედ,
თუმცა მებრძოლი ლომობდა.
დღე ბევრჯერ დაბნელებია,
როცა ვაზებთან შრომობდა,
იდგა სამშობლოს დარაჯად,
ფიქრითაც აღარ შორობდა...
ბედი ქართლისა გადაწყდა
ჭეშმარიტების მადლითა,
აღორძინების არწივი ევროპას
ხიბლავს სარდლითა.
ბაგრატიონთა ნაფეხურს მტერი
ველარ შლის ღვარძლითა,
უფრო ბრწყინდება ივერი
ღვთისგან ნაკურთხი სანთლითა.
საქმენი ჩვენნი დაგვირჩენს ერის
სახელს და დიდებას,
გაგვიზაფხულებს დიდ ზამთარს
შვილთაშვილს არ შეცივდება.
ზღვის ზვირთნი გრილი ნიავით
უზომოდ არ გადიდდება,
ამოვა ცისკრის ვარსკვლავი,
ცის ცქერა არ მოგწყინდება.

**გურგენ ცუცქირიძე**
**მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელსაწყოთა კლიმატური გამოცდის ცენტრის დირექტორი:**
*ბათუმი, 1999წ.*

# სკანვორდი

თეიმურაზ შანიძის სკანვორდი







*ჩოფურა იოსების იუმორი*

### გასტროლიორი მეძოლე

ჩოფურას ტაშკენტში შეხვდა თბილისდან 2-3 წლის წინ „საგასტროლოდ" წასული მეძოლე, რომელსაც მამაჩემის დანახვა ისე გახარებია, ტირილი დაუწყია და ზლუქუნ-ზლუქუნით უთქვამს:

— იოსებჯან, მიშველე რამე, შიმშილით ვკვდები, სამი დღეა ლუკმა არ ჩამსვლია პირში.

— შე ღმერთძაღლო, იქ იყავი, შიმშილით კვდებოდი, აქაც თუ მასე გაქვს საქმე, წამოდი, სამშობლოში მაინც მოკვდი, აქედან შენს გადასვენებას შენი წონა ფული დასჭირდება.

ჩოფურას მეძოლე დაუპურებია და თბილისში წამოუყვანია. ეს ამბავიც იმ მეძოლემ მომიყვა.

### საზამთროს არჩევის ჩოფურასეული საიდუმლო

ჩოფურამ იმდენად კარგად იცოდა საზამთროს არჩევა, რომ თანამშრომლებს გაბეზრებული ჰყავდათ ბაზარში წანწალით.

ერთ დღეს ახალგაზრდა თანამშრომელმა, ვილაც კამბულამ თუ ბულდიკამ (ამ მეტსახელებით ნამდვილად იყვნენ იქ თანამშრომლები), სთხოვა ჩოფურას:

— ძია იოსებ, საზამთროს არჩევა მასწავლე და მაღარიჩი ჩემზე იყოს.

— შვილო, საზამთროს არჩევას რა უნდა, უნდა დაახეთქო, თუ ახტა — კარგია.

— რომ გასკდეს?!

— ესე იგი, არ ვარგა!

არ ვიცი, რამდენად დაუჯერა ჩოფურას დარიგებულმა კაცმა, მაგრამ ერთი ნაღდია, თუ მართლა დაახეთქა, გამყიდველი საზამთროსავით გახეთქავდა ცემით.

### შოთა და არსენა

შოთა და არსენა (სხვათა შორის, ოძელაშვილი) ორი დღე სამსახურში არ გამოცხადდნენ. ჩოფურამ ჰკითხა:

— სად იყავით, გუშინ რატომ არ მოხვედით? ორთავემ მუშტარი დაკარგეთ, ქორწილში დოლ-გარმონი უნდოდათ.

— მუშტრის დედაც ვატირე, გუშინ მე და შოთა ისეთ გოგოებთან ვიყავით, შენ, ალბათ, არც დაგსიზმრებია.

— ჰოო, ალბათ, იმიტომაც შენი ძეგლი მცხეთაში დადგეს, შოთასი კიდევ ზემელზე — თქვენი თავის გახეთქვამ! მაგას ჯობია, ოჯახებს მიხედეთ, იმათ ლუკმას კახპებს რომ აჭმევთ.

### ექსპერიმენტი

ექსპერიმენტი გრძელდება!
ხალხს უტარებენ გამოცდებს
ვინ, რამდენს გასძლებს მშიერი,
ან როდის უნდა ამოწყდეს.
რომ მერე, ხუთმა პროცენტმა,
ბანდამ მკვლელთა და მძარცველთა,
სახლში გაზიდონ ქონება
იმ ამოწყვეტილ ქართველთა.
კაცი ხარბია ბუნებით,
როგორც ღორი და აფთარი,
თუმცა ჩემი თქმა რად გინდათ
ფაქტი სახეზე არ არის?!
ჯერ ისტორიას არ ახსოვს,
ხარბის მუცელის გაძლომა,
ამიტომ უნდა ქვეყანას
პატრონობა და გაძლოლა!

### სამხედრო საქმე თუ ესმის გენერალ დავით თევზაძეს?!

შესახედავად, ნამდვილად
ვერ დაიწუნებ თევზაძეს,
ჰგავს რომელიღაც რომაელ,
ტვინით გატენილ ბრძენთა ბრძენს,
თუმცა, სამხედრო საქმეში,
ვერ იტყვი, რამეს ბევრს აღწევს.
ჯარი ჰყავს ნაკვებ-ჩაცმული,
ენა — პირი რომ ვერ აღწერს,
ზოგი კაზარმა წააგავს,
რბილად თუ ვიტყვით,
ძველ საბძელს.
ვერც ბაზებს აკონტროლებს და
რა დაგიმალოთ, ვერც საზღვრებს!
კბილებს დავაჭერ ენაზე,
კლიტეს დავადებ მე ჩემს პირს,
თუ დააბრუნებს ასობით
სახლში გაქცეულ დეზერტირს.
მე, ერთი მაინტერესებს,
თუმც ვინ უყურებს ჩემს აზრებს,
სამხედრო საქმე თუ ესმის
გენერალ დავით თევზაძეს?!



### არ დაიდარდო დედაო
*(გოგლასებურად)*

არ დაიდარდო დედაო,
ნუ მიეცემი სევდასა,
სულ მალე, ჩვენი მთავრობა
ერთად გვიტირებს დედასა.
არა და, მგონი ქართველებს,
დაგლახავება „ევასა",
ვინ გადააჩვევს მათხოვარ
ბავშვებს წანწალს და თრევასა.
რა ენაღვლება პარლამენტს,
სხედან, ლეჭავენ კევასა,
სად დაისვენონ, რა ჭამონ,
ერთურთს აძლევენ რჩევასა.
მთავრობა კვლავაც აგრძელებს
ქვეყნის გაყიდვა-ნგრევასა,
უფულო მოსახლეობის
გადასახადით რბევასა,
ცოტაც და გაგვატიტვლებენ,
როგორც ადამს და ევასა.

მურმან გელენავას ვულოცავთ დაბადების დღეს. ჩვენო მური! იყავი დღეგრძელი, ბედნიერი, მოყვასის სიყვარულით გულანთებული და შენს მამიკოს, ჩვენს მამას და მეგობარს, კოწიას და შენს დედიკოს, ქ-ნ მარინას გული გაუხარე შენი კარგი საქმეებით. იცოცხლე და იბედნიერე.

*შენი სერგო კანაშია და მურთაზ ჩიქოვანი*

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.